


729/
1971/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეცნიერები უმჯობესე



1971

3

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 3 (61)

860სი—0360სი

— 11.7/3.



რედაქტორი — ვრემია ქარელიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი — ვურამ ბათიაშვილი

სარედაქციო
კოლეგია:

დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. მგაპე, ნ. გურაბანიძე,
დ. მგაღლიძე, ბ. შლენგი, ნ. შვანგირაძე, ბ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

რედაქციის მისამართი: კიბოვის ქ. № 11-ა, ტელ. 99-93-78

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-7 ყრილობას



ძმირფასსო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობის დღე-გატეხს და თქვენი სახით ქართული სასცენო ხელოვნების ყველა ოსტატს, გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოსა და სოციალისტური კულტურის საკეთილდღეოდ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობა შეიკრება ღირსსახსოვარ დღეებში: როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXIV ყრილობის დადგენილებებით აღფრთოვანებული რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ჩართვილი ხალხის პოლიტიკურ და შრომით აღმაჯობას ახალი მძლავრი სტიმული მისცა მთავრობის მაღალმა ჯილდომ — ოქტომბრის რევოლუციის ორდენმა, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკა დაჯილდოვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის საზეიმოდ დღეებში.

ქართული თეატრი მუდამ პროგრესულ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ იროვნული თეატრალური ხელოვნების ჭეშმარიტი აღორძინება და განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. განვლილი 50 წელი — ეს იყო ქართული თეატრის სახელოვანი ტრადიციების გამდიდრების, შემოქმედებითი დონის ამაღლებისა და საშემსრულებლო ოსტატობის სრულყოფის წლები. ის ფაქტი, რომ ქართულმა თეატრმა ავტორიტეტები მოიპოვა და მაღალი შეფასება დაიმსახურა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში. არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელ ყურადღებასა და ზრუნვას თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ქართული საბჭოთა თეატრი მუდამ იყო, არის და იქნება პარტიის ერთგული თანაშემწე, მისი იდეების დაუცხრომელი პრობაგანდისტი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია თეატრის მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლებისა და მათთვის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის პირობების შექმნისათვის.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში, კიდევ უფრო მაღლდება ხელოვნების როლი მშრომელთა იდეური აღზრდის საქმეში.

„საბჭოთა ხალხი, — ნათქვამია სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, — დაინტერესებულია ისეთი ნაწარმოებების შექმნით, რომლებშიც სიმართლით იქნება ასახული სინამდვილე; მაღალი მხატვრული ძალით დამკვიდრდება კომუნისზმის იდეები“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმუნას გამოთქვამს, რომ საქართველოს თეატრები კვლავაც სიმართლით, შთაგონებით, მაღალმხატვრულად ასახავენ ქართველი ხალხის თავდადებულ შრომას, რეალისტურად წარმოგიდგენენ ჩვენი ყოფის სიდიადეს და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო სახალხო საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი!

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეშვედევ ყრილობა მხურვალედ მიესალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს — საქართველოში კომუნისტების მშენებელთა საბრძოლო შტაბს.

ქართული თეატრის მუშაკთა ყრილობა ტარდება ისტორიულ დღეებში, მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი იბრძვის იმ გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად, რომელიც სკკპ 24-ე ყრილობამ დაუსახა საბჭოთა ხალხს.

ჩვენ ახლახანს ავღნიშნეთ ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარ საუკუნოვანი იუბილე.

ამ იუბილემ ცხადყო საბჭოთა ხალხის სოლიდარული სულიკვეთება, ჩვენი ერის მზადყოფნა კომუნისტების დიადი სიმადლეების დასაპყრობად. ახლა ქართული საბჭოთა თეატრი 50 წლისაა. ამ ხნის განმავლობაში ქართულმა თეატრმა შეუწელებელი შრომით დაამტკიცა თავისი ერთგულება დიდი ლენინის იდეებისადმი. ხელმძღვანელობს რა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით, ქართული თეატრი წინ მიდის, ამკვიდრებს მაღალ ჰუმანურ იდეალებს.

საბჭოთა თეატრი მუდამ ხალხის სამსახურში იდგა. ამ მხრივ მას უდიდესი გამოცდილება გააჩნია. იგი ხალხის თეატრია, რადგან ემსახურება ყველაზე პროგრესიულ, ყველაზე ჰუმანურ იდეალებს.

ჩვენი თეატრი ადიდებს კომუნისტების მშენებელ შემოქმედ ხალხს, ხალხს, რომელიც ამკვიდრებს სიკეთეს, ბედნიერებას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეშვედევ ყრილობის დღეგატეხებს, საერთოდ ქართული თეატრის ყოველ მუშაკს, უწინარეს ამოცანად მიაჩნია ახალი, მნიშვნელოვანი სპექტაკლების შექმნა ჩვენს თანამედროვეობაზე, რევოლუციის ადამიანებზე, მეოცე საუკუნის მოწინავე იდეებით აღჭურვილ ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეშვედევ ყრილობის დღეგატეხი აღუთქვამენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ქართული თეატრი მთელი ძალით, მთელი შესაძლებლობით, შთაგონებითა, ენერჯის დაუზოგავად იბრძოლებენ ლენინური იდეების ფართო პროპაგანდისტათვის, სოციალისტური კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ერთიანობას!

გაუმარჯოს კომუნისტების მშენებელ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს!

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
მეშვედევ ყრილობა

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობისა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობა შეიკრიბა ჩვენი ქვეყნისათვის ღირსსახსოვარ დღეებში. მთელი საბჭოთა ხალხი გაცხოველებით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ჩვენ სულ ახლახან, რამდენიმე დღის წინათ ვიზიშეთ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ამ იუბილემ კიდევ ერთხელ ცხადჰყო პარტიისა და ხალხის ნების ერთიანობა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობის დელეგატები მსურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების შემდგომი აყვავებისაკენ.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკის თეატრებმა უდაო წარმატებას მიაღწიეს. დედაქალაქის თუ პერიფერიის თეატრებში განხორციელდა მაღალი დეორი და მაღალმხატვრული სპექტაკლები. საქართველოს თეატრებმა ღირსეულად აღნიშნეს ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი, ლენინის იდეებისადმი თავდადებული სამსახურის ნიშნით ჩაიარა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი სამზადისმა, ხოლო ახლახან ჩატარებულმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვანმა იუბილემ კიდევ ერთხელ გვიჩვენა საბჭოთა ხალხის მონოლითურობა. ქართული თეატრის ყოველ მუშაკს აღაფრთოვანებს ის გარემოება, რომ იუბილეს დღეებში საქართველო ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა და ახლა ჩვენი რესპუბლიკა სამგზის ორდენოსანია.

ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავის ამოცანად მიიჩნევს შემოქმედებით მუშაკთა იდეური აღზრდის გაძლიერებას. თეატრალური ხელოვნების მოღვაწენი მოწოდებული არიან ებრძოლონ ბურჟუაზიულ ესთეტიკას და ხელოვნებას, ფარდა ახადონ კაპიტალისტური ცხოვრების წესს, ამ საზოგადოების გახრწნილ მორალურ სახეს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება კვლავაც გაუწევს დახმარებას თეატრებს მსახიობთა, რეჟისორთა, მხატვართა და თეატრის სხვა შემოქმედებითი პერსონალის პროფესიული დონის ამაღლების საქმეში.

რეჟისორები და მსახიობები მოწოდებულნი არიან გააღრმავონ და ახალ საფეხურზე აიყვანონ ქართული თეატრის რეალისტური ტრადიციები. ტრადიციების გაღრმავება კი მოხდება ახალი მხატვრული ფორმებისა და გამომსახველი საშუალებების გამოყენებით, იმ საშუალებებისა, რომლებიც უპასუხებენ ჩვენს თანამედროვეობას, მის წინაშე წამოჭრილ რთულ ამოცანებს. ასევე აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა შემოქმედებით ახალგაზრდობასთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის იდეურ აღზრდას, თეატრალური ახალგაზრდობის განუყრელ თვისებად უნდა იქცეს იდეური რწმენა, დაუოკებელი სწრაფვა ჩვენი შეხე-



დუღებების დაცვისათვის, მოუქანცავი შრომა შემოქმედებითი ღონის ამაღლებისათვის.

ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ ჩვენი თეატრები არ დაკმაყოფილებიან მიღწეულით და არა მარტო განამტკიცებენ მას, არამედ იბრძოლებენ კიდევ შემდგომი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობად, აამაღლებენ მაყურებლის როგორც იდეურ, ასევე ესთეტიკური გემოვნების დონეს.

საჭიროა, რომ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შემდგომში უფრო აქტიურად და სისტემატურად ადევნოს თვალი რეპერტუარის ჩამოყალიბების საქმეს, შექმნას საზოგადოებრივი აზრი იდეურად და მხატვრულად სუსტი პიესების წინააღმდეგ, ეძებოს თეატრისა და დრამატურგის თანამშრომლობის უკეთესი ფორმები, რათა დაიწეროს ჩვენი ხალხის პეროიკული შრომისა და ცხოვრების ამსახველი პიესები, ნაწარმოებები, რომლებიც შეებრძობებიან ძველს, დრომოკმულს და ხელს შეუწყობენ პროგრესულის დამკვიდრებას.

ყრილობას მიაჩნია, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ საბავშვო და თოჯინების თეატრების საქმიანობას. პრეზიდენტმა უნდა განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები თოჯინების თეატრების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკიდან გამომდინარე თეატრალური საზოგადოებრიობა მოვალეა, რომ როგორც ქალაქის, ისევე ჩვენი სოფლის მშრომლების საკუთრებად გახადოს ქართული თეატრის ყოველი მიღწევა.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახალხო თეატრები და თეატრალური თვითმოქმედება არის მასების ესთეტიკური აღზრდის ყველაზე მასობრივი ფორმა, მაგრამ აუცილებელია ამაღლდეს სახალხო თეატრებისა და მხატვრული თვითმოქმედების დონე. ამისათვის უნდა ვიზრუნოთ, რომ გაძლიერდეს პროფესიული, სახელმწიფო თეატრების კავშირი სახალხო თეატრებთან.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება განამტკიცებს მეგობრობას მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებთან, გააფართოებს და გააღრმავებს შემოქმედებით კონტაქტებს სახალხო დემოკრატიული ქვეყნების თეატრალურ კოლექტივებთან და კაპიტალისტური სახელმწიფოების პროგრესიულად მზარდ თეატრალურ მოღვაწეებთან.

ყრილობა ავალებს ახლად არჩეულ გამგეობას, შეისწავლოს ყველა შემოსული წინადადება, რომელიც მიმართული იქნება მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი ცხოვრებაში მათი დანერგვისათვის.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ქართული თეატრის მოღვაწეები მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური საქმისათვის ბრძოლაში და მთელი ენერჯის, შემოქმედებითი შესაძლებლობის დაუზოგავად იბრძოლონ თეატრალური კულტურის იდეური და მხატვრული ღონის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-7 ყრილობა



ყრილობის პრეზიდიუმი.

24 მაისს თბილისის მსახიობის სახლის მიუღრებელთა დარბაზში გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობა. აქ შეიკრიბნენ თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები — მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები, ღრამატურგები, რათა ერთად განეხილათ ჭარბული თეატრის განვითარების საარსებო საკითხები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დლო ანთაძემ.

ტაშის გრიალში ყრილობის დღეგატემა და ონაწილეგმა საბატიო პრეზიდიუმიში აირჩიეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურო.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სარედაქციო კომისია, სამანდატო კომისია, დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის ანგარიში;

2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. არჩევნები; ა) გამგეობისა; ბ) სარევიზიო კომისიისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. გოგიჩაიშვილმა წაიკითხა საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII

ყრილობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რომელსაც შეკრებილი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეექვსე ყრილობიდან მეშვიდე ყრილობამდე განვლილი პერიოდი — ამბობს მომხსენებელი — ხასიათდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენებით.

ამ პერიოდში საბჭოთა ქვეყანამ დიდი სიამაყის გრძნობით და ზეიმით აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ამავე პერიოდში აღინიშნა გენიალური ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებდან 100 წლისთავი, ახლახან დასრულდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული ოცდამეოთხე ყრილობა. კომუნისტების ამ დიდმა ფორუმმა დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების დიადი და ნათელი პროგრამა. ყრილობამ ხაზგასმით გაამახვილა ყურადღება ხელოვნების როლზე საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორმირების საქმეში. ღრმა ანალიზი გაუკეთა თანამედროვე საბჭოთა ხელოვნების მიმდინარე პროცე-

სებს, მოგვცა სახელმძღვანელო და საყურადღებო მითითებანი. რომელიც უდიდოდ ხელს შეუწყობენ ჩვენს შემდგომ წინსვლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლენინი ილიას ძე ბრეჟნევი თავის ღრმა და ფრიად შინაარსიან საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა:

„კომუნისტური მშენებლობის გზით ჩვენი საზოგადოების წინსვლის კვალობაზე იზრდება ლიტერატურისა და ხელოვნების როლი საბჭოთა დამაინის მსოფლმშენებლობის, მისი ზნეობრივი მრწამსის. სულერი კულტურის ჩამოყალიბებაში, ამიტომ ბუნებრივია, რომ პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს აგრეთვე ჩვენს ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ შინაარსს, იმ როლს, რომელიც ისინი საზოგადოებაში ასრულებენ. პარტიულობის ლენინური პრინციპის შესაბამისად ჩვენს ამოცანად მიგვაჩნდა, რომ ყოველგვარი მხატვრული შემოქმედების განვითარება წარმოესაძგინო კომუნისტური მშენებლობის დიად საყოველთაო საქმეში მონაწილეობისათვის.

განვილო ზოფილემო ჩვენმა ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, ტელევიზიამ, სახეთმა ხელოვნებამ, მუსიკამ საბჭოთა დამაინებს ბევრი რამ ახალი, საინტერესო, ნიჭიერი მისცა. ვაჩნდა ახალი ნაწარმოებნი და დაღვმები, რომლებიც რეალისტურად, პარტიული პოზიციებიდან. შეუღალა-მაზებლად, მაგრამ ნაკლოვანებათა გაუზვიადებლად აშუქებენ ჩვენი ხალხის წარსულსა და აწმყოს, მთავარ ყურადღებას უთმობენ კომუნისტური აღზრდისა და მშენებლობის ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. ეს ნაწარმოებნი კვლავ აღასტურებენ, რომ რაც უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ხელოვანს საბჭოთა ხალხის მთელ მრავალფეროვან ცხოვრებასთან, მით უფრო უტყუარია მისი შემოქმედებით მიღწევები. სა და წარმატებების გზა.

ქართული ხალხისათვის დიდმნიშვნელოვან მოვლენად ვადაიქვს საქართველოს კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობა, ამ ყრილობამ ერთგვარათ შეაჯამა საბჭოთა საქართველოს მიერ განვილი ნახევარსაუკუნოვანი სახელოვანი გზა. აღნიშნული იქნა ამ ხნის მანძილზე ჩვენი ქვეყნის დიდი და მნიშვნელოვანი წარმატებანი --- სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

თავის ვრცელ და შინაარსიან მოხსენებაში საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამხანაგმა ვ. პ. მგავანამი დიდი ადგილი დაუთმო ჩვენი შემოქმედებითი ინტელექტუალური მუშაობას. ამ აღნიშნა მთელი სიდიდით მნიშვნელოვანი მიღწევები და ილაპარაკა ცალკეულ ნაკლოვანებებზე. და აი, ამ ერთი

კვირის წინათ ქართველმა ხალხმა, საქართველოს მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, დიდი ზემოთ აღნიშნა განსაზღვრული საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი. ამ ზემის იგი შეხვდა არახული გამარჯვებით.

დიდ წარმატებებს მიაღწია ქართულმა თეატრმა. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 23 თეატრია. მომხსენებელი ლაპარაკობს ქართული თეატრალური ხელოვნების იმ დიდ პოპულარობაზე, რაც მან მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ მოიპოვა. ჩვენმა თეატრებმა წარმატებით ჩაატარეს ვასტროლები რუმინეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში...

ჩვენს თეატრებს ყველა შესაძლებლობა გაჩინათ ნორმალური მუშაობისათვის. ამისათვის ყველა პირობას უქმნის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მათ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე ჩვენ შეგვემატა კიდევ სამი თეატრალური კოლექტივი: რუსეთის, მესხეთის დრამატული და ქუთაისის საოპერო თეატრები.

აქვე გვიჩნდა აღნიშნით ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის ნაყოფიერი მოღვაწეობა. ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში ძირითადად ინსტიტუტდამთავრებული რეჟისორები და მსახიობები მუშაობენ.

ინსტიტუტი წარმატებით ზრდის მსახიობებს, რეჟისორებს, თეატრმკოდნეთ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ზოგიერთი ინსტიტუტდამთავრებული გაურბის რაიონულ თეატრებში მუშაობას.

სავეტო საპარტიოან აღნიშნავს ვახუთ „სოვეტსკაია კულტურას“ ფურცლებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მიხეილ გოგირაშვილი, რომ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე 50 კურსდამთავრებულნი, რომელნიც მივლინებულნი აყენენ რაიონულ თეატრებში სამუშაოთ, თითქმის ყველამ ვაღმოიჩინა ცალა თბილისში. ეს საიოთხი სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

თეატრალური საზოგადოების საქმიანობაში --- განაგრძობს მომხსენებელი --- ცენტრალური ადგილი ეთმობა იდეურ-შემოქმედებით საკითხებს. საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილება და მისთან არსებული სხვადასხვა სექციები ატარებენ მრავალმხრივ საინტერესო ღონისძიებებს, რათა აღმოუჩინონ ფართო დახმარება საქართველოს თეატრებს. შემოქმედებითი კონფერენციები, ცალკეული სექციების განიხილება, ფესტივალები, კონკურსები, სემინარები, კონსულტაციები, გამოფენები და მუშაობის სხვა ფორმები, --- რომლებსაც ეს განყოფილება იყენებს, --- სტიმულს იძლევა ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის.

თითქმის ყოველწლიურად ემონაწილეობთ ჩვენს სცენაზე განხორციელებულ უცხოური პრესების დათვალიერებაში. აღსანიშნავია 1967 წელს ჩატარებული ჩეხური დრამატურგიის კვირეული.

ამ დათვალიერებაში მონაწილეობდა ჩვენა რესპუბლიკის თეატრებიც. ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ: მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლში — ჯ. ჰაუკის „დედა“ მთავარი როლის შემსრულებელი ვერიკო ანჯაფარიძე და სოხუმის თეატრის მსახიობი შოთა ვაბელია, შვედის როლის შემსრულებელი ი. ჰაუკის პიესაში „გულადი ჭარისკაცი“ შვეიკი“.

ამას გარდა, საპატიო სივრცეებით დაჯილდოვდნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები: სერგო ზაქარიძე, მადეა ჩახავა, სალომე ყანჩელი და რამაზ ჩხიკვაძე.

სულ ახლახან ჩატარდა უნგრული დრამატურგის დათვალიერება. ამ დათვალიერებაში ჩვენთან ორმა თეატრმა მიიღო მონაწილეობა: მასარიძის ალ. წუწუნავას სახელობის თეატრმა სპექტაკლით „მეთურთმეტე მცნება“, რომელიც განხორციელდა ნოდარ იონათამიშვილმა, და რუსთაიის თეატრმა სპექტაკლით „ბანკ-ბანი“, მოწვეული უნგრული რეჟისორის დადგმით.

სპექტაკლებმა ყურის უნგრული და მოსკოველი წევრების მოწონება დაიმსახურეს და სპექტაკლის მონაწილეები აჯიკ ვასაძე, ოთარ მელვინთუხუცესი, ნოდარ მაგლობლიშვილი და რეჟისორი ნოდარ იონათამიშვილი მიიწვიეს დათვალიერების შემაჯამებელ კონფერენციაზე მოსკოვში.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მნიშვნელოვანი მონაპოვარია სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების შექმნა, რომელსაც შეეკეთის წესით წელიწადში 120 ფორმის თეატრალური ლიტერატურის გამოცემის უფლება აქვს. განყოფილებამ 4 წლის მანძილზე გამოსცა და გამოსაცემად მოამზადა სამოკლმდე წიგნი. გამოსაცემად ძირითადად მზად არის ფუნდამენტალური ალბომი „ქართული თეატრი“ ეს ალბომი ქართული თეატრის ისტორიის დოკუმენტური და ილუსტრირებული მასალის თავმოყრის პირველი ცდაა. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ყრილობის წინ უკვე შეიქმნა საზოგადოების განყოფილებები ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში.

განვილიო ხუთი წლის მანძილზე ქართულმა სასცენო ხელოვნებამ თვალაწინო წარმატებები მოიპოვა. საბჭოთა სცენის მოღვაწე პატრიოტული შრომა ღირსეულად იქნა აღნიშნული პარტიისა და ხელისუფლების მიერ, მრავალ

ჩვენს მოღვაწეს მიენიჭა მაღალი პრიზები, ორდენები და საპატიო წოდებანი. ხოლო ოპერის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს — აკადემიური თეატრის საპატიო წოდება. ახლახან კი გრიბოედოსის თეატრი დაჯილდოვდა „შრომის შეთვლი ღირვის“ ორდენით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის 7 პლენუმში, პრეზიდიუმის 45 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 235 საკითხი, აქვე მიიღა აღნიშნო, რომ ამხნის მანძილზე ძალზე გაიზარდა საზოგადოების წევრთა რაოდენობა. იგი დღეისათვის 2000 აღემატება, მართო საანგარიშო პერიოდში ჩვენ შეგვემატა 546 წევრი.

საზოგადოების შემოქმედებითი განყოფილების საქმიანობა მიმართული იყო ყოველდღიური და აუცილებელი შემოქმედებითი საკითხების მოგვარებისავე. ასეთია საკონსულტაციო-მეთოდური დახმარება თეატრებისადმი — მუყურებელთა კონფერენციები, დისპუტები, ლექცია-მონსტრეჟები, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, სტრუქტურის საღამოები, მსჯელობა თანამედროვე თეატრის მნიშვნელოვან საკითხებზე და სხვა მრავალი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების უძანსკელი ხუთი წლის საქმიანობაში უმთავრესი ადგილი დაეთმო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს როგორცაა გენიალური საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის 100 წლისთავი, ქართველი პოეტისა და მთარგმნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი, საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, ლენინური კომკავშირის შექმნის 50 წლისთავი, მაქსიმ გორკის დაბადების 100, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი და სხვ.

მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის შესახვედრად და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის.

ყველა ამ ღიღნიშვნელოვან თარიღებს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიუძღვნა მრავალი სახის კონსტრუქცია, მათ შორის ყველა ჩატარებულ ღონისძიებში.

გამოდის თეატრალური საზოგადოების ორთვეური ყურნალი „მოამბე“. ეს ყურნალი შესაძლებლობის ფარგლებში ფართოდ აშუქებს ჩვენს თეატრების მუშაობას. ცილობის უპასუხის ჩვენი თეატრების მნიშვნელოვან საკიბობოტო საკითხებზე, მას თეატრის მოღვაწეთა შორის საკამოდ კარგი ავტორიტეტი აქვს.

საინტერესო ყურნალია „საბჭოთა ხელოვნება“, მის ფურცლებზე ასახავს პიოეტებს ხელოვნების ყველა დარგი. ამიტომ, რა თქმა უნდა, მას



არ ძალუძს სისტემატურად, ოპერატიულად გამოეხმაროს თეატრის ყველა საფორბოროტო საკითხს. ჟურნალი მაინც ჟურნალია. ის ხომ თვეში ერთხელ გამოდის. ამიტომ საეცხებთ დროული დაისახსნა საკითხი, ყოველკვირეული გაზეთის გამოცემის შესახებ, რის ხარჯებსაც საზოგადოება თავის თავზე აიღებს.

მომხსენებელი ლაპარაკობს სტამბისა და სწარმოო განყოფილების მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ ჩვენი სტამბა ძირითადად ემსახურება თბილისისა და რაიონების სახელმწიფო თეატრებს, მსახლბო თეატრებსა და კულტებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და თეატრალურ-მუსიკალურ სასწავლებლებს. ამჟამად სტამბას საშუალება აქვს უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა, მის მიერ გამოცემული ჟურნალები და წიგნები ყურადღებას იქცევენ მაღალი პოლიგრაფიული დონით.

საზოგადოება დიდ დახმარებას უწევს ავადმყოფ, მცირეხელფასიან და ხანდაზმულ წევრებს, ერთდროული დახმარების სახით გაიცემულია 31 000 მანეთი.

ასევე მოვლა-პატრონობას ეუწევთ ჩვენ ძოღვაწეთა საფლავებს, ვაყენებთ მემორიალურ დაფებს და ქვაკვებს.

ჩვენ გვაქვს დასაცემებელი სახლი მანგლისში, სოხუმში, სადაც შეღავათიან ფასებში ისვენებენ ჩვენი საზოგადოების წევრები. ქართული თეატრის მოღვაწეთა დიდი ხნის ოცნება ჰქონოდათ „მსახიობის სახლი“ ახლა. როგორც ხედავთ ჩვენ ავავთ კეთილმოწყობილი მშენიერი შენობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შემოქმედებითი მუშაობა უფრო ფართოდ გავშალოთ.

მომხსენებელი ლაპარაკობს თეატრის შემოქმედებით კადრებზე და ამბობს:

ჩვენ უნდა ფართო გზა გავუხსნათ ნიჭიერ ახალგაზრდობას, გაბედულად დავაწინაუროთ ისინი და ყოველნაირად ხელი შევეუწყოთ მათ დასრულებას. ერთნაირად ეხება ეს მსახიობებსა და რეჟისორებსაც.

როდესაც თანამედროვე თეატრის აქტუალურ პრობლემებზე ვფიქრობთ, პირველ რიგში გვახსენდება რეპერტუარის საკითხი, — ეს ყველაზე რთული და სერიოზული უბანი ჩვენი თეატრების მუშაობისა. სწორი სარეპერტუარო პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს თეატრის სახეს.

თეატრმა უნდა იმუშაოს დრამატურკითან, მოძენთან იგი, დაეხმაროს, გზა გაუყავოს მას, მაგრამ დრამატურგიც ვალდებულია მივიდეს თეატრთან, გაიგოს თეატრის აკვარტი, უპასუხოს მათეურების მაღალ მოთხოვნებს.

სასტიკი და უღმობელი ბრძოლა უნდა გამოეხადოს სუსტ, უადეო პიესებს, რომელნიც

ზოგჯერ ადგის პოპულბენ ჩვენს თეატრებში. შემდეგ დ. ანთაძე ლაპარაკობს სასაბუთო პიესების შერჩევის პრინციპებზე, მობარდთათვის შექმნილ დრამატურგიაზე, ვრცლად განიხილავს მეტყველების კულტურის საკითხებს. ფართოდ ეხება თეატრალური კრიტიკის საკითხებს.

ახლა ჩვენ გვყავს ნიჭიერი და მცოდნე კრიტიკოსები. იწერება კვალიფიციური წერილები. მხოლოდ კრიტიკას ანგარიშის გაწევა უნდა, თეატრმა უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს კრიტიკოსის შენიშვნები.

საბჭოთა თეატრს დიდი მისია დააკისრა პარტიამ — აღზარდოს ხალხი ესთეტიკურად და სულიერად, განუღმკიცოს რწმენა კომუნისტური იდეალებისადმი.

ამისათვის ვცხოვრობთ და ვიღწვით ჩვენ.

ამ მაღალი მოვალეობის შეგნება, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა მოგვცემს ძალას და ენერჯიას, რათა ჩვენი ხელოვნება, მშობლიური თეატრი გადავაქციოთ უფრო ქმედითად და აქტიურად.

გამგეობის საანგარიშო მოხსენების შემდეგ ყრილობის წინაშე სარევიზო კომისიის ანგარიშით წარსდგა სარევიზო კომისიის მდივანი ნიკოლოზ კვეციშვილი.

ნ. კვეციშვილი ლაპარაკობს თეატრალური საზოგადოების საქმიანობაზე, კონკრეტულად განიხილავს მისი სხვადასხვა განყოფილების მუშაობის, აღნიშნავს არსებულ ნაკლოვანებებს. ნ. კვეციშვილი აკრიტიკებს საზოგადოების იმ წევრთ, რომლებიც დროულად არ იხდებიან საწევრო შესატანს, ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ჰიანურდება ქართული თეატრალური ტერმინოლოგიის დადგენა, გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეებისადმი მემორიალური დაფებისა და ბარელიეფების დადგმა. მას ასევე გადაუდებლად მიაჩნია მანგლისის დასაცემებელი სახლის ქონების ინვენტარიზაცია და მისი ეზო-ყურეს მოწყობა. ნ. კვეციშვილი ყრილობის დელეგატებს ამცნობს თეატრალური საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას, იგი განიხილავს საზოგადოების შემოქმედებითი განყოფილების მიერ გაწეულ ნაყოფიერ მუშაობას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ თარიღთან დაკავშირებით მოწყობილი დათვალიერების დროს უნდა შეიჩნეს და განიხილბოდეს მხოლოდ ის სუბექტალები, რომლებიც დათვალიერების შირობებს უპასუხებენ და არა რესპუბლიკის თეატრების თითქმის მთლიანი მოქმედი რეპერტუარია, რადგან ეს დათვალიერებები საქმით ხარჯდება არის დავაუვირებული.

სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების

მუშაობის განხილვისას ნ. კველიშვილი დადებითად აფასებს ამ განყოფილების მიერ გაწეულ მუშაობას. ქართულმა მოთხრობამ მიიღო ბევრი საინტერესო და საჭირო წიგნი. ამავე დროს მომხსენებელი ყრილობის დელეგატებს უზიარებს სასარგებლო წინადადებს, რათა თეატრალური საზოგადოებას ჰქონდეს უფლება წიგნის თავისი რუბრიკის გამოცემისა. ეს დაზოგავდა მრავალ ათას მანეთს. ნ. კველიშვილი ასევე დადებითად აფასებს აგრეთვე ეურნალ „თეატრალური მოამბის“ რედაქციის მიერ გაწეულ მუშაობას.

შემდეგ ნ. კველიშვილი ვრცლად მიმოიხილავს საწარმოო განყოფილებისა და სტამბის საქმიანობას, მიღწევებთან ერთად ჩერდება მათი მუშაობის ზოგიერთ ნაკლოვან წიბოებზე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ოთარ გაგამე ყრილობას წარმოუდგინა მოხსენება საზოგადოების მოქმედ წესდებაში ცალკეული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. მოქმედ წესდებაში ამ შესწორება-დამატებათა შეტანა, — ამბობს მომხსენებელი, — ნაკარნახევია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობის დიპაზონის გაფართოებით, მის წინაშე მდგარი ახალი ამოცანებით. წარმოდგენილი შესწორება-დამატებანი ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო.

იწყება კამათი. პირველი გამოდის საქართველოს კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი ოთარ თათაქიშვილი. იგი ყრილობის დელეგატებს ესაუბრა იმ წამატებებზე, რაც საანგარიშო პერიოდში მოიპოვა ქართულმა თეატრმა. ამ წლებში ქართული თეატრი პირველად გავიდა უცხოეთის ქვეყნებში. შემდეგ ლაპარაკობს ქართულ დრამატურგიაზე და დასძენს:

— ჩვენ გვყავს თეატრის შესანიშნავი მუშაკები — მსახიობები, რეჟისორები. ზოგი მათგანი ბევრ ევროპულ თეატრს დაამშვენებდა. ახლ გვირდება მეტი შემოქმედებითი მეგობრობა ეროვნული რეპერტუარის შექმნისთვის. ჩვენს თეატრებში საბჭოთა თემატიკაზე დეწერილ პიესებს თავისთავად წამყვანი ადგილი უჭირავთ. ახლა კი ხარისხზე უნდა ვიზრდეთ.

შემდეგ სიტყვას იღებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ბათუმის თეატრის მსახიობა მურად ხინიკაძე. მ. ხინიკაძის სიტყვა გამსჭვალული იყო ღრმა გულსტეკილით იმის გამო, რომ ჩვენში სათანადო ყურადღება არ მქცევ პერიფერიის თეატრების მუშაობას.

— თეატრალური საზოგადოება, — ამბობს იგი, — ეხმარება პერიფერიის თეატრებს, აღ-

გილებზე ხშირად ეწყობა ლექცია-მომხსენებელი განხილვები, მაგრამ ძალიან დაბალ დონეზე დგას კრიტიკის საქმე. პერიფერიის თეატრების მთელ რიგ ჩინებულ სექტალებს არავინ გა-მომხმარებია, არავის არაფერი უთქვამს მათი ავკარგის შესახებ. ასეა წლების განმავლობაში. ამ არაკანალიზებული დედაქალაქების მოსამბე. კ თეატრალური საზოგადოებამ უნდა ითავოს, უნდა იზრუნოს, რომ ხშირად ქვეყნებობდეს რეცენზიები. რესპუბლიკაში გამოდის მხოლოდ ერთი სახელოვნო ორგანო „საბჭოთა ხელოვნება“, იგი მოვალეა გააშუქოს ხელოვნების სხვა-დასხვა დარგის ცხოვრება. ამიტომ სტიმულის მომცემი იქნება თუ გაიზრდება „თეატრალური მოამბე“.

საქართველოს თეატრალთა ყრილობას მიესალმა რსფსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. სორიკინი.

პერიფერიის თეატრებისადმი მეტ ყურადღებაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსური და სის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვ. კაიროვმა, უკრაინელ თეატრალურ მოღვაწეთა სახელის ყრილობას მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლ. რუდენკო.

სამანდატო კომისიის სახელით ყრილობას დელეგატთა სრულყოფილიანიობა მოახსენა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ქვიციანი.

სიტყვა ეძლევა საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, მარკანიშვილის სპ. აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს დოდო ალექსიძეს. თავისი სიტყვის შესავალი ნაწილში დ. ალექსიძე აღნიშნავს იმ დიდ ფაქტს, რაც მოხდა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში — თბილისში გაიხსნა „მსახიობის სახლი“. შემდეგ იგი ლაპარაკობს თეატრის ეროვნულობის თაობაზე, განიხილავს დრამატურგისა და რეჟისორის ურთიერთობის პრობლემას და ჩერდება შემოქმედის პასუხისმგებლობის გრძნობაზე ხალხის წინაშე.

თქვენ იცით, რომ მე 6 წელი დევნილობაში უკრაინაში, ვხელმძღვანელობდი ფრანკოსა და რუსულ დრამატულ თეატრებს, მე ვხელმძღვანელობდი დიდი ერის თეატრს და მეშინოდა რაიმე შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა ერისათვის, მისი ბუნებისათვის, მუდამ ცდილობდი არ დამეშვა რაიმე შეცდომაში.

ყრილობას მიესალმება ბელორუსიის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ანა ობუხოვიჩი.

სიტყვას ამბობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მკედლიძე.



დ. მკვლდიძე ლაპარაკობს ოპერისა და ბალეტის თეატრის მიღწევებზე უკანასკნელი წლების განმავლობაში. აღნიშნავს იმ წარმატებებს, რაც ამ თეატრის მთელმა კოლექტივმა და ცალკეულმა სოლისტებმა მოიპოვეს.

დ. მკვლდიძე ლაპარაკობს იმაზე თუ როგორ ემზადებიან თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრები დიდი ქართული კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის იუბილეისათვის. დასასრულს იგი ამბობს:

— ოქტომბერში მოსკოვში გაიშარებდა ერთგვარი შემოქმედებითი შეჯიბრება. 15 ოქტომბერს დიდ თეატრში გასტროლებს იწყებს უნგრეთის ოპერა, პირველი ოქტომბრიდან — ვენის ოპერა, ხოლო 14-დან 25 ოქტომბრამდე დიდ თეატრში ქართული მომღერლები იქნებიან. ცხადია, მოსკოვის გემოვნებიანი მაყურებელი ჩვეოდან შეაფასებს სამივე თეატრის გამოსვლებს. ჩვენ ვეცდებით კარგი ადგილი დავუკავოთ ამ უნებლიე შემოქმედებით შეჯიბრებებში.

ყრილობას მიესალმება აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი გ. მამუაძე.

სიტყვას იღებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების უფროსი ვ. კიკნაძე.

ვ. კიკნაძე ნეგატიურად აფასებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი დღეების თეატრალური ხელოვნებაში ვაღკაბებულნი სიმშვიდე სუფევს, არ იგრძნობა ის ვნებათა ღელვა, შეხედულებათა კონფლიქტი, ურომლისოდაც ხელოვნება ჰყარავს მიზმიდევლობას. შემდეგ ვ. კიკნაძე გამოთქვამს ერთგვარ საყვედურს — ქართული მწერლობა მეტ სიყვარულს და სიბიძის უნდა ამვლადენდესო თეატრის მიმართ. ვ. კიკნაძე ლაპარაკობს დრამატურგიისა და თეატრალური კრიტიკის, ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და განაწილების საკითხებზე და დასძენს:

— თანამედროვე ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში ბევრი პრობლემა საყაბაო და გადასაწყვეტია. ამ პრობლემებზე უნდა ვისაუბროთ დინჯად და საქმიანად, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გადაუჭრელი საკითხები ჩვენი თეატრის საკითხილდელი მოვარდეს.

ყრილობას მიესალმება სომხეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი რ. კაპლანიანი.

ტირბუნაზე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გ. ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე აღფრთოვანებული ლაპარაკობს იმ დიდ ეროვნულ დღესასწაულზე, რომელიც ახლახან აღნიშნა ქართველმა ხალხმა, აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ

რესპუბლიკის გარეთ და უცხოეთში არაერთი დიდი შემოქმედებითი ავტორიტეტული სახელოვნოლობენ, შინ კი ჩვენი სპექტაკლები წარად უღიმღამოდ გამოიყურებიან, ყოველივე ამის მიზეზად ორატორს მიაჩნია ის, რომ თეატრალური ხელოვნების მუშავეს ზმირად არ უთვლიან ენთუზიაში. დასასრულს გ. ლორთქიფანიძე ამბობს:

— თქვენ იცით, რომ ამას წინათ გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მიიღო მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი. — მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მაღლობა გადავეხადო პარტიასა და მთავრობას ამ მაღალი ჯილდოსათვის. ჩვენი კოლექტივი არ დაზოგავს ძალასა და ენერჯიას, რომ გამართლოს ეს დიდი ნიღობა.

ყრილობას ყირგიზეთის თეატრალური მოღვაწეთა სახელით მიესალმება აბდი კაბაროვი.

სიტყვას იღებს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბ. ელენტი. ბ. ელენტი ლაპარაკობს ქართული საბჭოთა თეატრის მიერ განვილი სასახელო გზაზე, იმ დიდ ღვაწლზე, რომელიც ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ გაიღო ერთიანი საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში. ბ. ელენტი კონკრეტულად განიხილავს ქართული თეატრის სადღესო მღვთიერობის, ჩერდება რუსთაველის თეატრის სპექტაკლებზე და აღნიშნავს, რომ ამჟამად ამ თეატრში რთული მდგომარეობაა შექმნილი. ბ. ელენტი ლაპარაკობს თეატრისა და მწერლობის ურთიერთობის საკითხებზე და ამბობს, რომ ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თეატრალური კრიტიკა საქართველოში მოღუდნებული იყო, ჩვენ უნდა გავმართოთ მეტი დისკუსიები, განხილვები. ვიკამათოთ ჩვენი სპექტაკლების აეკარგზე, უამისოდ დიდი ხელოვნება არ დაიბადება. ბ. ელენტი კრიტიკის მოღუდნების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს იმასაც, რომ არა გვაქვს თეატრალური ვაზთი, რომლის ფურცლებზედაც გაჩაღდება ცხოველი კამათი თეატრის საკიბრობოთა საკითხებზე.

ლატვიის თეატრალთა სახელით ყრილობას მიესალმებიან გ. ზემდევა და მ. კუმბისკი, ხოლო ქართველ მხატვართა სახელით, მხატვართა კავშირის მდივანი — დიმიტრი თავაძე.

სიტყვას ამბობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაი ვსაძე.

აკაი ვსაძე ლაპარაკობს უკანასკნელი წლების ქართული თეატრალური ხელოვნების მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, აღნიშნავს, რომ რუსეთის თეატრის აკლია ყურადღება. ამ თეატრის ბევრი სპექტაკლი პრესას შეუფასებელი რჩება. ა. ვსაძე აყენებს საკითხს, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოებაში შეიქმმას ქართუ-



ლი ბიესის და ქართული სექტაკლის კაბინეტო, რომელშიც თავმოყრილი იქნება დოკუმენტური მასალები, ფოტოსურათები, დოკორაციებისა და ქართული ტრანსკლასის კართოტეკები.

ყრილობის დელეგატები ერთსულოვნად დამაკმაყოფილებლად აფასებენ საანგარიშო პერიოდში საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გაწეულ მუშაობას.

განხილულ საკითხებზე ყრილობამ მიიღო სათანადო რეზოლუცია რომლის პროექტსაც კოხულობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სა-

ხელმწიფო პრემიების ლაურეატი ვ. გომიზიძე ყრილობამ მიიღო მისასაღებელი წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, რომლის ტექსტი წააქითს ავ. ვასაძემ.

ყრილობა ირჩევს საქართველოს თეატრალურ საზოგადოების გამგეობასა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობას.

ამით საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეშვედე ყრილობა ამთავრებს თავის მუშაობას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის წევრები

- აბაშიძე თეიმურაზ გიორგის ძე,
- აბაქელია იონა კონსტანტინეს ძე,
- აბრამიშვილი გიორგი იოსების ძე,
- ალექსიძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე,
- ალექსიშვილი ოთარ დასონის ძე,
- ამირხანოვი იური გერასიმეს ძე,
- ანთაძე დოდო კონსტანტინეს ძე,
- ანჯაფარიძე ვერაქო ივლიანეს ასული,
- ანჯაფარიძე ზურაბ ივანეს ძე,
- ახვლედიანი პლატონ მიხეილის ძე,
- ბურმისტროვა ნატალია მიხეილის ასული,
- ბუხნიკაშვილი გუგული ვარდენის ძე,
- ბურბუთაშვილი თინა ვასილის ასული,
- გაბისკირია შალვა მიხეილის ძე,
- გეგუკორი გიორგი ვლადიმერის ძე,
- გვენცაძე ვალერიან რომანის ძე,
- გვინჩიძე ივანე სერგოს ძე,
- გიუმიურელი მიხეილ ნიკოლოზის ძე,
- გოგიაშვილი ევბოხი კონსტანტინეს ძე,
- გოჩიაშვილი ჭემალ მიხეილის ძე,
- გოცირიძე ირინე ალექსანდრეს ასული,
- გოძიაშვილი ვასილ დავითის ძე,
- გუგუშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული,
- გურაბანიძე ნოდარ სარდიონის ძე,
- დავითაძე შოთა ივანეს ძე,
- დემეტრაშვილი ნანა ალექსანდრეს ასული,
- დვალისვილი აკაკი არჩილის ძე,
- ეგაძე ოთარ ნიკოლოზის ძე,
- ეგუტია ალექსანდრე პარმენის ძე,
- ეშბა ნელი რაუფენის ასული,
- ვაკელი იონა ლუკას ძე,
- ვასაძე აკაკი ალექსის ძე,
- ვანჩაძე სიმონ გიორგის ძე,
- თავაძე ილია ყუბარის ძე,
- თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის ძე,
- თუმანიშვილი მიხეილ ივანეს ძე,
- თეთრაძე ნუნუ ილიას ასული,
- იაკაშვილი გაიოლ ილიას ძე,
- კავთელაძე ალექსანდრე მიხეილის ძე,
- კაროვი ვლადიმერ ზურაბეგის ძე,
- კასლანძია ლევარსან შარდინის ძე,
- კაკაბაძე პოლიკარპე შალვაის ძე,

- კანდელაკი ვალერიან ლაზარეს ძე,
- კვერენჩხილაძე ზინაიდა ვასილის ასული,
- კიკნაძე ვასილ პავლეს ძე,
- კობალაძე იუსუფ ომარის ძე,
- კობახიძე ბადრი პეტრეს ძე,
- კუკუღაძე კარლო მოსეს ძე,
- ლოლაძე ვახტანგ ვიქტორის ძე,
- ლომინაძე რომან სერგოს ძე,
- ლომთათიძე ლილი ნიკოლოზის ასული,
- ლორთქიფანიძე გიორგი დავითის ძე,
- მანჯგალაძე ეროსი ალექსანდრეს ძე,
- მალოზლიშვილი ნოდარ ალექსანდრეს ძე,
- მებურიშვილი შალვა კონსტანტინეს ძე,
- მესხი შოთა ბეგლარის ძე,
- მეძველია შალვა საშოს ძე,
- მემარიაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე,
- მერკვილაძე თინათინ ერასტის ასული,
- მიქელაძე გიორგი ილიას ძე,
- მრველიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე,
- მალაშვილი თენგივ გიორგის ძე,
- მჭედლაძე დიმიტრი სიმონის ძე,
- შირცხულავა ლევან გერმანის ძე,
- შულდარაძე თეიმურაზ სიმონის ძე,
- შაკაძე ბეჟან ოსების ძე,
- შინიძე ვიქტორ ათანახეს ძე,
- ნინიძე ვიქტორ ვიქტორის ძე,
- ოშიაძე ალექსანდრე ასლანის ძე,
- პაქსაშვილი ლერი ვარლამის ძე,
- პიასეცი მავრ იაკობის ძე,
- პირველი შოთა მიხეილის ძე,
- ყლენტი ბესარიონ დავითის ძე,
- სიხარულიძე ბორის გიორგის ძე,
- ქარელიშვილი ერეკლია დარჩოს ძე,
- ჭუათთელაძე ანზორ კონსტანტინეს ძე,
- ჭავთარაძე გიორგი გიორგის ძე,
- ჭორჭია როდიონ კალინიეკს ძე,
- ყიფიანი აპოლონ კონსტანტინეს ძე,
- შინიძე აკაკი ემელიანეს ძე,
- შვანგირაძე ნინო იასონის ასული,
- ჩაჩანიძე ნოდარ გრიგოლის ძე,
- ჩხრინაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე,

ჩხეიძე ყუყუნა შალვას ასული,
ჩხეიძე დავით იოსების ძე,
ჩხარტიშვილი არჩილ ესტატის ძე,
ფალიაშვილი ვახტანგ ლევანის ძე,
ძნელაძე გივი გიორგის ძე,
ცხადაძე გერვასი იონას ძე,
ცოცოშვილი გიორგი შალვას ძე,
ბორაჯა აკაკი ალექსის ძე,
ბინიკიძე მურად მამედის ძე,

ხერხეულიძე შალვა გიორგის ძე,
პედია ალექსანდრე ნესტორის ძე,
პეიშვილი დიდიმ ვიქტორის ძე,
ჭანელიძე დიმიტრი სევასტის ძე,
ჭანელიძე თენგივ იასონის ძე,
ჭაფარიძე გიგა შალვას ძე,
ჭახუტაშვილი ვახტანგ მოსეს ძე,
ჭვარიძე შოთა ვახტანგის ძე,

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საკავშირო კომისიის წევრები

ბაქრაძე თამარ ივანეს ასული,
ბათიაშვილი გურამ აბრამის ძე,
გუნია ნინო ვალერიანის ასული,
დარისპანაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე,
ვადაჭკორია სიკო დიმიტრის ძე,

ჯანაბრია ვალენტინა ნიკოლოზის ასული,
თვალაშვილი თამარ ნიკოლოზის ასული,
კველიშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე,
ჭინჭიხაძე ვანო პლატონის ძე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პლენუმი

გაიმართა ახლადარჩეული საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პირველი პლენუმი.

დღის წესრიგში იდგა საორგანიზაციო საკითხი — საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია დოღო ანთაძე, პირველ მოადგილედ — გაიოზ იაკაშვილი, მოადგილედ ბორის სიხარულიძე, პასუხისმგებელ მდივნად დავით ჩხეიძე. არჩეულ იქნა აგრეთვე პრეზიდიუმში შემდეგი შემადგენლობით:

ალექსიძე დიმიტრი ალექსის ძე,
ანთაძე დოღო კონსტანტინეს ძე,
გოძიაშვილი ვასილ დავითის ძე,
გურაბანიძე ნოდარ სარდიონის ძე
დვალაშვილი აკაკი არჩილის ძე
ეგაძე ოთარ ნიკოლოზის ძე
თავაძე ილია ყაისარის ძე,

იაკაშვილი გაიოზ ილიას ძე,
კიკნაძე ვასილ პავლეს ძე,
ლორთქიფანიძე გიორგი დავითის ძე,
მანჯგალაძე ეროსი აკაკის ძე,
მჭედლიძე დიმიტრი სიმონის ძე,
პიასეცკი მავრ იაკობის ძე,
ფლენტი ბესარიონ დავითის ძე,
სიხარულიძე ბორის გიორგის ძე,
ქუთათელაძე ანზორ კონსტანტინეს ძე,
შვანგირაძე ნინო იასონის ასული,
ჩხეიძე დავით იოსების ძე,
ჩხარტიშვილი არჩილ ესტატის ძე,
ბორაჯა აკაკი ალექსის ძე,
ჭანელიძე დიმიტრი სევასტის ძე.

ამვე დღეს შედგა სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელმაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია თამარ ბაქრაძე.



აუსაზურიდან სპექტაკლები

ნათელა ურუშაძე

ს. შანსა სახელობის სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზურმა დასმა 6 წარმოდგენა აჩვენა თბილისის მაყურებელს: ბ. შინკუბას „კლდის სიმღერა“, ე. რობერის „მარი — ოქტომბერი“, იბნენის „მოჩვენებანი“, შილერის „დონ კარლოსი“, გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ და რ. გამათთვის „მთიელი ქალი“.

ყოველი სპექტაკლი მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი, მაშასადამე, მისი ნახვაც მხოლოდ ერთხელ შეგვეძლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საუბარი ამ სპექტაკლების შესახებ შთაბეჭდილებათა გაზიარება იქნება.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს ამ დასის შესახებ მსჯელობისას, ესაა კოლექტივის საერთო მაღალი დონე, კულტურა, რომელიც იგრძნობა და ჩანს ყველაფერში: სპექტაკლის სადადგმო მხარეში, ტექნიკის ყოველნაირ გამოყენებაში (განათება, გახმოვანება), მსახიობთა მუშაობაში და კოსტუმების შეკერვის ხარისხშიც კი.

სტანისლავსკი ამბობდა:

„კოლექტივი იქმნება არა მარტო მაშინ, როდესაც თეატრში არიან შესანიშნავი მსახიობები, არამედ მაშინ, როდესაც მკერავეებიც შესანიშნავია, გრიზიორებიც შესანიშნავი, ბუტაფორებიც შესანიშნავი და სცენის მუშებიც შესანიშნავი“.

სოხუმის თეატრის აფხაზური დასის საერთო

რითაა დასის საერთო დონის საუკეთესო და თეატრის საბუთია კოსტუმების შეკერვის მაღალი ხარისხი. ეს იმდენად აშკარაა, იმდენად დამახასიათებელი ყველა სპექტაკლისათვის, რომ მე ვიციხე ვინ ბატონობს ასე კარგად ამ უბანს. გამოირკვა, რომ ამ უღრესად მძიმე უბანს უვლის ევლოკია პოპოვა.

მე სავანგებოდ აღენიშნავ მის ღვაწლს ახლა იმიტომ, რომ სხვა საშუალება არ გამაჩნია იმისათვის, რომ დავუფასო მას დიდი სიყვარული და თავდადებული შრომა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია კოლექტივის საერთო დონის განსაზღვრისათვის.

მეორე, რაც ახასიათებს აფხაზურ დასს, ესაა დიდი სერიოზულობა და ნამდვილი ვატიცება იმით, რასაც აკეთებ სცენაზე, ვანურჩევლად იმისა მთავარ როლს თამაშობ, თუ მასობრივი სცენის მონაწილე ხარ. მათ სპექტაკლებში კი ხშირად მსახიობი ერთ დღეს რომ მთავარ როლს თამაშობს, მეორე დღეს ეპიზოდის ან მასის მონაწილეა. როგორც ჩანს, ეს პრინციპია თეატრისა და ძალიან მისასაღებელი პრინციპიც.

ვინაიდან სცენაზე წამოვი გამოჩენაც საპატიოა, მასობრივი სცენების ხარისხიც მაღალია. ეს სავანგებოდ უნდა აღინიშნოს, რადგან ის ადვილი მისაღწევი არ არის და ამიტომ არც ხში-

სცენა სპექტაკლიდან „სისხლიანი ქორწილი“





განსაკუთრებით საინტერესოა მასობრივი სცენები ბ. შინუბას „კლდის სიმღერაში“, (ორივე დაღმა ეკუთვნის აფხაზური დასის მთავარ რეჟისორს ნელი ეშბას).

შესანიშნავია მასობრივი სცენა-ბაზარი — „კლდის სიმღერის“ II მოქმედებაში — კლდის ფერღობა მოუფენილია შექმნილი უამრავი მკიდევლითა და გამყიდველით. გამყიდველთა წინ კოხტა ნატურმორტებად აფერადებულა კიტირი, ჰამიდორი, მწვანელი, ხილი, ღვინო, ღორჭები... სცენიდან დარბაზში კი, პერსონაჟთა სათქმელი სიტყვის გარდა, მოედინება ის სპეციფიკური ხმოვანება, რომელსაც ქმნის ამ მყიდველ-გამყიდველთა მრავალსახოვანი შესიტყვება... ის ადვილად და ბუნებრივად იბადება ცხოვრებაში, სცენაზე კი ძნელი მისაღწევია.

სულ სხვა ხასიათისაა, მაგრამ აგრეთვე შთაბეჭდვით, ამავე სპექტაკლის მასობრივი სცენა, როდესაც აფხაზი დედა გოდებს (აფხაზეთის ასსრ დამსახ. არტიტი ზ. ერმოლოვა). ამ მსახიობს აქვს დრამატიზმი და ძალიან კარგად ჩატარა ეპიზოდი, რომელიც აგრეთვე გოდებით შთაგრდება. ამ გოდებით მიემართება დედა სცენის სიღრმისაკენ. გმირთა ცხოვრება გრძელდება დედის გოდების ხმაზე, რომელიც სულ უფრო და უფრო შორიდან ისმის, ხმის ძალაც იკლებს — ახალი ეპიზოდისთვის რეჟისორი ამ შორიდან მოტანილ გოდების ხმას ფინანს იყენებს. ამ ფონზე იშლება დიალოგი ხაჯარათსა (ლ. ავიძბა) და კუსტას (მ. კოვე) შორის. სწორედ აქ იბადება ახრი იმის შესახებ, რომ ხაჯარათი ეშვილოს ამ უბედურ დედას.

იწყება შემდეგი მეტად საინტერესო და ძლიერი მასობრივი ეპიზოდი, რომელშიც ნაჩვენებია შვილად აყვანილი აფხაზური წესი. ამ წესის მიხედვით, მკვდარი შვილის სანაცვლოდ ქალს შეუძლია სხვა იშვილოს და ამ გზით გააცოცხლოს თავისი შვილი.

ეპიზოდი ხალხმრავალია. ეს ხალხი მთლიანად ფარავს მხატვარ ე. კოტლიაროვის (აფხაზეთის ასსრ დამს. მხატვ.) მაღალკლდოვან დანადგარს. ასე ქმნიან რეჟისორი და მხატვარი კლდესავით ძლიერი ხალხის შემართებას. ამ ცოცხალი კლდის თავზე ზის შავად მოსილი დედა, რომელსაც მკერდზე თეთრი ქსოვილი აქვს მიფარებული. ასეთია წესი. მის წინ მუხრობილი ღვას ხაჯარათი, რომელიც მოწინააღმდეგე ემთხვევა მკერდზე. ამიერიდან ხაჯარათი შვილია მისი.

ამ მასობრივი ეპიზოდის შინაარსი ეროვნულა, აფხაზური კოლორიტითაა შეფერადებული. როგორც ჩანს, ეს მასის ყველა მონაწილეს ადევნებს. ამიტომ მთელი ეპიზოდი არა მარტო სახიერ და შთამბეჭდავი, არამედ ემოციურიც.

სულ სხვა შინაარსითაა დატვირთული მასობრივი სცენები „ღონ კარლოსში“. აქ მასა უმ-

თავრესად მეფე ფილიპეს სასახლის ატმოსფეროს შექმნას ემსახურება, იმ ატმოსფეროს, რომელშიც იშლება შოლერის გმირთა ემოციური და ძაბული ცხოვრება.

„ღონ კარლოსს“ რეჟისორი ნ. ეშბა მასობრივი სცენით იწყებს (პიესაში ასე არაა) — იხსენება ფარდა, ჩვენს წინაშეა რუხი ფერის მოსასხამებით შემოსილი მასა, რომელიც ზურგით დგას მყურებლისაკენ და თავდახრილი, მძიმე ნაბიჯით სცენის სიღრმისაკენ მიემართება. ამ მასას გამოეყოფა ღონ კარლოსი და იწყება დიალოგი პრინცსა და დომინგოს შორის.

სახიერია ქალთა მასაც, როდესაც ის ერთ მწყრივად გაშლავდა, დიაგნოზით ვადკვევთ სცენას და ერთდროულად დაეშევა ძირს უღრმეს რევერანსში მეფის წინაშე — მიზანსცენა ქმნის ატმოსფეროს, რომელიც სუფევს სასტიკი მეფის სასახლეში.

პირველი მოქმედებაც მასობრივი სცენით შთაგრდება — მოცეკვავეთა დიდ ჯგუფს გამოეყოფა ორი ადამიანი — ღონ კარლოსი და პოზა. მუსიკისა და სასახლის დიდებულთა სამოსელის შარიშურში გვესმის ჩურჩული იმის შესახებ, რომ ბრანბურგისაკენ ცნობის გაგზავნა გერმანიის გზით უმჯობესია.

როგორც ვხედავთ, ყველა ეს მასობრივი სცენა ნაწარმოების დედაპირის გამოვლინებას ემსახურება, ლოგიკურია, სახიერი და მეტყველი.

ფიქრობთ, სადღეისოდ ნ. ეშბას რეჟისორული უნარი და ზღაწერაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ სწორედ მასობრივი სცენების ჩამოკვეთაში ვლინდება. აგრეთვე, საერთოდ სპექტაკლის, როგორც მხატვრული მთლიანობის ორგანიზაციაში. იგრძნობა მისი მასწავლებლის, გამოჩენილი ქართველი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორული სკოლა.

აფხაზური დასის რეჟისურა 4 კაცითაა წარმოდგენილი:

მთავარი რეჟისორი ნ. ეშბა („კლდის სიმღერა“ და „ღონ კარლოსი“), რეჟისორები — დიმ. კორტავა („მარი — ოქტომბერი“ და „პოთიელი ქალი“), მიხ. პარხოლია („მოჩვენებანი“) და ხუტა ჯოპუა („სისხლიანი ქორწილი“).

თითო-ორთაა წარმოდგენილი რეჟისორზე მსჯელობა ძნელია, მაგრამ, ფიქრობთ, მინიმუმ ჩანს, რომ დიმ. კორტავას ნამდვილად ეხერხება გმირთა განლაგება ისე, რომ მიზანსცენა მთ ცხოვრებაში მიმდინარე ამბავს გამოხატავდეს; იცის, თუ როგორ შეამზადოს მომდევნო ეპიზოდი. ჯოპუას და პარხოლიას წარმოდგენებში უფრო კარგად ცალკეული ეპიზოდებია დამუშავებული. ასე, რომ, აფხაზური დასის რეჟისურა საინტერესოა და საიმედო.

რაც შეეხება ამ დასის მსახიობებს, ჩვენს ზიერ ნანახი ნ სპექტაკლი ცხადყოფს, რომ დასის ვე-



ლა თაობა აქტიურადაა ჩართული შემოქმედებით მუშაობაში. აქ არიან უფროსი თაობის ისეთი ცნობილი მსახიობები როგორცაა: რესპუბლიკის სახალხო არტისტები — მ. ზუზბა, ლ. კასლანძია, რაზამბა ავრბა, აზიზ ავრბა, მიხეილ კოვე, ა. არგუენკოშვიტი.

ახალგაზრდობის შედარებით უფრო გამოცდილი ნაწილი: რესპუბლიკის უკვე დამსახურებული არტისტები: ე. კოლონია, მ. ფაჩალია, ს. აგუმაია, რ. ჭოპუა, თ. ლავგილაია, ა. ერმოლოვი, ს. ღბარი, ნ. კამკია, შ. გიგბა, ს. საქანია, ა. თანია, ჩ. ჭენია...

სულ ახალგაზრდები: ვ. კოვე, ვ. აბლოტა, ს. განია, დ; ავიბა, ლ. ვანჩა, ნ. ლაიკოვა, პ. ჭიკირბა და სხვანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ განსხვავებული თაობის მსახიობები შემოქმედებითად შეხმატებულენ არიან — როგორც იტყვიან, ერთ ენაზე ლაპარაკობენ სცენაზე.

ეს შით უფრო სასიამოვნოა, რომ აფხაზური დასის დღევანდელი შემადგენლობის სამი მეთხელი რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილები არიან. მათ ასწავლიდნენ სასცენო ხელოვნების გამოჩენილი ისტატები: აკაკი ფლავა, აკაკი ხორავა, ანტონ თავზარაშვილი, მაიკოა მრეველიშვილი, ბაბო ნიკოლაიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვანი.

6 სექტაკლში ყველა მსახიობის შესაძლებლობათა გამოვლენა შეუძლებელია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ კვლავინდებურად ძლიერია მიწინაღობა ზუზბა (დელა) „სისხლიან ქორწილში“, ხადიჯატი „მოთელ ქალში“, ლ. კასლანძია (შაბატი „კლდის სიმღერაში“), აზიზ ავრბა (ჯატი „კლდის სიმღერაში“, სიმონო „მარი-ოქტომბერში“), რაზამბეი ავრბა (გუბერნატორი „კლდის სიმღერაში“, ლერმა „ღონ კარლოსში“, მარინავალი „მარი-ოქტომბერში“), მიხეილ კოვე (პატარძლის მამა „სისხლიან ქორწილში“, კუასტა „კლდის სიმღერაში“).

ახალგაზრდობას თეატრის ხელმძღვანელობა თამამად ანდობს განსხვავებულ, რთულსა და პასუხსაგებ როლებს:

ლ. ავიბა — თამაშობს ხაჯარათსა და იუსუფს („კლდის სიმღერა“ და „მოთელი ქალი“). ე. კოლონია — მარი-ოქტომბერს, პატარძალს, აშურას, („მარი-ოქტომბერი“, „სისხლიანი ქორწილი“, „მოთელი ქალი“), ს. აგუმაია — ფრუ ავიენგს, პრინცესა ეზოლის, ასიათს, („მოჩვენებანი“, „ღონ კარლოსი“, „მოთელი ქალი“), ე. ერმოლოვი — პასტორ მანდერსს, ჰერცოგ ალბას, პეტეს, („მოჩვენებანი“, „ღონ კარლოსი“, „მოთელი ქალი“), ს. ღბარი — რევიანს, ელისაბედ ვალუას („მოჩვენებანი“, „ღონ კარლოსი“), ნ. კამკია — მეფე ფილიპეს, ლეონარდოს, ნახარბის, („ღონ

კარლოსი“, სისხლიანი ქორწილი“, „კლდის სიმღერა“), ვ. კოვე — ოსვალდს, ლეუგენენს, დონ კარლოსს („მოჩვენებანი“, „მარი-ოქტომბერი“, „ღონ კარლოსი“). შ. გიგბა — მარკიზ პოზას, საქმროს, ოსმანს („ღონ კარლოსი“, სისხლიანი ქორწილი“, „მოთელი ქალი“).

რა თქმა უნდა, ყველა ამ როლის შესრულება არ შეიძლება ერთი მხატვრული ღონის იყოს მათვარია, რომ ახალგაზრდობა მუშაობს ასეთ როლებზე, რომ ამგვარი თეატრის ხელმძღვანელობის ტენდენცია ამგვარი ტენდენცია მისასაღებელია, მაგრამ მას თავისი ჩრდილიც სდევს ხოლმე.

ახალგაზრდა მსახიობის დიდი და რთული როლებით დატვირთვა შეიძლება დასაფიქრებელიც ვახდეს. იმიტომ, რომ ამგვარი როლი მოითხოვს არა მარტო ბუნებრივ მონაცემებს, არა მარტო ნიქს, არამედ გამოცდილებას. ამას კი დრო სჭირდება.

მაგალითად, ძალიან კარგი მონაცემების ახალგაზრდა მსახიობია ვ. კოვე. იგი სავსატროლო რეპერტუარის 4 სექტაკლშია დაკავებული (წამყვანი „კლდის სიმღერაში“, ლეუგენენი „მარი-ოქტომბერში“, ოსვალდი „მოჩვენებანი-ში“, და ღონ კარლოსი). ორ უკანასკნელში კოვეს ისეთი დატვირთვა აქვს, რომ წარმოდგენის დასასრულისთვის ძალა აღარ ყოფნის, რომ საჭირო სიმდიერით დაასრულოს თავისი გმირის სცენური სიკოცხლა. ის გამოუცდიელია და ჭკრ ვერ ახერხებს საკუთარი ემოციების სათანადო განაწილებას.

შემოქმედებითი ენერჯის ზედმეტი გადახარჯვა სახიფათოა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ უსათუოდ უნდა იფიქროს არა მარტო ახალგაზრდების საინტერესო როლებით დატვირთვაზე, არამედ მათი შესაძლებლობების თანდათანობით განვითარებაზეც. ამის უმთავრესი პირობა კი, როგორც ყველაფრის პირობა თეატრში, არის რეპერტუარი.

როგორია სოხუმის აფხაზური დასის სავსატროლო რეპერტუარი? 6 პიესიდან, რომელიც იხილა თბილისის მაყურებელმა, ერთი ეკუთვნის აფხაზ ავტორს (ბ. შინკუბა), ერთი დაღესტნელს (რ. გამაშთოვი), დანარჩენი 4 ფრანგ, გერმანელ და ნორვეგიელ ავტორებს.

მათ შორის არცერთი ჩვენ თანამედროვეობას არ ასახავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოლექტივი თანამედროვე საკითხებზე კლასიკური წარმომებებით მსჯელობს. ასეთი გზა ცნობილია, კლასიკა უნდა ცოცხლობდეს სცენაზე, მაგრამ უსათუოდ თანამედროვეობის ასახველ წაწარმოებებთან ერთად. თანამედროვე წაწარმოებებზე მუშაობა, თანამედროვე გმირის სცენაზე განხორციელება სჭირდება როგორც მაყურებელს, ისე თვით მსახიობს.

11.12.52

შესამჩნევია ისიც, რომ აფხაზური დასის საგასტროლო რეპერტუარში ადგილი არა აქვს დათმობილი კომედიას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოლექტივის შემოქმედებითი განვითარება გარკვეული თვალსაზრისით ცალმხრივია და სათანადოდ ვერ ავლენს მსახიობთა კომედიურ შესაძლებლობებს. კომედიური პოტენცია კი ნამდვილად არის აფხაზურ დასში. იგივე ე. კოვე შესანიშნავად თამაშობდა პოდკოლიოსინს გოგოლის „ქორწინებაში“ ინსტიტუტის სცენაზე. უფროს თაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, დასში არიან ისეთი ახალგაზრდები,, როგორცაა ვ. აბლოტია, ნ. ლაკობა, პ. ჯიკირბა, ნ. ქიშვარია და სხვანი, რომლებიც სწორედ ამგვარი თვისებებით არიან

დაჯილდოვებულნი, რეპერტუარი კი მათი უნარის ფასოვანი გამოვლენის საშუალებას ვერ იძლევა. მაშასადამე, მაყურებელი და მსახიობები მოკლებული არიან იმ სიხარულს, რომელიც შეიძლება მიიღონ კარგი კომედიისაგან.

როგორც უკვე აღინიშნა, სოხუმის თეატრის აფხაზური კოლექტივი მაღალი დონის კოლექტივია, იგი მდიდარია შემოქმედებითი ძალებით. აქვს გარკვეული შემოქმედებითი პოზიცია, რომელსაც დასი იზიარებს.

ყველა გრძნობს მასზე დაკისრებული საქმის პასუხისმგებლობას, უყვარს თავისი პროფესია და მიუღი გულით ემსახურება მას. ამიტომ გვგვარა რომ ამ თეატრის ზვალინდელი დღე უკეთესი იქნება.



სცენა სპექტაკლიდან „მონაწილენა“

ქართული დასის სპექტაკლები

ნადია შალვათაშვილი

თბილისელი მკურებლის წინაშე ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშით წარმოსდგენენ სოხუმის ს. ჭანავას სახელობის თეატრის აფხაზური და ქართული დასები.

ქართულმა დასმა გასტროლებზე ჩამოიტანა ექვსი სხვადასხვა ენისა და თემატის სპექტაკლი. ესენია: ვაჟა-ფშაველას „მოთანი მალაღნი“ (გ. ხუხაშვილის ინსცენირებით), ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას ოჯახი“ (თარგმანი შ. გაბესკირიასი), ნ. პოგოდინის „პეტრარკის სონეტი“ (თარგმანი გ. კალანდიასი), ჯ. პრისტლის „სახიფათო მოსახვევი“ (თარგმანი თ. გოდერძიშვილის), ვ. ჰიუგოს „მარია ტიუდორი“ (თარგმანი ე. დავითაიასი) და ე. ვასილიანის „მამა, დაავდე თოფი“.

რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანია, კრედიტ კი. ჩვენის აზრით, რეპერტუარში ვადა-ქარბებულად დიდი ადგილი უკავია კლასიკას და ნაკლებადაა წარმოდგენილი ქართული თანამედროვე დრამატურგია, დღევანდლობის ამსახველი პიესები. ამ მხრივ ნ. პოგოდინის სუსტი პიესისა და ახალბედა ავტორის ა. ვასილიანის პიესის, დადგმა, რომლებშიაც არ არის დასმული დიდი, საზოგადოებრივი ქვრადობის პრობლემები, წაიკითხს არ წყვეტს...

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის სწრაფე მოწახოს საკუთარი ავტორი, იმუშავს მასთან, უფრო, დადებითი მოკლენა და ის დაქტი, რომ თეატრმა მოიზიდა და საკმაო მუშაობა ჩაატარა ა. ვასილიანთან პიესაზე „მამა, დაავდე თოფი“ უფროდ მისასაღებელია. კარგი იქნებოდა, რომ ქართულ დასს დაედა აფხაზური პიესა, ხოლო აფხაზ მსახიობებს განეხორციელებინათ ქართული ავტორთა ნაწარმოებების დადგმები.

მთავარი კი, მაინც ის არის, რომ თეატრმა სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატაროს თანამედროვე დრამატურგიის ათვისების საკითხში. თუ კი საქართველოს ფარგლებს იქით იჩენენ ინტერესს ჩვენი დრამატურგების ნაწარმოებთა მიმართ და მათი პიესები თუნდაც ამ ბოლო ხანს, ბევრგან დაიდგა, მით უფრო, ჩვენს თეატრებს მართებთ ამ მხრივ ყურადღების გამახვილება. რეპერტუარში არსებული ხარვეზების მიუხედავად, ინტერესე თეატრისადმი დიდი აღმოჩნდა, რასაც მოწმობდა მკურებლთი სავსე დარბაზი...

გასტროლებს ერთგვარი ტონი მისცა პირველმა სპექტაკლმა „მოთანი მალაღნი“. დიდი ქართული კლასიკოსისადმი ინტერესი სავსებით ბუნებრივია და ჩვენ არაერთხელ გვინახავს მის ნაწარმოებთა ინსცენირებანი სცენაზე.

დაკვირვებულმა და გამოცდილმა დრამატურგმა გ. ხუხაშვილმა, ძალიან ფრთხილად, ოსტატურად შეარჩია ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთულაური“, „სტუმარი-მასპინძელი“ და სხვანი, მათ საფუძველზე შეიქმნა ეპოური, ვაჟაკობისა და რაინდული შემართების მატარებელი ნაწარმოები, რომელსაც ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა და მხატვარმა თ. ყვანამ მოუწახეს ეფექტური, მეტად შთამბეჭდავი ფორმა.

აღსანიშნავია, რომ სპექტაკლები „მოთანი მალაღნი“ და „მამა, დაავდე თოფი“ (რეჟისორი ლ. პაქსაშვილი) თეატრის შემოქმედებით სწრაფეა მიგვიანიშნებს, ვეჩვენებს, რომ კოლექტივის იტაცებს რომანტიკული აზღვებულთა, თეატრალიბა, კარგი ვაგებით, და მაღალი ენებობის გამოხატვა. ჩვენმა პრესამ სამართლიანად გამოჰყო „მოთანი მალაღნი“ და დიდი ქება შეასახა მას. ამ სპექტაკლში, რომელიც ლურჯ-ისფერ ტონებში, ტეხილ ხაზებში ბრწყინვალედ გადმოცემულ მთების ფონზე მიმდინარეობს, ყველაფერი გიპყრობთ თავისი დრამატიზმით, უაღრესად ხატოვანი, აზრობრივად დატვირთული, სიმბოლოების სიმალეზე ასული მიზანსცენებით. მთელი სპექტაკლი გამსჭვალულია პოეტურობით, ვაჟაკობით სისადავით და დიდი აღმზანური ენებებით. ამ წარმოდგენაში ნაოლად გამოჩნდა რეჟისორის გამოსახვის ახალი სტილიტიკისადმი სწრაფეა. ეს ახალი მკიდროდაა გადაჭეული კ. მარამიშვილისა და ს. ახმეტელის შემოქმედებით ტრადიციებთან. სპექტაკლში იგოჩნდა რეჟისორის ფანტაზია, მისი აზროვნების ტემპერამენტი. ლ. პაქსაშვილი გაბედულად, თავისუფლად ძერწავს სპექტაკლის სკულპტურას, უაღრესად შთამბეჭდავ ფგუფებს, მშენიერად იყენებს ფერებს (შავი და თეთრი ნაბლები), განათებას, რაშიც მას დიდი დახმარება გაუწია დახვეწილი გემოვნების მქონე მხატვარმა თ. ყვანამ. რეჟისორი, მხატვარი, მსახიობები გამსჭვალულნი არიან ვაჟა-ფშაველას პიესის ტრავიკული პათოსით, მათ შემოიტანეს წარმოდგენაში



შთამავანებელი რომანტიკა, ხალხური სიბრძნის ის სისადავე, რაც ქართული პოეზიის ერთ-ერთ თვისებას წარმოადგენს. სპექტაკლში რიტმულად შეკრული, პლასტიკურად მშვენიერი მასობრავი სცენები შექმნილი და სცენური მოძრაობის კულტურის მაღალ დონეზეა გადაწყვეტილი. ამას მოწმობს ღრმა დრამატუზით აღსავსე მეორე აქტი და განსაკუთრებით მისი ბრწყინვალე, ტრაგიკული სიმძაფრით გამსჭვალული ფინალი.

ა. ვასილიანის „მამა, დაავადე თოფი!“ თუძეც თა. ნამედროვე სვანეთის ცხოვრების ზოგიერთ პრობლემებს ეხება, თავისი სტილისტიკით, სავრთო ტონით „მთანი მაღალი“-ის უღვას გვერდში. მით უფრო, რომ როგორც რეჟისორი, ისე მხატვარი ერთი და იგივეა ორივე წარმოდგენაში.

მიუხედავად იმისა, რომ ახალბედა დრამატურგის პიესას ვარკვეული ხარვეზები სდევს თან, რომ იგი დრამატურგიულად ნაკლებადაა შეკრული, ავლია კონფლიქტის სიმკვეთრე, ხასიათების სიღრმე, მაინც საინტერესო აღმოჩნდა იმ ინტერპრეტაციაში, რომელიც მას სოხუმელებმა მისცეს.

ამ წარმოდგენაშიც ლ. პაქსაშვილმა გამოამჟღავნა თავისი სწრაფვა რომანტიკული ამაღლებულიზმისკენ, მასობრივი სცენების უღარესად საინტერესო გადაწყვეტის უნარი, მდიდარი ფანტაზია, ეს თვისებები შედარებით ნაკლებად გამოვლენილია ვ. ჰიუგოს „მარია ტიუდორში“, თუმცა ამ სპექტაკლშიც არის საინტერესო სცენები, ფერებისა და სინათლის ოსტატური გამოყენება (მხატვარი ე. კოტიარიოვი). ჩვენის აზრით, დიდად საინტერესოა როგორც შემოქმედებითი კოლექტივისათვის, ასევე ლ. პაქსაშვილისათვის „ბერნარდა ალბას ოჯახი“-ს დადგმა. იგი საინტერესოა თავისი მშვენიერი აქტიორული ანსამბლით, საინტერესოა რეჟისორის მსახიობთა მუშაობის ოსტატობის მხრივ. ამ ღრმად ფსიქოლოგიურ პიესაში ყველაფერი, ყველა კონფლიქტი გადატანილია პერსონაჟთა შინაგან სამყაროში, პიესა ქვეტექსტურად იგნორირებულია, ამ წარმოდგენაშიც ნათლად ჩანს რეჟისორის მიერ სკულპტურული, უღარესად შთამბეჭდავი მთანსცენების ძერწვის მშვენიერი უნარი, მთავარი მასში მინც ვნებების ღრმა ამოხსნა, წარმოდგენაში თანდათან იზრდება შინაგანი დაძაბულობა, ბერნარდა ალბას გარეგნულად მყუდრო და მშვიდი ოჯახში დაუცხრომელი ვნებები დღეს, მზადდება მათი კატასტროფიული აფეთქება და ეს აჯანყება, პროტესტი, ტრაგიკული ფინალი უღარესად მძლავრი და ამაღლებელი, წარმოდგენის კულმინაციაა წარმოადგენს... ბნელეთის საშფოთის შემსუფთვალ ატმოსფეროში, რომელიც ბერნარდას სახლში მეფობს, მომწიფდა პროტესტი, გაბედულად ვაისმა ადამიანის, პიროვნებას

თავისუფლებს თემა... რეჟისორი პიესაში მძივრ მულ კონფლიქტებს, ენებათა შეჯახებებს, მინარსიან, სიმბოლოს სიმადლეზე ასულ სკულპტურულ მიზანსცენებში გადმოგვეცემს, გვიტაცებს გამოამბავებლობით საშუალებების ლაკონიზმითა და მიზნობრივობით.

სულ სხვა პლანის წარმოდგენაა — „სახიფათო მოსახვეი“. რეჟისორმა ბ. ტრონიკაქემ (მხატვარი თ. ხუციშვილი), ინგლისელი დრამატურგის ამ ცნობილ პიესას საინტერესო გადაწყვეტა მოუწნა.

ქუნწად, მაგრამ საინტერესოდ გაფორმებულ ინტერიერში (მხატვარი თ. ხუციშვილი) გადმოცემულია მდიდარი ინგლისის ოჯახის გარეგნულად რესპექტაბელური ატმოსფერო. ამ ოჯახში, ერთი შეხედვით, თითქმის არაჩვეულებრივი არაფერი ხდება, ამიტომაცაა ასე ქუნწი რეჟისორი და ასე ფრთხილად არჩევს მიზანსცენებში. იგი ცდილობს ჩაგვახედოს ამ გარეგნულად ბრწყინვალე ადამიანების სულში, თანდათანობით მზილების გზით გვიჩვენოს თუ რა ბოროტ მოქმედება, ზნეობრივი ქუქვის და ზნედაცემულობა სუფევს ამ ბრწყინვალე ფორმის მიღმა. რეჟისორი ღრმად იტრება ნაწარმოების წყობაში, სწორად აღიქვამს მის სტილისტიკას, მოხერხებულად, შიგნიდან ხსნის პიესის ქვეტექსტებს, რომლებზედაც აგებულია მთელი ეს სოციალურად მამხილებელი, მკვეთრი სპექტაკლი და რეჟისორ ბ. ტრონიკაქემს უტყუარ და საინტერესო მონაქმეებზე შექმნილია.

სამწუხაროდ, თეატრის შეცდომას წარმოადგენს პიესის პეტრარკას სონეტის“ არჩევა. პიესა და სპექტაკლი (რეჟისორი გ. სულიაშვილი) ვერ სტოვდებიან შთაბეჭდილებას. სუსტია, უფემოვნი მისი მხატვრული გაფორმებაც (თ. ყვანია), სპექტაკლი მოკლებულია შინაგან ერთიანობას.

სოხუმის ქართულმა დასმა ათეული წლების განმავლობაში გამოიმუშავა საკუთარი ტრადიციები, მის აფიშებს ამშვენებდა არაერთი ცნობილი და ნიჭიერი შემოქმედის სახელი. დღესაც თეატრი ცდილობს მონახოს საკუთარი შემოქმედებითი სახე, თავისი ინდივიდუალობა, რომელსაც ჰქმნის არა მარტო რეჟისორმა, არამედ ნიჭიერი მხატვრები თ. ყვანია, თ. ხუციშვილი, ე. კოტიარიოვი და კომპოზიტორი მ. ჰერიაკაშვილი.

მაგრამ თეატრში მთავარი, თავი და თავი, მაინც მსახიობია და სწორედ ამაზე გესურს შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება.

სოხუმის თეატრის ქართულ დასს ჰყავს გამოცდილი ოსტატები. უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლებმა, მ. ჩუბინიძემ, ვ. ნიშიძემ, მ. მჭეშვიძემ, თ. ბოლქვაძემ, ვ. დოლიძემ, ნ. ყვიფიანმა, ტ. ზორავამ, ვ. ნუფარიძემ და სხვათ, დიდი ხანია მყურებლის სიყვარული და



პატივისცემა დამსახურეს. ამჯერად ბევრმა მათგანმა მიიპყრო ყურადღება მთელი რიგი საინტერესო ნაშუქვებით.

პირველ რიგში გვსურს ავღნიშნოთ მ. ჩუბინიძე — გამოცდილი ოსტატი, რომელმაც ითამაშა ორ სპექტაკლში — მოხუცი მეციხოვნე ჯოშუა ფარნბი პიუგოს „მარია ტრედორი“ და სვანის გეგე სპექტაკლში „მამა, დაავდე თოფი“...

უკანასკნელი როლი უთუოდ ყურადღების ღირსია. აქ გამოჩნდა მსახიობის უნარი შექმნას ძლიერი, შთამბეჭდავი ხასიათები. მსახიობი ოსტატურად გვიჩვენებს ძველ ადათ-წესებზე აღზრდილი მოხუცი სვანის სულიერ ბრძოლას, იგი აღმავებს პიესაში მოცემულ სახეს, თამაშობს სადად, განცდათა მთელი სიღრმითა და სიმართლით.

უთუოდ წარმატება ხვდა წილად მკვეთრად სახასიათო მსახიობს ვ. ნინიძეს, რომელმაც შეასრულა მოხუცის როლი („მოთანი მალანო“), ებრაელი მეეახში („მარია ტრედორი“) და სოფრომა („მამა, დაავდე თოფი“). ყველი ეს სახე განსხვავებულია, მსახიობი კარგად ხსნის თავისი გმირების ეროვნულ ბუნებას, ინდივიდუალურ თვისებებს, ნახულობს საინტერესო, დასამახსოვრებელ დეტალებს თავისი გმირების ხასიათისა და განცდების გასახსნელად.

კეთილშობილი თავშეკავებულობა ემოციათა გადმოცემაში და ამავე დროს ღრმა მგზნებარება ახასიათებს თ. ბოლქვაძის საშემსრულებლო მანერას. და, თუ „სპეტარაკის სინეტიში“ მან ჰარ. ბი ფერებით დაგვიხატა მდაბალი სულის, ეგოსტური ზრახვებით საესე, გულცივი, შეზღუდული გონების ქალი ქსენია პეტროვნა, სპექტაკლში „ბერნარდა ალბას ოჯახი“, მან შექმნა უთუოდ მნიშვნელოვანი სახე უბრალო ესპანელი გლეხი ქალისა, მტკიცე ხასიათის, სიმართლის მოყვარულისა, რომელსაც სძულს ბერნარდას ოჯახი, მასში გამეფებული სიყალბე და სიცრუე, მოჩვენებითობა...

პონსია-ბოლქვაძე ჭეშმარიტად ხალხური სახეა, იგი სცენაზე ცხოვრობს და მოქმედებს სავეცხოვრებელი.

არა მარტო თავისი შემოქმედებითი, არამედ ასაკობრივი დიაპაზონიც გვიჩვენა ვ. ნუფარიძემ, რომლის ნიჭის სხვადასხვა თვისება გამოვლინდა სპექტაკლებში „ბერნარდა ალბას ოჯახი“ (ბერნარდა), „მამა, დაავდე თოფი!“ (მართა), „სახიფათო მოსახვევი“ (ფრიდა კეპლენი) და „მოთანი მალანო“ (ალაზა) — ოთხი გმირი, ოთხი სხვადასხვა სახე. თუ ალბას როლში ვ. ნუფარიძე გვიპყრობს ახალგაზრდობითა და განცდათა უშუალოთა, ხოლო მართას როლში დედობრივი შიშითა და წუხილით გვიზიდავს. თუ ამ სახეებში მთელი ქალის ხასიათი და ბუნება მშვენივრად არის გადმოცემული, ფრიდა კეპლენის როლში

მსახიობი სრულიად სხვა ხერხებითა და სახე-ბავებით, მამხილებელი პათოსით გვიჩვენებს უკრუ პირმოთნე ლედის სახეს, გვიჩვენებს მის შინაგან სიკარიელს.

სიმკაცრე და სისასტიკე, მოჩვენებითი ღღეს-მოსაობა და დესპოტიზმი გამოსვევის ვ. ნუფარიძის ბერნარდას სახეში. ეს სახეგაყინული ქალი მტაცებელ ფრინველს მოგვაგონებს, რომელიც შიშსა და ძარწოლას იწვევს მის ახლობლებში. ვ. ნუფარიძე ოსტატურად ხსნის ნიღაბს ბერნარდას, გვიჩვენებს მის წვრილმანობას, სულმდაბლობას, რომელიც ნამდვილი არსია მისი პატივმოყვარეობითა და წოდებრივი ამპარტაენობით შეპყრობილი ბუნებისა.

სავსტროლო სპექტაკლებში უთუოდ საერთო მოწონება დამსახურეს დასის წამყვანმა მსახიობებმა ვ. მთაწმინდელმა, ლ. ფილფანმა და გ. ხურცილავამ.

ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მონაცემებით, ტემპერამენტით, მაგრამ უაღრესად საინტერესო და მზარდი შემოქმედნი არიან.

ლ. ფილფანი საყმაოდ დიდი ხანია სოხუმის თეატრის სცენაზე მოღვაწეობს, თამაშობს სხვადასხვა ხასიათის როლებს და ყველგან ამჟღავნებს არა მარტო ტემპერამენტს, არამედ ღრმა ანალიზის უნარს.

სპექტაკლში „მოთანი მალანო“ ლ. ფილფანმა მაყურებელი გაიტაცა თავისი გმირის ალუდა ქეთელაურის ვეკატური კეთილშობილებით, ხასიათის სიმტკიცით, მოძრაობის საოცარი, მთაუღური გრაციით, მსახიობმა ღრმად გახსნა თავისი გმირის უშუალოდა, სულიერი სილამაზე და ხასიათის სიმტკიცე, შეუღრკველობა, მოძალადე ეგოსტი გვიჩვენა მან მურხას („მამა, დაავდე თოფი!“) როლში...

თუ ამ სპექტაკლებში იგი უაღრესად ქართულ სტიქიაში ცხოვრობდა, „მარია ტრედორი“ და „საშიშ მოსახვევი“ სხვა ეროვნულ ბუნებაში გადაინაცვლა, გვიჩვენა მოხერხებული კარისკაცი სიმონ რენარი, — ელევანტური, თავდაპირილი და ჭკვიანი, ცინიზმითა და მიშიიდველობით ხასიათდებოდა ლ. ფილფანის ჩარლზ სტენტინი.

მიშიიდველობით, მშვენიერი გარეგნობით, ქალური სინაზითა და უშუალოთი მოხიზლა მაყურებელი მსახიობმა ქალმა ვ. მთაწმინდელმა და თუ სპექტაკლში „მარია ტრედორი“ იგი უფრო ღირიყულია და პოეტური, ვიდრე დრამატული, დრამატიზმის ძალა მან სავესებთ გამოავლინა „ბერნარდა ალბას ოჯახში“. ვ. მთაწმინდელი ჭკვიანი მსახიობია, კარგად ახერხებს გმირის სულში ღრმად ჩაწვდომას, კარგად ძერწავს ხასიათს, გრძობს ვეპოს სტილს.

ვ. მთაწმინდელი მომიხილებელია მარია ტრედორის როლში, ამაყი, შეუვალი, მაგრამ დრამა-

ტულ სცენებში ძალა არ ჰყოფნის და ლირიკულ ხაზს მიჰყვება, სამაგიეროდ, ესპანური ტემპერამენტის სიმღერით მოაქვს მაყურებელამდე ადელას, ბერნარდა ალბას უმცროსი ქალიშვილის ტრაგიკული, უბედური სიყვარულის განცდება. მისი ადელა ძლიერია, თავდავიწყებით შეყვარებული, ხასიათის სიმტკიცით გამოირჩევა თავისი დებისაგან, იგი უკომპრომისოა ბრძოლაში და მზად არის დაიღუპოს სიყვარულისათვის. სინატიფე, ქალურობა, პოეტურობა, მთათოღვაერება, რომელიც ახასიათებს ვ. მთაწმინდელის აქტიურულ პალიტრას, კარგად გამოვლინდა „პეტრარკას სონეტში“... იგივე ქალური თვისებები გამოიყენა ბეტის ყალბი, ეგოისტური ბუნების გასახსნელად „სახიფათო მოსახვევში“...

არ შეიძლება ყურადღებით არ დავუყვირდეთ გ. ხურცილავას, რომლის შინაგანი და გარეგნული აქტიორული მონაცემები, ტემპერამენტი და მომხიბლაობა უთუოდ საწინდარია მსახიობის წარმატებისა. გ. ხურცილავა ნიჭიერად ასახიერებს ჟოჟოლას („მომანი მალაღნი“), ღრმა სიმართლით გვიხატავს თავისი გმირის კეთილშობილებას, სულიერ სიწმინდესა და ვაჟკაცობას. რომანტიკული მგზნებარებითაა გამსჭვალული მისი ფაბიანო ფაბიანი „მარია ტიუდორში“. აქ მსახიობი თამაშობს მიმზიდველ ავანტიურისტს, საშუალო საუკუნეების გმირს. ამ სპექტაკლში გ. ხურცილავა ამჟღავნებს აქტიორულ კულტურას, მაღალ პროფესიონალიზმს. სრულ გარდასახვას აღწევს იგი „სახიფათო მოსახვევში“, სადაც მშვენიერად ასახიერებს რობერტ კეპლენს.

თუ ჰიუგოს სპექტაკლში მის თამაშს ფართო ეესტი, ერთგვარი პათოსიც კი ახასიათებს, პრას

ტლის პიესაში მშვენიერად გრძობს სტილს, უფრო თავშეკავებულია, თავისი ფსიქოლოგიით დაინტერესებული. გვიჩვენებს ზნას, რომელიც მხილებების მთელ ჯაჭვს წარმოადგენს. სიმართლის ძიება, რომელიც კეპლენს სრულ სიყარულემდე, ტრადიკულ აქტამდე მიიყვანს.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ყველა მსახიობზე, ყველა სახეზე, მაგრამ უთუოდ მოწონების ღირსია ნ. ყიფიანისა და ქ. დოლიძის მიერ შექმნილი მარინას და ხოსეფის კოლორიტული, საინტერესო სახეები სპექტაკლში „ბერნარდა ალბას ოჯახი“ და „პეტრარკას სონეტი“. აღსანიშნავია ავრეთე თ. გონიტაშვილის ანგუსტინას („ბერნარდა ალბას ოჯახი“) და კლარა („პეტრარკას სონეტი“), ო. ხარაძის მაგდალენა, ლ. კუპრეაშვილის ამალია და თ. ბაბლიძის მარტინიო, თ. მელაძის მსახური ქალი „ბერნარდა ალბას ოჯახში“, ლ. მიქაშაძის ჯენი, ლელა, ნანი, ნ. მასხულის დრონოვი, ბექნე, გ. რაღიანის გორდონ უაიტჰაუზი და სხვა. ეს სახეები საინტერესოა და მხოლოდ წერილის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას მათზე ვრცლად შევჩერდეთ...

სოხუმის ქართული დრამატული დასი ძიების გზაზე დგას, აქვს მას თავისი ხარვეზებიც, ჩრდილოვანი მხარეები, მაგრამ იგი მზარდი, შერტული კოლექტივია, მის შემოქმედებით ხელწერას ახასიათებს საღებავების ლოკალობა, ამაღლებულია, მკვეთრი თეატრალიზაცია. ეს დასი მისწრაფვის იყოს თანამედროვე ხელოვნების მოთხოვნილების სიმაღლეზე და ამაში მისი გამარჯვების საწინდარი.

სცენა სპექტაკლიდან „მარია ტიუდორი“



ლუდვიგ ფულდა ქართულ სენანზე ზოთა რევიზილი

პართული თეატრის სენანზე იღვებოდა გერმანელი მწერლის ლუდვიგ ფულდას ორი პიესა: რეკლამაჲ — „ჩერჩეტი“ და მის შემდეგ — „ვირის ჩრდილი“. თავის დროზე ფულდა უარესად პოპულარული მწერალი იყო. ამ მხრივ იგი უტოლდება გოეთეს ხანაში სახელგანთქმულ დრამატურგს ავეუსტ კოცებუს. დღეს კი, შეიძლება ითქვას, იგი კოცებუსთან ერთად ერთგვარად მივიწყებულია და ამიტომაც კრიტიკულსა და საცნობარო ლიტერატურაში, აგრეთვე დრამატურგიისა და თეატრის ისტორიებში, მეტად ძუნწადაა განხილული ფულდას რეკლამაჲდელი შემოქმედება, ხოლო მომდევნო პერიოდი — თითქმის არსადაა გაშუქებული.

ფულდას შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი ქრონოლოგიურად ემთხვევა ნატურალიზმის დაკნინების პერიოდს. ამიტომაც მან თავდაპირველად განიცადა ნატურალიზმის გავლენა, ხოლო საიუვენის დასასრულს ერთგვარად ხარკი მიუზღა სიმბოლიზმს. კიდევ უფრო მომდევნო პერიოდში დაწერა მსუბუქი სატირიკული კომედიები, რომლებშიც გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურის მოტივები, თემები და სასიათები. თუ ფულდას ლირიკა და პროზა ავტორისავე სიცოცხლეში შეუქმნეველი დარჩა, დღეს დაიწყებულია აგრეთვე თავის დროზე ეგოდენ პოპულარული დრამატული თხზულებები: „ქალის უფლება“ (1883) და „დაკარგული სამოთხე“ (1892), „მონა ქალი“ (1892) და „თილისმა“ (1893); „საიდუმლო მეფე“ (1906) და „ჰარიერა“ (1932), აგრეთვე სხვები.

ლუდვიგ ფულდა დაიბადა 1862 წლის 15 ივლისს მაინის ფრანკფურტში. ოცდერთი წლისამ პაიდებერგში დაამთავრა უნივერსიტეტი და მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი. ამიერიდან მოყოლებული იგი ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას. 1888 წელს ბერლინში გადასახლებული ჩაება თეატრალური ცხოვრების ორომტრიალში, გახდა „ფრაიე ბიუნეს“ დამაარსებელი და ხელმძღვანელთაგანი. ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად ფულდა ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. მოლიერისა და ბომარშეს, ბენენისა და შექსპირის პიესების აგრეთვე პეტრფის ლექსების მისეული თარგმანები დღესაც იმსახურებენ მკითხველთა მოწონებასა და სიყვარულს. უკანასკნელად ფულდა იყო პრუსიის მწერალთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნაცისტური რეჟიმის მძიმე პირობებში, როგორც ებრაელმა, ლუდვიგ ფულდამ ევლარ გაუძლო მორალურ დამცირებას და 1939 წლის 30 მარტს თავი მოიკლა სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში.

ლუდვიგ ფულდას პირველი პიესა — „დაკარგული სამოთხე“ დაწერილია მუსათა ყოფის თემაზე. იმპერიალიზმის ხანაში მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას და თუ ამას მიიღწევენ, მხოლოდ იმითმ, რომ მეფობრივის რომანიტიკული ქალიშვილი (იგი შემთხვევით გაიგებს „მისი“ მუშების საბარლო ყოფას), აგრეთვე წინახედული და ანგარიშიანი ტექნიკური დირექტორი დააყრებენ მეფობრივის მუშებისათვის ხელფასის მომატებისა და მათი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების გონიერებაში. საბოლოოდ ზავდება მეფობრივი და მუშები.

პიესაში „მონა ქალი“ ბურჟუაზიული ქორწინების სურათის დახატვით ფულდამ დააყენა და რამდენადმე თამამად გადასწყვიტა ქალთა თავისუფლების მწვავე სოციალური საკითხი. ოჯახური ყოფით განაწამები ქალი დაამსხვრევს „კანონიერი“ ქორწინების ბორკილებს და შემდეგ თავისუფალი ქორწინებით შეეუღლება მისთვის სასურველ მამაკაცს. საზოგადოების მიერ დევნილი, ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ მოკვეთილი ქალის საქციელში ფულდამ გვაჩვენა ტრადიციული ჩავგებისა და უსამართლობის წინააღმდეგ თავისებურად ამბოხებული ქალის სახე.

სოციალური საკითხი კიდევ უფრო თამამადაა დაყენებული პიესაში „თილისმა“, რომელშიც გამოყენებულია ძველი სიუჟეტი ტიტველა მეფის შესახებ. ვანდღების მანიით სისულელემდე შეპყრობილი გულზვიადი მეფე ასტოლფ უბრალო ფულდას პიესაში მიღის იმ გულისამჩუყებელ გადაწყვეტილებამდე, რომ მწიფელოვანი სახელმწიფო საქმეების მოგვარებაში ამიერიდან რჩევა-დარიგება მოისმინოს მხოლოდ უბრალო ადამიანების მხრივ. პიესის ღირსება მდგომარეობს არისტოკრატიული ყოფის და, კერძოდ, მეფის მხილვასა და კრიტიკაში. ფულდას მიერ გამასახარებელი და შერცხვენილი ხელმწიფის



სახეში, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი დიანახა პრუსიის მეფემ, ამიტომაც ქედმაღალმა და გულ-ზვიადმა ვილკელმ მეორემ უარი განაცხადა ფულდას პეისისთვის შილერის სახელობის პრემიის მინიჭებაზე.

ლუდვიგ ფულდას პიესათაგან საქართველოში პირველად წარმოადგინეს „ჩერჩეტი“. პიესის შინაარსი შემდეგია: მილიონერი ამდენგბერგი გარდაცვალების წინ ტოვებს ანდერძს. მისი ნათესავეები დანიშნულ დღეს იკრიბებიან სასამართლოში. მემკვიდრეთა თანდასწრებით მოსამართლე ხსნის მონადერძის მიერ დატოვებულ კონვერტს. მასში აღმოჩნდება კიდევ მეორე პატარა კონვერტი. მონადერძის სურვილი თავისებურია: იგი დიდ თანხას უტოვებს იმას, ვინც ნათესავთა შორის კენჭის ყრის შედეგად ყველაზე ჩერჩეტი აღმოჩნდება და თუ ეს საშუალება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, მაშინ უნდა გაიხსნას პატარა კონვერტიც. მასში კი თავად მონადერძე ასახელებს, თუ რომელს უფრო ეკუთვნის მემკვიდრეობა, როგორც ყველაზე სწულს.

მემკვიდრენი გაოცებულნი არიან მონადერძის ამგვარი სურვილით, მაგრამ იმისი შიშით, რომ ფული სხვას არავის დარჩეს, საკუთარ თავებს ყველანი ძალით მოისულელებენ და ერთმანეთს ეხევეწებიან, ხმა მე მომეცო. ამ კენჭის ყრაში არ მონაწილეობს მხოლოდ იუსტუს ჰაებერლინი.

კენჭის ყრას შედეგი არ მოსდევს. ყველა მხოლოდ თავის თავს უყრის კენჭს და ხმების უმრავლესობას ვერაფერს შეაგროვებს. ყოველივე ამის შემდეგ მონადერძის სურვილის თანახმად გაიხსნა მეორე კონვერტიც. მასში მოთავსებული ანდერძით თანხის მემკვიდრედ ითვლება იუსტუს ჰაებერლინი. როგორც ნათესავეებში ყველაზე უფრო ჩერჩეტი ადამიანი. ამგვარი საშუალებით მემკვიდრეობის შექმნა იუსტუსს მიანიჭა შეუტრაცყოფად, რის გამოც უარს აცხადებს ფულის მიღებაზე და ამით ნამდვილად „ჩერჩეტის“ სახელს იმსახურებს.

რაკი იუსტუსმა მემკვიდრეობა მიიღო, ერთმა ნათესავმა ქერივმა ქალმა იგი თავის ბიწაზე გადაიყვანა ცოტადღენი ფულის გამოძღვის მიზნით. მაგრამ, როგორც კი შეიტყო, რომ იუსტუსმა მემკვიდრეობა სხვას გადასცა, ქალმა იგი სახლიდან დაიხოფა. ქერივ დედას არც მისი ქალიშვილი ჩამოჩა. იგი სიუვარულში გამოეყვდა გამდიდრებულ იუსტუსს, მაგრამ როცა შეიტყო მისი „სიჩერჩეტის“ ამბავი, ზურგი შეაქცია და ცოლად გაჰყვა იმ ნათესავს, რომელსაც იუსტუსის წყალობით მილიონის მესამედი ერგო. ამგვარად, ყოვლით ზნედაცემული, გაუტანელი და უსინდისო ნათესავეების სასარგებლოდ იუსტუსი უარს აცხადებს მემკვიდრეობის

მიღებაზე. ნათესავეებმა კი, როგორც მოკლედ ნელი იყო, სამაგიერო იმით გადაუხადეს, რომ იუსტუსი სულთ ავადმყოფთა თავმჯდომარე მოათავეს.

ადამიანური გაუტანლობის მსხვერპლი პიესაში არის ლეთაბერივი მადლით დაჭილდობული იუსტუს ჰაებერლინი. მისი დიდი ნიჭი ნათელი გახდება მას შემდეგ, რაც საავადმყოფოს ექიმში თიუნინი იუსტუსს გააცნობს იუსტუსის დღიურს, მასში შეტანილი ნატიფი ლექსების ავტორობაზე ბევრი გამოჩენილი მგოსანი არ იტყოდა უარს.

„ჩერჩეტი“ წარმოადგინა 1909 წლის 2 თებერვალს ქუთაისის დრამატულმა დასმა შალვა დადიანის მოთავეობით, ჰიესის თარგმანი შესრულებული იყო ვ. გუნის მიერ. სექტატული ძირითადი მოიწონეს, მაგრამ პრესაში გამოთქვა საწინააღმდეგო მოსაზრებანიც იუსტუსის ხასიათთან დაკავშირებით. ფულდას იუსტუსი კეაილშოშია, გონიერი და ნიჭიერი, „დროების“ კორესპონდენტი (ჯაფარი-ფაშას ფსევდონიმით) კი ევეკი ეპარება იუსტუსის (ბ. რომანი-შვილი) დიდ ნიჭში, რაკი იგი თავის ნათესავეებში წინასწარ ვერ ამჩნევს ეგოლენ თვალშესადგამ ზნედაცემულობას. ყოველივე იუსტუსის თვალწინა ხდება მისივე წინააღმდეგ და ადამიანი მართლაც ორივე თვალთ ბრმა უნდა იყოს, რომ იგი ვერ შეამჩნიოს. განსხვავებული შეხედულებისა იყო „ჩენი აზრის“ კორესპონდენტი. მას უფრო მართებულად მიანიჭა იუსტუსის სახის ავტორისეული გააზრება და ამიტომაც ნაკლებ უთვლის ქართული დადგმის რეჟისორსა და მსახიობს ამ გმირის მართლაც სულელად ჩეენებას².

ლუდვიგ ფულდას მეორე პიესა „ვირის ჩრდილი“ დაიდა რუსთაველის სახელობის თეატრში 1927 წლის 8 აპრილს. ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ნაწარმოები ნაყლებადაა შესწავლილი. კომედისათვის ავტორს გამოყენებული აქვს ძველი ბერძნული თქმულება და მისი დამუშავება გერმანული განმანათლებლობის ადრინდელი წარმოდგენის ქრისტოფ მარტინ ვილანდის მიერ რომანში „აბდერტების ისტორია“ (1774). გამოყენებული აქვს აგრეთვე გერმანული სატირული ლიტერატურის უბრწყინველესი ნიმუში — „შილდბიურგერები“.

ფულდას პიესაში ნაჩვენებია თრაკიის ქალაქ აბდერას მაცხოვრებელთა შორის ვირის ჩრდილის გამო ატეხილი დავა. ვირის პატრონი ანდრაქსი არ აძლევს უფლებას მის დამქირავებელ

1 „დროება“, № 28, 6 თებერვალი. გვ. 3.
2 ვახ. „ჩენი აზრი“, 1909, № 31, 6 ივნისი.
4 ივნისის სექტატლის გამო დასტამბულ რეცენზიას ხელს აწერს ვინეა „C“.



ეჭმ სტრუთონს, რომ მეზობელ სოფელში ავადყოფიან მიმავალმა და სიციხოთ ვაგნებულმა იავსიან პირუტყვის ჩრდილში. იგი სამისოდ მოითხოვს დამტკიცებ ქირას, და რაკი მოუვათ უსიამოვნება, დავის გადასწყვეტად მიიღან მოსამართლესთან. მათ სისამართლო პროცესს თანდათან მღელვარებაში მოჰყავს მთელი ქალაქი, ვაქნილი დემოგოგები დავას მისცემენ საერთო ხასიათს და ყველაფერს გააკეთებენ რათა ცილობამ მთელი აბდერა გაყოს ორ პარტიად: „ვირის პარტია“ და „ჩრდილის პარტია“.

მევირე ანფრაქსი იქცა ერთი პარტიის ბელადად, გამწვავებულ დავაში ერთიან დანტერესებულ პირთა კლარბი, კულტის მსახურები, ხელი, სუფლების მოქრთამული წარმომადგენელი. სასამართლო პროცესი ააღვლეხებს მთელ ქალაქს, ბევრად ანგრევს ოჯახურ ბედნიერებას, აღვაჯებს ურთიერთ ზიზღს პოლიტიკური პარტიის შორის და საფრთხეს უქმნის ხელისუფლების სიმტკიცის საფუძველს. ურთიერთის წინააღმდეგ მოქიშენი იარაღსა კი აღმართავენ. ამას თანვე, ორივე პარტია ერთმანეთს უჭეშრად დახმარებისათვის უხმობს მაკედონიის მეფეს კასანდრეს. საქმე მთავრდება იმით, რომ მაკედონიის მმართველი ურიცხვი ჯარებით მოვა, აბდერას დაისაკუთრებს და ორივე პარტიის მესვეურებს თავის ქვეშევრდომებად გამოაცხადებს. ექიმი სტრუთონის მთელი ქონება ვადარიცხება კასანდრეს ხაზინაში მეფის სასარგებლოდ, ხოლო მევირე ანფრაქსს უბრძანებენ, რომ ვირი თავისი ჩრდილით გადაიყვანოს კასანდრეს თავლაში. მაკედონიის მეფე ძალით შეარიგებს გაღარიბებულ მომჩივრებს, ხოლო აბდერაში თავისი მისვლის აღსანიშნავად და უკვდაუსაყოფად, აღმართავს მარმარილოსაგან გაკეთებულ ვირის უხარმაზარ ქანდაკებას, რადგანაც სწორედ ვირის მეშვეობით შეიქმნა იგი აბდერიტების მმართველი. მას შემდეგ თურმე აბდერას ლერბი არს ვირის გამოსახულება.

პიესაში გამოყვანილი მატერიალისტი ფილოსოფოსი დემოკრატე. შორეულ ქვეყნებში მოგზავრობიდან იგი დაბრუნებულა მშობლიურ აბდერაში, მაგრამ დაუმსახურებია თანამოქალაქეთა კიცხვა, რაკი ბევრი რამ უნახავს, მაგრამ არ უნახავს, მათი აზრით, მთავარი — რაიმე საოცრება. ბუნების მოვლენებზე დაკვირვებით გართულ დემოკრატეს არ დარჩენია დრო საოკრებათა სანახავად. ზურგმუქეულისა და შეუარაცხოფილი დემოკრატეს მისივე თანამოქალაქენი საყანში ჩასვამენ.

ბერძნული საბურველი, რა თქმა უნდა, ვერა ჰვარავს გერმანულ სინამდვილეს. მისი მოშველიებით ფულდამ, და უფრო ადრე ვილანდამ, მოგვცა ბრწყინვალე კარიკატურა გერმანული

ქალაქების მიყრუებულ ცხოვრებაზე, დასტურებ თანამედროვე გერმანიის ფილისტერულ ყოფას.

აბდერა ყოველთვის დარჩენი გერმანიის პოვინციული ყოფის კლასიკურ გამოხატულებად. მიუღს იუმორისტულ ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება იმაზე უფრო მოსწრებელი მოფიქრებელი ეპიზოდი, ვიდრე არის პოპოცის ვირის ჩრდილის გამო. ფულდას დრამაში აბდერიტების სისულელე უაღრესად გახვიადებულია, მაგრამ ეს მეტიმეტად კომიკური ხერხები ავტორს სჭირდება ძველი წესრიგის სიწმინდის, მოსამართლეთა და პოლიტიკოსთა, აგრეთვე სულიერ მამათა და სახელმწიფოს გამგებელთა უპირისპირობისა და სიხარბის გამოსაშვარავებლად. უდავოა, ფულდასათვის უცხოა ვილანდისათვის ნიშნადობლივი დიდი მამხილებელი იუმორი და ჰუმანური პათოსი, მაგრამ 20-იანი წლების გერმანიაში, სადაც ნოემბრის რევოლუციის ლაღობა შესაძლებელი გახდა ვილანდის იმპერიის შექმნა, ფულდას პიესა ედერდა როგორც დიდი პოლიტიკური ბრალდება.

„ვირის ჩრდილის“ იოსებ გროსშვილისეული ლახათიანი თარგმანი ქართულ სცენაზე დიდი სიყვარულით დადგა აკაკი ფაღავამ. გაზეთ „კომუნისტის“ რეცენზენტი ვინმე „ლელი“ პიესას მიიჩნევს მოსწრებულ სატირად დემოკრატისა და ფვალთმაქცობაზე. სექტკალში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ დრამატული სტუდიის ახალგაზრდა ძალებმა. მათ მუშაობაში შესაძენვეი ყოფილა ვარკვეული „სისიტმა და თანაზარი მეცადინეობა“. პიესის საერთო ტონის შესაბამისად კარგად ყოფილა შერჩეული ტექნაკური მზარე და კოსტუმები. სცენის ფონი ყოფილა მოცემული ძალიან მოსწრებულად ყვითელი და შავი ფერების ირიბული ხაზებით.

ახალგაზრდა მსახიობებს თურმე ყველას უკლებლივ ემჩნეოდა საყმა მომზადება და მუყაოთობა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანფრაქსის ცოლის ვამარკებულ როლში ს. თაყაშვილი, რომელსაც თავის კილოსა და მიხვრა-მოხვრაში გამოუჩენია სალი და ზომიერი კომიზში. ფვალთმაქცი ლეკიას როლში ყოველმხრივ მოხდენილი ყოფილა ნ. კიკინაძე. მევირე ანფრაქსის როლი კარგა ძარღვიანად უთამაშია ვ. გობიაშვილს.

ამგვარად, ფულდას პიესების მეოხებით ქართველი მაყურებელი ეცნობოდა კლასიკური საზოგადოებისათვის ნიშნადობლივ თვისებებს. ქართული თეატრის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუხვევს ჩვენ სცენაზე ლღვივ ფულდას პიესების გასცენიერების საინტერესო ფაქტებს.

1 ლელი, „ვირის ჩრდილი“ ლ. ფულდას „კომუნისტის“, 1926, 10 აპრილი.

სამკაედლის თეატრული ნაკსულიან

ამირან კალაძე

სამკაედლაში თეატრული ხელოვნებას რომ დიდი წინის ისტორია აქვს, ამაზე ნათლად მეტყველებს ორი ცნობა.

1969 წელს გაზეთ „ქველხორთორონიკე ზაკაკაზია“, სათაურით „ქუეველესი კლუბი“, წერდა: სამკაედლის რკინიგზის კლუბი განთქმულია თავისი ტრადიციებით. ჭერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში ამ ქუემაოდნენ ისეთი ნიჭიერი რეჟისორები, როგორცაა ბეჟან ადამია და ალექსი რატანი, სახელდობრ ამ კლუბში 1865 წ. ჩამოყალიბდა პირველი დრამატული წრე, რომლის საუქუეველესე შემდგომში სახალხო თეატრი შეიქმნა.

სამკაედლაში სხვადასხვა დროს წარმოდგენების გამართვას ხელმძღვანელობდნენ ალექსი კობია, ვლადიმერ გვიშინი, მიხეილ ჭიაურელი, ვალერიან შალიკაშვილი, დავით კობახიძე და სხვ.

სამკაედლის რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ 1968 წ. 28 ივნისის ნომერში ნ. კობახიძე წერდა: „სამკაედლაში პირველი რევოლუციური თეატრი „დემოსის“ სახელწოდებით ჩამოყალიბდა 1918 წელს, სადაც პირველი პიესა დადგმულია ქართული სასცენო ხელოვნების დიდი მოამაგის სანდრო ამბეტელის კონსულტაციით“.

სამკაედლაში თეატრული ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ვლ. გვიშინს და ჩვენც ამ წერილში გვინდა მის შესახებ გესაუბროთ.

გაზეთ „წინსვლის“ 1970 წ. 2 ივლისის ნომერში სათაურით „ხელოვნების მსახური“ ა. ბეშენაძემ მკითხველს მოკლედ, მაგრამ ნათლად მოუთხრო ვლ. გვიშინის მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრების შესახებ.

„იგი (ვლ. გვიშინი — ა. კ.), როგორც მსახიობი და რეჟისორი, ნაყოფიერ სასცენო მოღვაწეობას ეწეოდა რაიონის ბევრ თემსა და სოფელში (კულაში დიდ ჭიხაიში, ხუნჯულურში, ნაფაღურში. ქოლობანში, მარანში და სხვ.). საქართველოში თითქმის არ არის რაიონი, სადაც არ ემუშავოს ნიჭიერ კომიკოსი.“

ნ. გვიშინი პირველი ქართველი კომიკოსია, რომელიც სასცენო ხელოვნებას ბერლინში დაეუფლა. მან წარმატებით დაამთავრა ბერლინის საილუზიო-მაგიური აკადემია და ხუთი წლის შემდეგ მაგის პროფესორის წოდებაც მიიღო.

თავისი ცხოვრების მანძილზე ლაღო გვიშინს არა ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდური როლი აქვს შესრულებული ქართულ კინოფილმებში: „კავკასიის დაპყრობა“ (ხუმარა დენშიკი), „ქარიშხლის წინ“ (იმერელი მსახური), „პირველი დღე“ (კომიკოსი მოენე), „დარიკო“ (დათია), „ქაჩანა“ (ქადაგი). აგრეთვე კინომოყვარულთა ფილმში „ნაცარქექია“ (ნაცარქექია კიკოლა როლი), „უანა დარკი“ (მშინარა ბერიკის როლი) და სხვ.

მის მიერ სცენაზე ხორცესმულთა სახეებია (როგორც სამტრედილაში, ისე სხვაგან): ბესო, „ჰლატაში“, ნიკოია კვასხაძე („დამარცხებულნი“), შამგა („უღანაშაულო დამნაშაუენი“), ალმასხანა („კინტო“), კოწრა („გუშინდელნი“), და სხვ.“

1908 წელს, გვიშინის ხელმძღვანელობით გაიმართა პირველი ქართული ცირკი ქ. კიათურაში. მისივე ხელმძღვანელობით 1917 წელს ქალაქ სამტრედილაში გაიმართა თოჯინების წარმოდგენა.

ვლ. გვიშინს დამთავრებული აქვს რუსთაველის თეატრთან არსებული დრამატული სტუდია და ექსპერიმენტალური სახელოსნო.

იგი ცნობილი პოლიგლოტია, საცვებით ფლობს რამდენიმე ევროპულ ენას. დიდ სამამულო ომში მსახურობდა სამხედრო მთარგმნელად.

დღეს, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ვლ. გვიშინი კვლავ ახალგაზრდული შემართებით ემსახურება ქართულ სცენას, კავშირგაბმულობის, გორკის სახელობისა და ნავთლელის კულტურის სახლებში იგი დრამატული წრეების საყვარელი მსახიობია. ეწევა მთარგმნელობით მუშაობასაც.

ახლა კი თვით ვლ. გვიშინს მოვუხსნით: „შეიძლება ითქვას, რომ ფეხი სცენაზე ავიდვარ, — დიმილით იწყებს თავის მოგონებას პატ. ლადო, — სამკაედლის დიდი, ძალიან დიდი თეატრალური წარსული აქვს. თავდაპირველად ჩვენს თეატრალურ დასებში (ქალაქისა და რკინიგზის კლუბთან არსებულ) სცენისმოყვარე ენთუზიასტთა ინიციატივით იქმნებოდა. აი ვინ იყვნენ ისინი: ნ. ნუტუბიძე, ნ. და ლ. ბუაქეძე, რ. ქართველიშვილი, აკვრელიშვილი, თ. თევაზაძე, ა. ა. და ალ. გვიშინები, თ. თევაძე, შ. ტორონჯაძე, დ. შანიძე, თ. გლადკოვა,

ბ. აღმაია, ალ. რატიანი, ალ. კორძია (რომელსაც ჩვენ სამტრედიის თეატრის პატრიარქს ვუწოდებდით), პ. და ნ. ნაწიფილები, შ. დოღამე, კ. კრავიშვილი, კ. კახიანი.

1910 წელს ჩამოყალიბდა თეატრალური საზოგადოება ნ. კიკაჩიშვილის, კ. გულეიშვილის, ვ. რევიშვილის, ს. გვიშაინის და ირ. ბოხუას შემადგენლობით.

სცენისმოყვარეთა წრეებში მონაწილეობდნენ აგრეთვე: ვ. შვაციბაია, ს. ქოიავა, ი. თევზაძე, თ. ხიხიძე, თ. კიკვიძე, ს. შენგელია, რ. თავდუმაძე, თ. ჭანელიძე, ი. მელაძე, ე. ქორჩილაკა, ლ. ნაცვალაძე, ბ. ფარცვანია, დ. კობახიძე, ვ. კალაძე, დ. ლოლობერიძე და სხვ.

იმ პერიოდში რეჟისორობდნენ ალ. გუგუშვილი, ა. კორძია, დ. გუგუშვილი, მ. ქიაურელი, ვ. შილაკაშვილი, ირ. ბოხუა და მ. ქორელი.

მე მუდამ კომიკურ როლებში გამოვდიოდი. დიდი სამამულო ომის შემდეგ მე ქართულ ენაზე ვთამაშობდი გოგოლის „შეშლილის წერილებში“ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში: ბერლინში, ლიუპიკში, ტილზიჩში, ჰუმბინენში და სხვ.

მინდა მოგიყვებ თუ რომელი წლიდან და როგორ მოიკიდა ფეხი სამტრედიის კინო.

1900 წელს სამტრედიის პირველად ჩვენ ჩვენები ათ წუთიანი კინო-სენსი, ამ კინო-გროსმაშინ უწოდებდნენ „ცოცხალი სურათები“. კინო-საქმე, ანდრო გუსარის-ძე ფუტკარაძემ თბილისში შეისწავლა და სწორედ მან ჩაატარა ეს პირველი კინო-სურათი სამტრედიისში.

აპარატი მოძარაბაში მოგვყავდა გუდით (საბერველით), ვუჩვენებდით „მაქს ლინდერის სურათებს“, ხალხი ვაოცებული და აღტაცებული იყო, მაგრამ, კინო-ფირმა ხშირად წყდებოდა და მისი შეკეთების დროს, ხალხს რომ არ მოეწონებოდა, პაუზებში მე ვთამაშობდი კომიკურ როლებს, ვაწყობდით საინტერესო დივერტისმენტებს. ჩემთან ერთად თამაშობდა ჯენი მელაძე.

1912 წელს ბაზრის ტერიტორიაზე, ივანე მეთიშვილის დუქანში გაიხსნა პატარა, 120 კაციანი კინოთეატრი (ექიმ ლადო ნაცვალაძის ხელმძღვანელობითა და დახმარებით). აქ უჩვენებდნენ ჩარლი ჩაპლინის ფილმებს.

ელ. გვიშაინის გადაწყვეტილი აქვს დაწეროს მოგონებები სამტრედიის თეატრის განვითარების შესახებ. დაწერს და, ალბათ, საინტერესოადაც. იგი ხომ ცოცხალი მატიანა რაიონის თეატრალური წარსულისა.



სცენა სოხუმის თეატრის ქართული დასის სექტაკლიდან „მთანი მალაღნი“



„ლაღვი“ ქვემოქაჩხანში

ზალვა მარკოზაშვილი

ბანო ივანეს ასული როსტომაშვილის გადაწყვეტილებამ, რომ მაჩხანში მასწავლებლად წასულიყო, შრომები და ახლობლები განაცვიფრა. თბილისიდან ძუძუთა ბავშვით ახალგაზრდა ქალის ასე შორს წასვლა, ისიც 1908 წელს, მართლაც გასაკვირი იყო.

მირზაანსა და ქვ. მაჩხანის პირველდაწყებითი სკოლა ძველის-ძველ, ნახევრადდანგრეულ ფიციტულ შენობაში იყო მოთავსებული, იქვე იყო ფანჯრებამტკრეული აღტარა ოთახი, სადაც მასწავლებელი დაბინავდა. ტასომ სიღნაღის სახლხო სკოლის ინსპექციისა და სოფლის თავაკების დახმარებით სკოლა უკეთეს შენობაში გადაიტანა, შეავსო მერჩებით, დაფით, სურათებით...

სოფელმა შეიყვარა ახალგაზრდა, ნერგიული მასწავლებელი, რომელიც მუდამ ხალხთან იყო, მათი კეთილდღეობისათვის იღწევოდა, დრო და დრო სოფელი მოზარდების, განსაკუთრებით კი — მონსწავლეთა მონაწილეობით აწყობდა ლიტერატურულ დილა-საღამოებს, მხატვრულ კითხვას, უკიბხავდა გლეხებს ქართული მწერლებას ნაწარმოებებს.

ხელფასის აღებისთანავე ტასო ფეხით მიდო, და სიღნაღში, ფულის მეტ ნაწილს პეტერბურგში სტუდენტ ქმარს უგზავნიდა, მცირეს თვისის და ბავშვისათვის იტოვებდა.

1910 წელს, ზაფხულში, არდადეგების დროს, ტასო როსტომაშვილს პეტერბურგიდან ქმარი — სანდრო ახმეტელი ეწვია. ცოლ-შვილი სიხარულით შეხვდა სანდროს. ტასომ მეუღლეს თავისა ნაცნობ-მეგობრები გააცნო, სანდროს რამდენიმე ნეთსავიცი გამოუჩინდა და გაიხარა. სანდრო ახმეტელი იქვე გაეცნო და დაუშვებობდა პოეტ-დრამატურგ სანდრო შანშიაშვილს. თანამოსახლე მეგობრებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო: ორივე ერთგვარად საყვარელ საშობლოს, გატაკებით საუბრობდნენ ჩვენი ლიტერატურისა და ჰელოვნების ცალკეულ საკითხებზე, იღწვოდნენ თეატრის უკეთესი მჭარისისათვის. ერთ დღეს ტასომ ალერსიანად ქმარს მხარზე ხელი შეახო და მუდარით უთხრა:

— სანდრო, გეთავა, მოდი აქაური ახალგაზრდების მონაწილეობით დასადგმელად რაიმე პიესა მოამზადე?

სანდრო შეეყუყმანდა. მაშინვე მეუღლეს პასუხი გერ გასცა. მხოლოდ გაიღიმა.

— ჰო, გენაცვალე, უარს ნუ მეტყვი, მე აქაური ახალგაზრდების ნაწილი თეატრალური ნიჭი შევნიშნე და მათთან მეუშობა არ უნდა იყოს ძნელი! — კვლავ შეეხვეწა ტასო და ქმარს თვლებში მიანერდა.

სანდრომ თანხმობა განაცხადა, რითაც ძლიერ გაახარა მეუღლე. მაშინვე გადაწყვიტეს, რომ დასადგმელად მოეზადებინათ ა. სუმბათაშვილის სახელმძღვანელო პიესა „ლაღვი“.

ტასომ სასწრაფოდ შეეცაბა სცენისმოყვარე ახალგაზრდობა, გააცნო „ლაღვის“ შინაარსი და კმაყოფილებით განუცხადა: თქვენს შორის მრავალ ახალგაზრდას სამავალითო თეატრალური ნიჭი აქვს და მჭერა, ქალაქელებს არ ჩამოუვარდებით „ლაღვის“ დადგმაში.

ს. ახმეტელმა გულმოდგინედ დაიწყო მუშობა სცენისმოყვარე ახალგაზრდებთან; დღი და-კვირვებით შეუტრია როლები პიესაში მონაწილეებს, გონების თვლით განსაზღვრა, ამა თუ იმ როლში როგორი გარეგნობის, ხმისა და ქექეის ადამიანი გამოდგებოდა.

„ლაღვის“ მზადება კარგა ხნის გაგრძელდა. ზოგიერთი მონაწილეთაგანი სანდროს თხოვდა, ჩვენი როლები კარგად ვიცით და პიესის დადგმას ნულარ ვავკიანებოთ.

— არაო — უპასუხა სანდრომ, — გერ კიდევ არა ვართ სრულყოფილად მზად, კოსტუმებიც ხომ უნდა ვიშვოვითო.

დადა სასურველი დღე. დიმიტრი მაჩხანელის ყოფილი თეატრის ნანგრევები სახელდახელოდ აღადგინეს, თვლმოდგინედ მოეწყო დეკორაციები, გამოინახა კოსტუმები...

ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“ მაჩხანში „ლაღვის“ ამ დადგმის შესახებ წერდა:

„30 მკათათვეს ადგილობრივ სცენისმოყვარეებმა ა. ახმეტელის რევისორობით წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის „ლაღვი“. პიესისათვის სულ ახალი ტანისამოსი და დეკორაციები მოამზადეს. მთელი ორი თვე ემზადებოდნენ და პიესამაც შესანიშნავად ჩაიარა. მშვენიერად შეასრულეს ზეინაბის როლი ა. ჯანყარაშვილმა, ოთარბეგი — ვ. ალუღიშვილმა, სოლეიმან-ხანი — ტ. ბალაშვილმა და ირაკლი — რ. ნასიძემ...“

სამწუხაროდ „ლაღვის“ დადგმის შესახებ ეურნალის ტუნქ ცნობებში არაფერი იყო აღნიშნული, რომ პიესის დადგმის ინიციატორად და ერთ-ერთ თვალსაჩინო ორგანიზატორად ტასო როსტომაშვილი ითვლებოდა.

მართლაც, მაჩხანში „ლაღვი“ დღი წარმატებით დაიდა. მაჩხან-მირზაანის მცხოვრებთა გარდა წარმოდგენას სიღნაღელი და მეხოველი სოფლების მაცურებლებიც დაესწრნენ. ყოველ სურათი, ყოველი მოქმედება ხალხის აღტაკებას იწვევდა, კმაყოფილების ნიშნად ქუხდა ტასო.

1. ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 35.

მოზარდთა საყვარელი მსახიობი

ნორა ასათიანი

მსახიობად გახლამის შეუდრეკელმა სურვილმა მიიყვანა იგი მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრთან ახლად დაარსებულ სტუდიაში. მიმდებამ კომისიამ, კერძოდ თეატრის მთავარმა რეჟისორმა ა. თაყაიშვილმა მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდას და თეატრში მიიწვია მსახიობად.

ს. მთვარაძის ბიესაში „ჩვენც-ჩვენცში“ ეზიარა სასცენო ხელოვნებას რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტი ივანე ნინუა.

მძიმე ჰქონდა ბავშვობა მომავალ ხელოვანს. ობლად დარჩენილს დედა ზრდიდა. პატარაობიდანვე იტაცებდა მას თეატრი, მუსიკა. ჯერ კიდევ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლის დროს უკრავდა იგი სკოლასთან არსებულ სასულე ორკესტრში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ი. ნინუა თბილისში ჩამოიღის სწავლის გასაგრძელებლად, „იყენებს თავის პატარა მუსიკოსობას“ — როგორც თვითონ ამბობს, პირველი ქართული მსროლელი ლეიონის ორკესტრში.

შემდეგ კი იწყება სტუდიაში გატარებული დაუღალავი შემოქმედებითი ძიების წლები. გამოცდილი პედაგოგების: ფლავას, შიუკაშვილის, თაყაიშვილის, ჭანელიძის, შულციანისა და ბავლოვას მზრუნველობით ოსტატდებოდა და იღრმავებს ცოდნას. დიდი პატივისცემით იხსენიებს ივანე ნინუა თავის უფროსს კოლეგებს გ. დარისპანაშვილს, გ. კუბრაშვილს, ე. ჯაფარიძეს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მის აქტიურულ შემოქმედებაში. სულ მალე მან თეატრში ნიჭიერი აქტიორის სახელი მოიპოვა.

მსახიობს ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი ვარდისახვისა. ითამაშებდა იგი თორმეტი წლის ჰაბტესა თუ ღრმა მოხუცის მისთვის სულერთი იყო. ამ საოცარ ვარლასახეში მას შეელოდა დავიერების დიდი უნარი და როლისადმი შინაგანი განწყობილებით მიდგომა.

40 წელი პატარების სამსახურში. თითქმის 150-მდე შესრულებული როლი. რომელი ერთი უნდა ჩამოეთვალოთ.

ნინუას შემოქმედებით აქტივში კლასიკური რეპერტუარის ურთულესი როლები: კახი — „პატარა კახი“, მამა მონტეგი — „რომეო და ეულიეტა“, გლახა — „გლახის ნაამბობი“, პატარა ჯონი — „რობინ ჰუდი“ და მრავალი სხვა.

ის თამაშობდა ყოველთვის წარმატებით და დახვეწილი მიჰქონდა მაყურებელამდე თავისი გმირის ხასიათის ყოველი ნიუანსი. ნინუას შემოქმედებას ახასიათებს ორიგინალური ფერების მიგნების ალო, წრფელი და უშუალო თამაში.

ყველაზე ურთულესი ამოცანაა აჩვენო ადამიანი ეპოქის სუნთქვა და მისი დამახასიათებელი ნიშნები. ნინუა ყოველთვის ბრწყინვალედ ჭნის ამ ურთულეს ამოცანას და ამიტომაც მისი ხელოვნება ყოველთვის გულში ჩამწვდომი და რეალურია.

მისი გმირი, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, ყოველთვის პოულობს შესაფერ საღებავებს, რამდენი გამოცდილება მართებს მსახიობს, რომ ჩაწვდეს პატარების სულსა და გულს, დატყვევოს ისინი თავისი მგზნებარე აქტიურული წარმოსახვით. ივანე ნინუამ ღრმად შეიკნო მოზარდების თეატრის აღმზრდელითი როლი. ამით მოიპოვა მან ერთ-ერთი საყვარელი მსახიობის სახელი. აღსანიშნავია ნინუას შემოქმედება საცენტრალო წარმოდგენებში.

ვის შეიძლება არ ახსოვდეს შესანიშნავი ტრიო ფანდურტზე: ლივარდის, ნინუას და კაკაქი-შვილის შემადგენლობით. მათი შესრულებით გამოვიდა პირველი ფირფიტები „ცეკვა სოფლად“ და „შაირები“.

18 წლის განმავლობაში იგი ცნობილ მსახიობ ვახტანგ ნინუასთან ერთად გამოდიოდა ესტრადებზე და მაყურებელთა სიყვარულს და ოკაციებს იმსახურებდა.

მრავალი რამ კარგი თქმულა და დაწერილა ამ დაუღალავი შემოქმედის შესახებ.

ივ. ნინუას შემოქმედება მარტო თეატრით არ იფარგლება, მან ეკრანზე შეჰქმნა დაუვიწყარი სახეები: (ფილმი „მაია წყნეთელა“, „ეხეტურის ნაპირებზე“).

ჯეროვნად დაფასდა ღვაწლმოსილი მსახიობის ამაგი. 1955 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ივანე ნინუა უკვე ექვსი ათეული წლისაა. მიუხედავად ამისა იგი კვლავ ახალგაზრდული ენერჯით მოღვაწეობს თავის მშობლიურ თეატრში წელთა სიმრავლე ხელს არ უშლის თავისი ნიჭი და ხელოვნება მოახმაროს ახალგაზრდა თაობას და იყოს ყოველთვის მისთვის უდიდესი სისარულის მიმნიჭებელი.



მშენი კულკასია

თეატრი და მსახიობი

კობე ყიფინანი

ამ ერთი კვირის წინად ქართველ მსახიობთა კავშირისაგან მომხივდა მოწოდება, რა აზრისა ვარ ქართულ მსახიობსა და თეატრზე და, კერძოდ, რა ესაქირობება დღევანდელი ვითარების გაუმჯობესებას. ამისი პასუხი უნდა მოთავსებულიყო ამ იანვრის 2-ის რიცხვის „მსახიობთა დღის“ გამოცემულს საგანგებო ვაჭეთში.

ამისთანა მოკლე ხანში პასუხის მიცემა ვერ მოვაწვარი და აი, ახლა მაქვს პატივი ეს ჩემი სტრიქონები მივაწოდო მსახიობთა კავშირს.

ქართული თეატრის საქმეს ყველაფერში სჭირდება გაუმჯობესება, ჯერ ერთი ისა, რომ საკუთარი თეატრი არა გვაქვს და აუცილებელი საჭიროა ცალკე შენობა ვიქონიოთ და მეორეც ისა, რომ ჩვენი მსახიობნი დიდს გაუმჯობესებას საჭიროებენ.

უპირველეს ყოვლისა მსახიობი უნდა იყოს სწავლა-მიღებული, განათლებული ადამიანი, რომ კარგად შეიგნოს და გაირკვიოს წარმოსადგენად დამზადებული თხზულების აზრი, მისი მიმართულება, მისი ტენდენცია, რომ იტყვიან, მისი მოქმედ პირთა ხასიათები, ე. ი. მისი ტიპი და ამის შემდეგ მოჰკიდოს ხელი თავისი ნიჭის შესაფერს როლს. აქ უნდა გამოიჩინოს მსახიობმა თავისი ცოდნა ფსიხოლოგიაში, ფიზიოლოგიაში და ანატომიაში, რომ შეისწავლოს როლა და ბოლოს, როცა როლს შეიგნებს — გავიდეს სცენაზე მყურებლისა და მსმენელის წინაშე სათამაშოდ...

მსახიობი სცენაზე მთავარი თავაღია, მეფეა თავის სამფლობელოში და თეატრმა ყველაფრით ხელი უნდა შეუწყოს, სცენის მორთულობითა თუ მხატვრობით, ტანსაცმლით თუ ავეჯეულობით, ისე, რომ არაფერში არავითარი დაბრკოლება თუ ნაკლოვანება ხელს არ უშლიდეს თავის მხატვრობითს შექმნაში.

ავიღოთ, მაგალითად, მოქანდაკე, რომელიც სდგას თავის თიხის წინაშე და გამოჰყავს ქანდაკება. ამ სეგლს თიხას, ამ ტალახს სიციხებზე

უნდა მისცეს, უნდა აღამიანის სახე გამოიყვანოს.

მსახიობიც სწორედ ასეა თავის სცენაზე, რომელმაც უნდა ჩაჰბეროს სული თავის ქანდაკებას, ისეთი თვალთ-ხილული ყალიბი მისცეს და მყურებელს ცოცხალ აღამიანად დაანახოს ის ტიპი, რომელიც არის თხზულებაში გამოყვანილი.

თეატრის უპირველესი სურათი, თუ უპირველესი მხატვრობა არის მსახიობი. ასე იყო დასაბამითვე, ასე არის დღესაც. თავი და თავი — მსახიობია. მსახიობი არის შემთხვევის მოციქული, მისი კრიტიკოსი, მისი მქადაგებელი. მიხზველის ბედ-იღბალი მსახიობის ხელშია. ყოველ მსახიობს თავისი პიროვნული ანაგვსი, ე. ი. სტილი უნდა ჰქონდეს. მსახიობი არ არის და არც შეიძლება უსტილოდ სწორედ ისე, როგორც არ შეიძლება დაიწეროს ლექსი, თუ რითმა არა აქვს, თუ მუსიკას შენმატყობელზე ჰანგი არა აქვს, თუ მხატვრობას ფერად წამლები არა აქვს. სტილი არის სახე მხატვრისა. მსახიობმა უნდა შეიგნოს თავისი როლი და ეს შეგნება ნიშნავს შეთანხმებას. როგორც მომლერალს სჭირდება წმინდა ხმა, მუსიკოსს — სიმები, ისე მსახიობს სჭირდება მისი საკუთარა სხეული. მისი გამომეტყველება, მისი მიმიკა, მიხვრა-მოხვრა.

ცარიელი სიტყვის გამოთქმას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რა გინდ კარგადაც იყოს გამოთქმული, მკაფიოთა და დიდის გრძნობითაც, თუ ეს სიტყვა არ ექნება მსახიობს შეზაგებული მიხვრა-მოხვრით, ე. ი. პლასტიკით. ხელეზსა და ფეხების მოძრაობა, ტანის რჩევა, მკაფიო ლაპარაკი, სიტუმი, დაღუმება ნიშნავს აღამიანთა შორის ჰუმანიტის დამოკიდებულებას.

ცარიელი სიტყვით ყველაფერი არ იქმნის. სიტყვა არის ყურთა-სმენისათვის, პლასტიკა — თვალთ ხილვისათვის.

აი, მიღიხარ ქუჩაში. ხედავ: ორი კაცი ერთმანეთს ელაპარაკება. ლაპარაკობენ ამინდზე,



ახალ ამბებზე კორაობენ, სიძვირეს უჩივიან და სხვა. შენ მოშორებით დგეხარ და ამ მოშორსაიფეთ თვალს ადევნებ. შენ თუ მგრძნობიერი ხარ და თუ იცი დაკვირვება, ადვილად გამოიცინობ თუ რაზე ლაპარაკობენ ის ორნი. იმათი მიზნა-მოზნა, ხელებისა და ტანის რჩევა-მოჩარობა გვირევენებს და არც შეცდები და იტყვი თუ ვინ არიან ის ორნი, მეგობრები თუ ნათესავები, ურთი-ერთის მტრები არიან თუ მოსიყვარულე მეგობრები. ამას შეიტყობ შენ იმ ორი კაცის პლასტიკის წყალობით, იმიტომ რომ ყოველს გამოთქმული სიტყვას მოსდევს შესაფერი ხელის განქნა, თავის დაღუნვა თუ გაქნა, თვალის გაჭყეტა თუ დახუჭვა და სიტყვის შესაფერისად შეხავებული პლასტიკა.

მსახიობმა ეს ყველაფერი ზედმიწევნით უნდა იცოდეს, ეს ხერხი უნდა იხმაროს ხოლმე თავისი როლის შესრულებაში და მაშინ სულ მთლად მოჰხიბლავს მყურებელს, სულ დაიმონავებს, ხელში დაიჭერს.

ვთქვათ ვისზედ დამტერებით დააქვერდი, მაგრამ ისე, რომ თვალი არ დაახამხამო, დააშტერად, ესოქვათ კისერზე. პატარა ხნის შემდეგ ის, ვისაც ამტერდები უნებლეთ ხელს გადაისვამს კისერზედ, ვითომც რაღაცა უქბინაო, რაღაცა უჩხელიტაო, ისე იგრძნობს და მართლაც იმას უტემს შენი თვალების მაგნიტური ძალა, უჩხელტის სადგისივით. თუ განავარკვე შენი ამნაირი დამტერება, კისერზე ხელის მოსმის გარდა, მონბრუნებს თავს და პირდაპირ შენ შემოვხედავს.

გაიხიარ ახლა სცენაზე. თეატრში ათასი ადამიანი, ყველა გწვავს, გიკექერის დამტერებით. იმათი თვალი გწვავს, გადაგვს შენ, სადგისივით გჩხელეტს. ეს ათასთვლიანი ვეშაბი (მყურებელი ხალხი) შემოგაქვერის შენ და მარტო შენ. შენ თუ ნიჭიერი და დახელოვნებული მსახიობი ხარ, მოიშველიებ შენ მონიჭებულ თვისებას. იხმარ ყოველს ხელოვნებას, გამოიჩენ ყოველს შენს ძალას და შენის მხრით გასქვერი ამ ვეშაბისკენ და როგორ გასქვერი? გასქვერი ისე ღონივრად, ისე მომხიბლავად, რომ ეს ვეშაბი თვალს ვერ გამოორებს, აახლდ თუ არა შენ თვალებს — ვეშაბიც აახლს; გაიღობ — ისიც გაიღობს; იტირებ — ისიც იტირებს. ერთი სიტყვით, რასაც შენი სახით და მიმოიკით უჩვენებ, ვეშაბიც იმასვე განიშეორებს. ამ ხერხით შენ ხელში გიჭირავს ეს ამოდენა ხალხი და როგორც ვინდა ისე ატრიალებ. ეს არის შენი მაგნიტური ძალა, ძალა შენი ნიჭიერებისა.

რასაც აქ მე ვამბობ, ყველა ამას სამწუხაროდ, მომტებულ ნაწილად, მოკლებულია ახლანდელი ქართული თეატრის მსახიობი და ეს არის ის თავი და თავი მიზეზი, რომ საზოგადოება უმეყოფილა ჩვენი მსახიობისა, იმიტომაც

ხშირად არ დაიარება წარმოდგენებზე მეტადლე ჩვენი ინტელიგენცია.

ყოველნაირს. ტანჩამულობას დატანს მტრეფერი მიზნა-მოზნებრაც უნდა მოსდევდეს. სამოქალაქო ტანისამოსი: ფრაკი, რედინგოტი, კიზიტკა, ტუყურკა, პიჯაკი — სხვადასხვა მიზნა-მოზნებას და ტანის რჩევის ითხოვს. ქულის ხმარებას, შლიაბის დახურვას, ცილინდრის ხმარებას — ცოდნა უნდა, აგრეთვე ხელთათმანას ხმარებასაც.

ქართული კაბა-ქულაჯა რომ ჩიციე და გაიარო სცენაზე მოხდენილად, ბუხრის ქვედა, რომ კოხტად დაიხურო, შერე შენვე რომ ფრაკით გამოწყობილი გამობრძანდე და ქულაჭურული მიზნა-მოზნება იხმარო და არა ისეთი, როგორც ფრაკს ეყუთენის, არ ივარკვეს და გამოხვალ უხვს მსახიობად, უხერხულად იქნები.

ყველაფერი ეს ეძლევა ადამიანს დაკვირვებით, ხანგრძლივი მეცადინეობით. მეტადლე რეჟისორებზე არის დამოკიდებული ასწავლის მსახიობს როგორ უნდა თავის დაქვერა სხვადასხვა ჭურის ტანისამოსში გამოწყობილს.

ჩვენი მსახიობნი პლასტიკაზე ძალიან მწყურაოდ არიან და, კი ნუ გამოწყობიან ამ სტრუქტურებისათვის, უნდა იმუშაონ, იმეციადინონ, მავალით აიღონ, მიჰხამონ და შეისწავლონ ყველაფერი, რაც საჭიროა სცენისათვის და მაშინ, მხოლოდ მაშინ გაბეიროს და დაენახვონ თეატრის ათას თვლიან ვეშაბს.

თეატრთან უნდა იყოს დაარსებული ბიბლიოთეკა და უნდა ჰყავდეს ღირსეული ხელმძღვანელი, რომელმაც უნდა შეავარდოს ყველა კრიტიკული სტატეები ქართული თეატრის შესახებ და წარმოდგენების რეცენზიები. ქართულს ეურნალ-გაზეთებში გაბნეულია ამისთანა სტატეები და რეცენზიები ილია ჭავჭავაძისა, რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლისა, ვანო მარაბლისა, მიხეილ ბებუთაშვილისა და სხვა ბევრის. ამით წყაიოთხა დიდს სარგებლობას მისცემს მსახიობს.

ყურადღება უნდა მიექცეს რეპერტუარს თარგმანი ჩვენი თეატრში ფეხს ვერ მოიკიდებს, ამას დიდად გაეწონილი და დიდად ნიჭიერი მსახიობნი უნდა და ჩვენდა საუბედუროდ ესლა ამისთანა მსახიობნი ცოტა გვყავს... ჩვენ საკუთარი ცხოვრების პიესები გვირდა, მოვსქებნოთ და ეიბოვით კიდეც; და ჩვენი შვირლები დანახავენ თუ არა, რომ ქართული თეატრის მართლადე გაქართულება გვირდა — მოგაწოდებენ თავიანთ თხზულებას.

მას საჭიროა: საკუთარი თეატრი, განათლებული მსახიობი და ახალი რეპერტუარი.

1920 წ. იანვრის 2

ქ. თბილისი



ბანთ „საქართველოს“ 1920 წლის 7 იანვრის ნომერში მივაკრძალეთ, განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუნდამენტლისა და წამყვანი მსახიობის კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის მე ყიფიანის წერილს სათაურით: „თეატრი და მსახიობი“, რომელიც წარმოადგენს პასუხს მსახიობთა კავშირის მიერ „მსახიობის დღესთან“ დაკავშირებით დასმულ კითხვებზე. თუ რა აზრისაა იგი ქართველი მსახიობისა და ქართული თეატრის შესახებ და რა ესაქაროება თეატრის დღევანდელი ვითარების გაუმჯობესებას.

ამ დროისათვის კოტე ყიფიანი უკვე დიდი ხანია თეატრში აღარ მუშაობდა. მაგრამ მთელი თავისი არსებით კვლავ ქართულ თეატრშია და მასზე ფიქრობს. 70 წელს გადაცილებული მოხუცი მსახიობი კვლავ საღად აზროვნებს, კარ-

გად ერკვევა თეატრალურ ცხოვრებაში და წერილში იგი თავის აღზრდილ შეხედულებებზე უფრო აღრმავებს და აკონკრეტებს.

დასახელებული წერილი მნიშვნელოვანია არა მარტო კ. ყიფიანის მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით, არამედ რევოლუციამდელი ქართული თეატრის თეორიული აზროვნების გათვალისწინების თვალსაზრისითაც. ეს წერილი არის შესული დამოკვეთილი „ლიტერატურა და ხელოვნებას“ მიერ 1964 წელს გამოცემულ კოტე ყიფიანის მოკონებებისა და წერილების კრებულში, რომელიც თეატრმოცოდენ დ. ხუციშვილმა შეადგინა. ვფიქრობთ, რომ ამ წერილის გამოკვეთება სარგებლობას მოუტანს ქართული თეატრის ისტორიისა და თეორიის მკვლევართ.

ეთერ დავითაძე

სოფრომ გელოვლიშვილის გამოქვეყნებული მოკონებები

გარია მხეილის ასული ავაშიისა

(მცირე მოკონება)

გიორგი ერისთავის შემდეგ ჩაუქრა შუქი ქართულ თეატრს; აქა-იქ მოყვარულნი თუ გაიხსენებდნენ ხოლმე ქართულ სცენას და რის ეპი-ვაღლახით დასდგამდნენ გ. ერისთავის და ანტიონოვის კომედიებსა და ყიფიანის თარგმანებს მოლიერის და შექსპირის კომედია-დრამებისას.

ასე იღონილა ქართულმა წარმოდგენებმა საყოველთაოიანი წლების მთავრ ნახევარზე და აი დაუდგა ქართულ სცენას განითადი. სამშობლოს გატრეკილ ცაზე ამობრწყინდა მთელი გუნდი ვარსკვლავთა, რომელსაც შუქში, როგორც ძვირფას ბეჭედს ფასდაუღებელი თვალთ, უჭდა შარავანდედი მისილა, თვალის მომჭრელი ვარსკვლავი. ამ გუნდმა მოშვინა სამშობლო ქვეყანას სათელი შემპირებებისა, გულის ნუგეში სცა სამშობლოს სცენას უკვდავ აღორძინებითა.

ის შუქურ ვარსკვლავი, რომელიც ამშვენებდა და აბრწყინებდა ახლად აღორძინებულ სამშობლო სცენას იყო მარიამ მიხეილის ასული სავაროიისა.

მთელი საქართველო აღტაცებული იყო ქართული თეატრის კვლავ აღდგენითა. ყველას თვალნი და გულნი მიქცული იყო თბილისისაკენ, სადაც ამ ახალმა გუნდმა დაიწყო მოღვაწეობა. სათავეშიც ღირსეული პირნი ჩადგნენ, აღესილა მამულიშვილურის მისწრაფებითა, სამშობლო სცენის უსაზღვრო სიყვარულითა. მავ: ილია, აკაკი, დ. ერისთავი, გ. თამანიშვილი, ა. სარაჯიშვილი, ი. ავალიშვილი, შემდეგ ი. მაჩაბელი.

გულის ფანქვალთი მოველიდით პრთვინციელები ვაზეთებს, რომ წაგვიკითხა ახლად დაარსებული დასის შესახებ რეცენზიები, ქართული თეატრული პრესა აღტაცებული იყვნენ ახალი დასის წარმოდგენებით, განსაკუთრებით მაკოს თამაშობითა.

ჩვენ, პრთვინციელები დავფაცურდით, რომ გვენახა ჩვენშიაც ახალი დასი, რომელმაც უცბათ მოიხვედრა სახელი.

აი გვეღირსა ხილვა: მოვიდა გორში დ. ერისთავი, დაქორავა დასისათვის ოთახები ზუბიევის

სახლებში. მეფის ქუჩაზე. დაკვიბორნენ რამდენიმე წარმოდგენას. გამოიკრა გორის ქუჩებში აღიშნობი.

მთელი გორის ინტელიგენცია — ქალი და კაცი დაუფხვლით სასურველ სტუმრებს გორის იავზალზე. მასსოვს რთორიის გულის ფანქვალთი ელოდით მატარებელს.

აი გაჩერდა მატარებელი. ყველანი ვეკლყვებოებით. რომ დაგინახოთ, თვალთ დაკრათ ვავონებში ხსენებულ ძვირფას სტუმრებს.

გარს შემოგვევლნი სწორედ თავი მოვაბეზრით, დაჯახრით მოკითხვით, ათასის სურვილებს გამოთქმითა. სათითაოდ დაიცვალე ახალგაზრდა არტისტები თავ თავის სახლებში. მხოლოდ ბარაი მიიჯანეთ ზუბიევის სახლში და იქ ღამე იძინებდნენ ზოგიერთნი.

აი მაშინ პირველად გინებ მე მაკო. გისაც ახალგაზრდობაში, პირველ ხანებში არ უნახავს მაკო, ის ვერ წარმოიდგენს. თუ რა სანახავი იყო იგი გარეგნობით, რა სანახავი იყო იგი სცენაზე.

შუა ტანისა. მკვრივი ავირულებსა, ცქრიალა. ყურონა და წყლიანის თვალბით, ფართე თეორი შუბლით, მკაფიო და თიბილით ლაპარაკი — აი რითი ჰზობილავდ ათამიანსა. ამ გარეგნობის პატრინი ერთი ათად სჩანია. იგი ღმერთი იყო სცენისა, თამიანი სკამზე მდგომარეთ არ გრამნობდა თავის, აიწყობილდა გინაობა თავიონად მარაო ურთიდებოდა მაცოს სულსა...

მასხოსი გოლირილი ბნელს თათხაშა მე ეოსუთიოიერი. მაკო სცენაზე სრულიად გარდაიქმნა, მთელი აუდიტორია აღმთრიალი. სულის ანახებთი უცქროსდნენ და უსმენდნენ, გულწრთოლს, სისამოქრო სიცილს საზღვარი — არა ჰქონდა. ისე გამიტაცა მაცოს თამაშმა, რომ სულობობა დაივიწყე, დავიდ შირი რა რეკიანიოთ შეესკეპროდი ბნელ თათხაშა გამოწყვილილთ ახალგაზრდა ქალიშვილს — მაცოს. ასე პირდაპირილი დიარჩობიდი, რომ ყულისობიდან არ წაიჭურჩულებინათ, რას სჩაღიხარ, სიკრეობი მიაღწეო.

გორში ჩაიყარა, გვენებ, საფუძველი მაცოსი და ვასოს შეუღლებისა, აგრეთვე ნატოსი და



ასიკოსი. ეს ნიჭიერი ტოლ-ტოლი ერთმანეთის არმყივობაში იყვნენ. ნიჭმა ნიჭი გამოანახა, ტოლმა ტოლი, ვულმა ვული ივარძნო და დაფიასა.

მუდამ წყოს გამოგვისიერებდა ხოლო სტუმართ შოყვარი გორღლებს; ყველა გორღელი ინტელგენტის სახლი ღია იყო ჩვენი სტუმრებისათვის.

სათვის: კერეკლიძისა, ფურცელაძისა, ცხელიძისა, თუთაიასა, თ. ზ. ერისთავისა და სხვათაგანთა დასს მოსდევდა ვინმე ჩვენი სტუმრებისათვის: აკაკი, ი. მარბელი, დ. ერისთავი, ვ. თუმანიშვილი, ა. ყაზბეგი, მაკო და ნატო იყვნენ სული და გული მთელი გორღლებისა, მათი ნადიმებისა.

დაუზიფხარი მოღვაწე

მართალი უთქვამთ: „ზოგისა ბაბმა ჩხრიალღებს, ზოგისა კაკალიც არაო“. ცხოვრებაში ამისი მიგალითი ჩხრიალი. საზოგადოება, ხალხი მისდღეს ზოგიერთების რეკლამას რომელიმე მნიშვნელოვანი პიროვნების შესახებ და მას უმართავს ღიღის ზეიმით დღისასწაულს, იგართყოღებულ ღუბიღუს, მისი მოღვაწეობის შესახებ. ასეთი დღისასწაულები ამ უკანასკნელ ხანში მკრძალ გავრცელდა. იქნამღე მთელა ათობამღე ზოგიერთებისა, რომ თვით იმართავენ დღისასწაულებს, მართამენ საღამოებზე, თავისი ათის, თხოუმტების, ოცის წლის ლიტერატურული, თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღსანშნავად.

გულბრწყილი საზოგადოებაც ქისას პირს უზხსნის და გულუხვად იძღევა ფიასა.

ამეღ დროს ნამღვილო მოღვაწეი კი საზოგადოებისაგან სრულიად მიიფიყებულნი არიან და არიან იმიტომ, რომ ეს მოღვაწენი წინამასწარობას ერთდღებთან, არ მტერირობენ, არავის გზეღწეებთან დღისასწაულის გასამართავად. ისინი წყნარად განაგრძობენ თავის მოღვაწეობას.

სამკუთთა მთავრობა, მისდა სადღელბლად ვიტყვი, — არ იფიყებენ ამ წყნარ მოღვაწეებს; მან დამსახურებულ მწერლებს, ხელოვანებს აღმოურიან დახმარება პენსიის სახით. ეს სამეგალითი მოგლეწნა, არც ერთ სახელმწიფოში, ვგონებ, არ ეძლევათ ხელოვანებს, ლიტერატორებს პენსია. სამკუთთა მთავრობა მუშა მოღვაწეებს უხვად აჯლოდებენ ხოლო მათთვის გამართულ დღისასწაულებზე. მაგამ საზოგადოება კი, ის დაწესებულება, სადაც იღწვის ესათუ ის მუშაგლები, მზას არ იღებს ამ მოღვაწეზე, იგი მიიფიყებული ჰყავს. ამისთანა დაიფიყებულ მოღვაწეთაგანი არის მუშაგლები გიორგი ჯბაუერი. რაში იხებტა მისი მოღვაწეობა? გიორგი ჯბაუერი არის გორის მაზრის სოფელ ლამისყანის გლეხი. იგი ჩამოსულა დედაქალაქ თბილისში, ვათავა სახელისწონ სკოლა, მუშაობდა რეჟისგზის სახელმწიფოში. ბუნებითმა ნიჭმა და შრომა-მოღვაწეობის უნარიანობამ ის ერთს წერტრღებზე არ შეაჩერა. ნიჭიერმა მუშამ თავის თვალთ დაინახა, რომ მუშა მოკლებულია კულტურულ გასართობებს, მისი განვითარების ხელისშეწყობებს. დატრიალდა ახალგაზრდა მუშა გიორგი, იშვინა თანამგრძნობნი ამხანაგები, მაგ. მიხეილ თუმშელაშვილი, იოსებ იმედაშვილი, ვასო თეოდორაშვილი და შეუღდა სახალხო წარმოდგენების მართვას მუშაგლებსათვის.

მოგესტენებათ, რა ძნელი საქმე იყო სახალხო წარმოდგენების მართვა ამ ოცდამოთმეტის წლის წინათ. უბიბო რეჟიმი მეფობისა, წყეული ცენზურა, უბიბოება და სხვა ამგვარი დაბრკოლებანი ხელ-ფეხს უბოტრავდენენ ადამიანს, მაგრამ გიორგი ჯბაუერი ამ შეუღრცა ამ დაბრკოლებებს, შეებრბოლა, შეეჭიდა და ლულო გაიტანა. მან დაიწყო წარმოდგენების მართვა

1891 წ. მართავდა სხვადასხვა უბნებში: ჩულურეთში, ავლანარში, ნავთლულში, კუკიაში, ხართუხში, — სულ ღარიბთა უბნებში. შოგნა საწარმოღდენი დარბაზისა, ტანისამოსისა, სათავადრო ინენეტარისა, დეკორაციების დაღვენამოწყობა ღიღს თადარიგს და შრომას თხოულობდა: ორი წლოწიტი გიორგი ამ ციკცლის კიდეღბაში იყო, მაგრამ გაუჩნდენ გულშემატკიარობა: მასწავლებელი ქალბერი — ვერა დაიბთის ასული ქართულიწიფილისა, ან ცნობილი საზოგადო მოღვაწე ასოქსანდრე მიქაბერიძის მუღლი. ვარია ასოქსანდრეს ასული არლუთინისა. ამათ მიხართეს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ქალაქის საბჭოს ჩომსანს, ქველმოქმედს ექიმ ნიღო ხუღდაღვის, არმეღსაც სთხოგეს მოეხერხებინა მიეცა ქალაქს ამ სახალხო სცენის მოყვარეთათვის ავკლასი აუღღტორია. ხუღდაღვმა სიამოღწებით ვაიზობრა ეს სიმატორიო არი და 1893 წ. ქალაქმა ვაღდაცა ეს სახლი სცენის მოყვარეთათვის გიორგი ჯბაუერს. ასე, სახალხო თეატრმა დაიწყო თავისი ოღიციალური მოღვაწეობა 1893 წლიდან და წელს შეუსრულდა მას ოცდაათი წლოწიტი ოღიციალური არსებობისა. ამ სახალხო თეატრის ისტორია დაწერა თვით გიორგი ჯბაუერმა და დაისტამბა „თეატრისა და ცხოვრებაში“ 1914 წლიდან.

წარმოდგენები იყო იათფასიანი — 10 და 5 კაიკი შეგლდა. სახლი იშოვეს; საქმები თვით მუშებმა გააკეთეს; დეკორაციებს თვით აკეთებდენ; ზამთრობით რეჟიტორები ოჯახებში იმართებოდა. მიანც ვაჰირებში მიდიოდა საქმე. მთავრობა ხელს უშლიდა. მოსთხოია მან შეუღლებული საქმე და რუსული პიესების დაღღმაც; თამაშობდენ მუშები, როსულის არამციოდენნი. რა ექნათ? მანშიდღელმა რეჟისორმა ილია ავღაქემ გამოსტებნა როსული ვოღდიელი „დათვი“, თვით თამაშობდა ამ პიესაში და ინტელაგენციაც მიიშვლა. შომიიგ რუსებშიც და სომხებშიც ჩაღვეს თეხი მშამხარულთ თეატრში. ამ სახალხო თეატრში (ავკლასი აუღღტორიაში) მუღდა განუწყვიტელი მუშაობდა გ. ჯბაუერის: არტისტიც იყო, დეკორატორიც და ხანდინხან სტუდიორიც. რიცა მუღღმე სულღიორს მშმა თუმშელაშვილს რაიმი როლი არ ქნდა ამ თეატრში რეჟისორობდენენ ილია ავღაქმა. იოსებ იმედაშვილი, ნიღო ავღალოშვილი და ამ სტრქიონების დაწმერი, რომელიც ხანდახან როსულს ვასრულებდი და სახალხო სკუთარ სცენებს ვკითხულებოდი. ბოლის გამეგობა ამ თეატრისა ვაღდავიდა მართამ დღემურისა სახლში, აჩიღან იწყება თეატრის მტკიცე ნაბიჯით სიარული: წარმოდგენები ხშირად იღმემებოდა, იმართებოდა საბაღყო წარმოიგენიბი, საბაღყო საღამოებში, მუნღღიანი სურათები, ლექციების კობზე და სხვა. ყველაფერი მოხერხდა, მაგრამ ვარღირობის უქნადობა აკირიგბდა სამქის: ტარისამოსი, სცენის სამკაულები ოჯახებიდან მოჰქონ-



დათ, ხშირად ავიჯი იკარგებოდა, მაგრამ საზოგადო საქმისათვის სიმობინენი დანაჯარება. ბოლოს ეს სახალხო თეატრი გაიხარდა და დღეს ზუგდიდში სახალხო სახლშია მოთავსებული ეს პირველი თეატრი გაბაურისა და მისი მამინდილი ამხანაგებისა ნ. თუშქელაშვილისა, ნ. გოჯირიძისა, ი. ივანიშვილისა, ილია აგლაძისა, მაკიამ დემურბასი და სხვათა საზოგადო მოღვაწეთა.

გიორგი ჯაბაური 1891 წლიდან აქნობამდე არ განშორებია თავის სიყვარულს სახალხო თეატრისას და დღესაც იმთვის ამ თეატრში. თავდათორბეტი წელიწადი მისი განუწყვიტელი მოღვაწეობა სახალხო თეატრის ასპარეზზე და დღემდე არაგის ვახსენებია იგი რომ ასეთი, ხან-გამდელი უანგარო, თავგანწირული შუშობა უბრალო შუშა-გლეხისა რითიმე აღნიშნულიყო, რომ ეს ხალხის გულს დამწიფოდა.

ღიად! კაცი რომელმაც კისრად იღო დიდი

ბერიკაობა და შენობა

რა იყო ბერიკაობა? ბერიკა წარმოადგენდა დღევანდელი ცირკის მასხარას. ჩაიკამდინენ გა-იხარებულ ტყავს, პირს და ხელებს გაითხუ-ბინდინენ, თავზე გაითათბინენ თხის ან ცხვრის რქებს, ხელში აიღებდნენ დიდი ობსის, ჩამოურბინდნენ სიფელს, დახტობდნენ, ციკავდნენ, შიარობდნენ და იციროდნენ, მასხრობდნენ, ზავშეები შიშით ვარბოდნენ, ძაოლები უცნაუ-რით აყოფდებოდნენ და დროდნენ.

შესანიშნავი იყო ყვენობა: დიდი სიფელი, ორ ბანაკად გაყოფილი, ორგანი ყვენი ზნის, შესიკაბენ ვირზე და დაუღლით სიფელში აჩრ-აკარ ხარჯის მოსაკრთად, წინ მიუხტის ბერიკა და თათრულად ჩაქმული საჭურისა, შივირიბ-და დიდიძალი სანოჯიგი, ღიანი. არაყი და სხვა-განადლება ნადიმი, სიმღერა-თამაშობით აიშლუ-

საქმე თავისი ხალხის კულტურული განვითარებისა, რომელმაც თავის მოშური კისრად სახალხო თეატრის ლოლო გაიტანა სამშვიდობო და დასაცა საზოგადოების. აი ეს კაცი, შუშა გიორგი ჯაბაური, დაიწყებულია თვით დღე-იანდელი სახალხო თეატრის განვითარებას, რომლის წინადა მოვალეობა იყო და არის და იქნა-ღეწობის ღირსება და დაფასება.

არ დაიფიწყა იგი მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ; დაუნდნა ამ მოღვაწეს პენსია ამა წლის ივლისიდან და ვინაიდან საბჭოთა მთავრობა ამისთანა შუშა-გლეხის მოთავსობას იღეს ყურადღებას აქციეს და აღუმობილებს მის ყოფა-მდომარეობას. მანერ უნდა დააკისროს ვისაც ვერ არს გიორგი ჯაბაურს გათავისებონ სახალხო დოგისაწაული და სახელმწიფო გამოძიქმ-ლობებს დაეგაოსნ გაშოსცენ მისი „სახალხო თეატრის ისტორია“.

ბა ხალხი, გაიმძის დერხული, კიოეე სიმორა, შეხედება ორი ბანაკი, შუა სიფელში შეიქმნება ბრძოლა, ყვენების ჭიფილი; მერე მიიანს მდინარე წყალზე, აქაც ბრძოლა. მიწერ-მოწერა, ცირკის ტრიალი, ვადაწყვიან ბოლოს ყვენებს წყალში. მტერი ყვენი დამარცხდა, ხალხში ყრ-ამყოლია. მტერია: მებრძოლი დაზღვდებიან, მიხვდებიან რა, რომ მათი მტერი იყო ყვენი და ბოლოს ხალხმა იგრძინა და გათავად და წყალში ჩაარჩო. ეს ძვირფასი მოვინება მოსპო ჩვენ-ში რუსის მთავრობამ.

დღემდელად ჩატარდებოდა ხოლმე ყვენობა თბილისში. ქვემო უბანი იყო მტერი — თათრობა, ზემო ვირა-კუკისი ქართილობა; თავდებო-და საქმე კრიოთა, რომელშიც ყოველთვის ზე-მო უბანი იმარჯვებდა.

შ ე ნ ი შ ბ ნ ა ბ ი

ქართული ხალხოსანი მწერალი სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი თეატრალურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი უხვად იყო დაჭილ-დობილი სამსახიობო ნიჭით. აიულო წლების განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა ქართულ პიესებში. განსაკუთრებით, გოგების როლებში. მის კალამს ეკუთვნის უამრავი წერილი და რეცენზია ქართული დრამატული დასის და გორის თეატრის სექციკალონის შესახებ, აგრეთვე სიტყვიბი ოა მოაონებები ქართული თეატრის მოღვაწეებზე. ახმამა მეთხიველს ვთავაობთ მის გამოუქვეყნებელ თეატრალურ მოვონებებს, რომელიც მკაცრული იქნა ჩვენს მიერ ა. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ფონ-დები — № 15745, 15710, 15676).

პირველ მოვონებაში (მარამი მიხეილის ასუ-ლი აბაშიძის) ს. მგალობლიშვილი ეჩება ქართული თეატრის განაღლების საკითხებს, მის პირველ დახტობებს ქ. გორში და ახალჯარდა მაკო საფაროვა-აბაშიძის ვაცნობას. წერილი და-უთარიღებულია.

მეორე წერილი (დავიწყებული მოღვაწე) მკითხველს აცნობს სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის — გიორგი ჯაბაურის ღვაწლს.

აქვე ვცნობთ, რომ თვით ს. მგალობლი-შვილი მონაწილეობდა სახალხო თეატრის საქ-

მიანობაში, ახრულებდა სხვადასხვა როლებს, კითხულობდა საკუთარ სცენებს.

ეს წერილიც დაუთარიღებელია, მაგრამ შინა-არსით ირკვევა, რომ დაწერილია 1923 წელს.

„ბერიკაობა და ყვენობაში“ ს. მგალობლიშვილი მოკლედ, მაგრამ ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართული ხალხური თეატრალური სა-ნახაობების—ბერიკაობისა და ყვენობის შესახებ, რისი უშუალო მომწიფე და მნახველიც თითონვე ყვავიდა. საყოვადღებოა, რომ თხის რომე-ლიც დაიბნინეს კულტთან არის დაავიწყებული, ნიღაბთან ერთად ს. მგალობლიშვილი ასა-ხრულებს ცხვრის ნიღაბსაც, რაც, როგორც პრეოდ. დ. ჩანელიძემ მრავიჯერა. ფრად იშვი-თად გვხვდება მასალებსა და წყაროებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერიკაობა შემოინახა ბევრი ძვირფასი ერთფული ჩვენის თუ ტრადი-ციის ელემენტები, გვიბრძა მან, უხეხელიდ და-გავსინდება ცხვრის თავნახსიციმის კულტი, და-გავსირებული კოლხეთში ცხვრის ტყავის (ოქ-როს საწმისის) წახალხად მოსული არგონტე-ბის ამზადთან. ასევე ფრად საინტერესოა ცნობ-ბა ყვენობაში ბერიკა მონაწილეობისა და „ფერხულის დაბნის“ შესახებ. რაც უძველეს ხალხურ თეატრალურ სანახაობებთან მჭიდრ-კავშირითობითობაზე მიგვითვთებს. ეს მოგო-წენაც უთარიღოა.

ბიზი ჯაოზშილი

გუბინელი სხოპეების სურათი

ლ. მარტაშვილი

შალვა დადიანის რევოლუციამდე პიესებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კომედიას „გუბინელი“, რომელშიც რეაქციის დროინდელი ყოფის უტყუარი სურათია გადმოცემული. ამ კომედიაში დაბადებითვე დაიპყრო სცენა. 1917 წელსვე იგი დაიბეჭდა ქურონალში — „თეატრი და ცხოვრება, 1917 წელსვე იგი ითარგმნა რუსულ ენაზე (თარგმანი დატულია სათეატრო მუზეუმში) და 1917 წელსვე იგი (ჯერ ცენზურაში გაუტარებელი) დადგა ბაქის დრამატული კომიტეტის სცენისმოყვარეთა დასმა თვით ავტორისა და ალ. წუწუნავას რეჟისორობით.

კომედიაში მოხიბლა ცნობილი თეატრალურა მოღვაწე და დრამატურგი ალ. სუშბათაშვილი-იუკინი, რომელმაც ბათუმში ნახა სპექტაკლი 1923 წ. მაი ამ კომედიის „საუცხოო ტალანტით დაწერილი“, „უღაო ჭეშმარიტება“, „საუცხოო ჭეშმარიტება“, „საკვირველი მხატვრული შეგარჩობა“ უწოდა. „გამალობ ნამდვილი მხატვრული განცდილობისთვის“, — თავს უხრის დიდი დრამატურგი ვ. დადიანი.

გ. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დატულია დრამატურგ ნ. შოქუაშვილის ერთი წერა, რომელიც გამოხატავს მის ალტაცებას „გუბინელი“. იმ „გაბირუტყვევულ“ ცხოვრებაში ამ კომედიით მაჟურებელს უდიდესი სიამოვნება მიუღია. შთაფარი ის არის, რომ ამ პიესამ „აზრი შეაქვლივინა“ ნ. შოქუაშვილს. „მძიმე კანკლა“ გულწრფელი სინაზრული საყვარელი მისწერა შ. დადიანი.

აი, ის წერილიც, დათარიღებული 1920 წლის 19 ნოემბრით:

„სალამი და გამარჯვება ძვირფასო შალვა! წუხელ პირველად ვნახე ჩვენს თეატრში თქვენი „გუბინელი“. და როგორც სამხრეთის ნამდვილ შვილს არ შემიძლია არ ვაგიზიაროთ ჩემი აღტაცება, ჩემი იშვიათი სიამოვნება! მე სულ იმ აზრისა ვიყავ, რომ დადიანის ცხოვრების უშვლეს მისაღწევლობას გვირგვინად დაეცვას ზელოვნება (არა შეცინებება) და წუხელ აი ამ ზელოვნებაში ამ მძიმე გაბირუტყვევულ ცხოვრებაში განმაცდევინა ისეთი ალტაცება, რომ ზომ ზედათ ვეღარ ვაჩუქდი და გეზაურებით!

თქვენი ცოცხალი, მშვენიერი სურათები ჩვენი ცხოვრებიდან, „გუბინელი“ ცხოვრებიდან ისეთი მხატვრული სისრულით იყო განსაზღვრე-

ბული ჩვენს სცენაზე, რომ მთელი საზოგადოება — დიდი, პატარა, მოწაფე, ინტელიგენტი — ალტაცებაში მოვიდა! აღარ გვინდოდა წარმოდგენა გათავებულყოფი. ვესმით, ძვირფასო შალვა, რომ იცოდეთ როგორ თამაშობენ ეს საძაგელი ჩვენი მსახიობები. ნიჭიერთა შეჯიბრება იყო სწორედ. მსახიობები ისე ჰგარჩობდნენ თავს, როგორც თევენი წყალში — თავისი სისხლი, ზოცი, ბუნება ნაცნობი ყველასათვის მარტივი და აი ყველა ამან შეჰქმნა უნაკლო მხატვრობა. დარბაზი გადაება სცენას, სცენა გადაეშვა პარტერში, თამაშობდნენ, ხარბარებდნენ, შუბლს იკრავდნენ ყველანი ერთად — მსახიობიც და ხალხიც.

მშვენიერი საღამო, დაუვიწყარი სიამოვნება! ეს იყო მოსოველი მხატვრების „აღუღობის ბაღი“ — არა, მასზე გაცილებით უფიფესი.

ეს საძაგელი გელოვანი (თავადის როლში), არ გასაჩენი ე. ციმაკურიძის ქალი (ფოფოლია „გავისკდა მიწა“), კორიშელი (გლეგების წინამძღოლი), ლამაზი დავითაშვილი (მარხის უფროსი), ქიქოძე (ჩიტუნია), მურუსიძე, ვსაძე, ქიაურელი — რომელი ერთი! სულ მშვენიერები იყენენ, მხოლოდ გელოვანი გვირგვინი.

რა სიამოვნებას განვიცდი, რომ მაქვს შეშთხვევა ასეთი ალტაცებით ვილაპარაკე ქართული წარმოდგენის გამო, მით უმეტეს, ორიგინალური პიესისა.

ამ წარმოდგენამ მეც, როგორც ერთ პატარა დრამატურგს, აზრი შემიცვალა. ალბათ მიმიხვდებოდათ, რომ მე მაინტერესებს ადამიანი საზოგადოდ. მისი სული, მისი ბუნება, ზრახვანი. რაც შეეგება ეროვნულ ზენ-ჩვეულებათა სურათ-ხატებას, გამოვითყვებით, ცოტა არ იყოს ზეგადან ქვევით დაეცქვროდი. ბევრი საყვედური მსმენია, რომ არ ვწერ ნამდვილი ქართული ცხოვრების სურათებს, მაგრამ რას იზამ, აივრე ძალობა არ ვამოდგება. წუხელ დავარწმუნდი, რომ ნაციონალურ ზენ-ჩვეულებათა სურათ-ხატება არაა ისეთი პატარა რამ და ვაშაქვენი!

წემი ალტაცება ნებას მაძლევს გადავალბო ჩვეულებრივი საზღვრები თავზიანობისა და მეგობრული შენიშვნებზე მოგვით, უნაკლო წარმოდგენა მინდა ვიხილო, черт подери!

1. შეტია-სრულებით ფუტურისტული ლექსი.
2. შეტია „სოციალისტი“. ესე გაკრით ამ ტიპის შეხება არას მატებს პიესას — პირიქით.



საქართველოს
წიგნწერის კავშირი

3. მშვენიერა დრამატული მომენტი შეუძლია შექმნას უკანასკნელ მოქმედებაში მონოლოგს ცახე-კოშკებზე, მხოლოდ არა იმ რაღაც უტოვარ პირიდან ამოსულს. ამას მე ვათქმევინებდი ისევ შამასახლისის ქალს.

4. უკანასკნელი სცენა, როდესაც მაზრის უფროსს მიაცილებენ სიმღერით, შამასახლისის ქალი ღრმა სევდით მოცული მარტო რჩება აივანზე და ვასაქერის ციხე-კოშკებს. აქ უნდა ფარდა დაეშვას, ყოველი სიტყვა მეტია. მეტადრე თუ ეს ქალი იტყვის იმ მშვენიერ სიტყვებს ამ პოეტებისა და ღამურების სამეფოდ ქვეულ ცი-

ხე-კოშკებზე, მისი უსიტყვო სევდა მაშინ შეიძლება ღრამაა, ადვილი გასაგებია.

განმეორებით გილოცავთ, ძვირფასო შალვა, რომ ჩვენმა სცენამ მოახერხა ასეთი მშვენიერების შექმნა თქვენი ცოცხალი ნიჭიერი სურათებისგან. ნუ დაივიწყებთ, რომ ამას ეწერ „მძიმე“ კახელი, რომელიც ისე ადვილად არ ატოკდება და არც იაფი ქათინაურები ეხერხება.

ეს წერილი მინდოდა საგაზეთოდ, მაგრამ მაშინ უნდა გამომეტოვებინა ზოგი რამ. მავ, მსახიობის წყევლა და სხვა ამგვარი „ინტიმური“ ალერსი. საღამო ქალბატონ ელოს.

თქვენი ნიკო შივაშვილი

სახილიზვილო საქმა

ვიზიოპო აბაკელი

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებრიობაში, ჩვენს მსახიობებში, რეჟისორებში და თეატრალური ხელოვნების სხვა მსახურთა შორის დიდი ხნის წინათ მომწიფდა აზრი, რომ თეატრის მუშაკს ჰქონოდა თავისი შემოქმედებითი სახლი, მაგრამ წლების განმავლობაში სურვილი სურვილად რჩებოდა, ქართველი მსახიობის სახლის აშენება პერსპექტივაშიც კი არ იყო ნავარაუდელი.

მაგრამ ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ოცნების განხორციელება თავს იდო საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა და აი, 1968 წლის იანვარში, სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ანათაძის თაოსნობით კიროვის ქუჩაზე დაიწყო „მსახიობის სახლის“ მშენებლობა.

პროექტის ავტორმა ლ. მესხიშვილმა და კიაზო ნახუცარიშვილმა, რომელთანაც მე ვიყავი მიმაგრებული კონსულტანტად, ორგანული კონსტრუქციული ფორმით წარმოგვიდგინა შენობის მთელი ანსამბლი. „მსახიობის სახლის“ მასურბელთა დარბაზისა და ინტერიერების გადაწყვეტაში ყურადღებას იმართებს სისადავოა და ამავე დროს დიდი გემოვნებით შესრულებული ყოველი დეტალი. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ხეზე ნაკეთის სკულპტურული ქმნილება (ავტორი ნარტყოშვილი), რომელიც მასურბელთა დარბაზის ვესტიბიულში სარკეებს შუა დაიდგა. ეს ქმნილება ჩინებულად შეერწყმება ვესტიბიულს, მის განზომილებას. „მსახიობის სახლს“ აქვს 500 ადგილიანი მასურბელთა დარბაზი, 140 ადგილიანი საკონფერენციო დარბაზი, ვრცელი საგამოფენო დარბაზი, ბიბლიო-

თეკა, ბაღი და რესტორანი „დურუჯი“, რომელიც შემოქმედებითი ინტელიგენციის თავშესაყარი ადგილი იქნება. მშენებლობის ყველა უბანზე ინტენსიური მუშაობა გაჩაღებული, უკვე დამთავრდა შენობის ადმინისტრაციული ნაწილი. განათების აპარატურებისა და კინოდანადგარის მონტაჟი. ამჟამად დასასრულს უახლოვდება მასურბელთა დარბაზის, სცენის მექანიზაციის სამუშაოები და ინტერიერების მოპირკეთება.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობის დღეს რესტორანმა „დურუჯმა“ პირველი სტუმრები მიიღო. მსახველი მოხიზლა გემოვნებითა და ტაქტიკით ვაფორმებულმა რესტორანმა. ჩვენი სცენის მუშაკებს ყოველდღე შეძლებათ აქ დასვენება და გართობა. დაწყებულია საგამოფენო დარბაზისა და ბიბლიოთეკის მშენებლობა და ბალის დაგეგმარება და კონფერენციის ბლოკის მონტაჟი. დიდ დამხარებას უწევენ მშენებლობას თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეები გ. იაკაშვილი და ზ. სიხარულიძე.

„მსახიობის სახლის“ მასურბელთა დარბაზის მწყობრში ჩადგომა სასიხარულო არა მხოლოდ დედაქალაქის თეატრის მუშაკებისათვის. ამიერიდან აქ სპექტაკლებს გამართავენ ხოლმე რესპუბლიკის პერიფერიის თეატრები. ყოველი რაიონის თეატრს საშუალება ექნება დედაქალაქის მასურბელთა ვარმოუდგინოს თავისი საუკეთესო ნამუშევარი, ხოლო 150 კაციანი საკონფერენციო დარბაზში სისტემატურად გაიმართება განხილვები, დისკუსიები, თეატრალური შეხვედრები, შემოქმედებითი საღამოები.

საზნადარი საქართველოში და ძველი თბილისის სწოგილი მესაზნადარები

ალექსი ბარნოვი

I

ძველად საქართველოში, და განსაკუთრებით კი თბილისში, ძალიან მისდევდნენ საზნადარს, რომელიც იმ დროს ოთხი მუსიკოსისაგან ანუ კვარტეტისაგან შესდგებოდა, ესენი იყვნენ: დაფის ანუ დაირის დამკვრელი-მომღერალი, მეთარე, მეჭიანურე და მენაღარე. ეს ორი სიმებიანი სამუსიკო საკრავი—თარი და ჭიანური, ხალხურ სიმებიან საკრავებს შორის, ყველაზე მდიდარ საკრავად იყო ცნობილი თავისი ინტონაციებით და დიპაზონით. ამით აიხსნება, რომ საზნადარი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალაქის კულტურულ საზოგადოებაში, როგორც თბილისში და საერთოდ საქართველოში, ისევე მთელ ამიერკავკასიაში.

ზემოაღნიშნული სიმებიანი საკრავებით კობტად იყო მორთული თბილისში, ჩვენი საყვარელი მწერლის და ცნობილი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ორბელიანისა და ბევრი სხვა წარჩინებული ქართველის ბინები. ეს სამუსიკო საკრავები აშშვენებდნენ აგრეთვე ჩვენი დიდი პოეტის—აქაი წერეთლის და სხვათა ბინებს დაბა საჩხერეში.

ჩვენი წინაპრების ეს საყვარელი სამუსიკო საკრავები მარტო ბინის დასაშვენებლად კი არა ჰქონდათ მათ დაკიდული ხალხებით მორთულ კედლებზე, ისინი თვითონაც მშვენიერად უკრავდნენ მათზე.

გადმოცემით ცნობილია, რომ ჩვენი დიდი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილიც თავის დროზე იშვიათი თარის დამკვრელი ყოფილა. თარის კარგი დამკვრელი ყოფილა ბესიციც.

პოეტი აქ. წერეთელი, რომელსაც ძალიან ჰყვარებია ეს თბილისური სამუსიკო საკრავები, ერთ-ერთ თავის ლექსში — „ოცნება თარზე“, წერს:

მიყვარს თარი გულსაკრავად მვენესარი,
 მწუხარების უკუმყრელი ეს არი!...
 სიმები რომ დაიწყებენ ეღერასა,
 სული შფოთავს, გული შეიქმნს ძეგრასა.
 ყურსა ვუვადებ უცნაურსა ციურ ხმას,
 ვიორკეცებ აღტაცებით გულისთქმას,
 მით ვივიწყებ ამ ქვეყნისა მე მცნებას,
 შორს მიგვეყარ მომხიბლავსა ოცნებას;

ქვეყნიერად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,
 ათასფერად შეხამებულს მის კუთხეს,
 ყვავილებსა, სურნელების მფივნანასა,
 და ბულბულსა, ზედ საამოდ მსტიწინასა.
 თარისა და ჭიანურის მგზნებარე პანგები აქ.
 წერეთელზე ნაკლებად არ უყვარად არც პოეტ



სათარა.

ი. გრიშაშვილს, რომელიც ერთ-ერთ თავის ლექსში, „საიათნოვას ჭიანურიო“, წერს: მითქვამს, ვამბობ და ამაზე სხვასაც ვენაძლიე, სხვა საკრავზე ჭიანური, რა გქნა, მიყვარს ძლიერ. ნაღველსა და ხაღვილობას ერთნაირად ლესავს!... ო, ყურს ვუვადებ აღტაცებით ჭიანურის კენესას. ბევრი სახელოვანი მეთარე და მეჭიანურე აღზდილა თბილისში, რომლებსაც თავიანთი დიდი ოსტატობით თავი უსახელებიათ არა მარტო საქართველოში, ამიერკავკასიასა და რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც კი.



მესაზნაღრეთა დასტებში განსაკუთრებული ავტორიტეტი სარგებლობდა საყვარელ პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვე და ახლო მეგობარი სათარა.

სამთარა წარმოშობით ირანის აზერბაიჯანიდან იყო, დაბადებული ქალაქ არდაბილში 1820-ან წლებში. სათარას ბავშვობიდანვე ჰქონია მისწრაფება სიმღერისადმი, და მასთან ბუნებით ყოფილა დაჯილდოვებული დიდი მუსიკალური ნიჭით და ძლიერი, ტკბილი ვამოთ. თავისი შემოქმედებითი საქმიანობა სათარას სასულიერო სამსახურში დაუწყებია, მაგრამ ამ გზით დიდხანს არ გაგრძელებულა მისი მოღვაწეობა, ორიოდ წლის განმავლობაში მიუღწეებია თავი სალოცავებისათვის და დაუწყია მულამებისა და ხალხური სიმღერების მღერა ზეიმებზე და ქორწილებში. სათარა იშვიათი სიტკბოთი და გემოვნებით ასრულებდა აღმოსავლეთის გამოჩენილი პოეტების — საადის, ჰაფიზის, ფიზულისა და სხვათა მულამებს, თასნიფებს და ყაზალებს, რითაც მალე გაითქვა სახელი არა მარტო საქართველოში — თბილისში და, საერთოდ, ამიერკავასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სათარას საყოველთაო ქება-დიდებას მალე შახ-შუხამედ მირზას ყურამდინაც მიუღწევია. შახს სათარა თავის სასახლეში მიუწვევია, სადაც იგი რამოდენიმე წელიწადს დარჩენილა.

სათარა გერ ისევ ახალგაზრდა — 19-20 წლისა ჩამოსულა თბილისში — დაახლოებით 1810 წელს და თავის მომხიბლავი ხმით სულ მოკლე ხანში მიუპყვრია თბილისელების ყურადღება. სიმღერის დროს ის არ ხმარობდა თურმე დიარას ან დოღს. ის ჩაუქდებოდა ზოლზე თავის დასტას და ჯობით ხელში ამზობდა სიმღერას ისეთი საოცარი ტკბილი ხმით, რომ აჯაღოვებდა მსმენელს, სათარას, როგორც იშვიათ მომღერალს, დიდ პატივსა სცემდნენ ჩვენი მოწინავე ადამიანები. მათ შორის გენიალური ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. პოეტს ხშირად დაჰყავდა სათარა შეხვედრებზე რივის პურზე და ზეიმზე, რომ ესმინა მისი ტკბილი ხმა.

აი რასა წერს ერთ-ერთ თავის წერილში ნიკოლოზი თავის და მაიკოს ნახჩევანიდან 1845 წლის 9 თებერვალს: იმდროინდელ ცნობილ მომღერალ ჯაბარას და სახელოვან მომღერალ სათარას შესახებ. „ოლაჯი წაიღეს მაგ ჯაბარას ქებით, ვისაც წიგნი მოგვივიდა მაგის ქება უწერა,—ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიღებოთ? — მაგის ამბავი ჩვენს გვეოთხოთ: ეგ სულიმიან ხანმა ვადმოიყვანა სპარსეთიდან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სკობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონდა. — მე გეტყვი: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ მაგრამ, სათარას-

თვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დატყვევდა, რომ მაგისთან ხმა აღარავის ეწვეოდნენ. ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე კოჭონეთის მახალა“.

დიდ შეფასებას აძლევს სათარას თავის ნაშრომში ფირუდინ შუშინსკი, იგი ამბობს: „დიდია სათარას როლი კავკასიის ხალხთა შორის ეროვნული მუსიკის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. სათარას გამოსვლებს ესწრებოდნენ თბილისში მცხოვრები რუსი და იტალიელი მუსიკის მოყვარულები და თავიანთ კონცერტებზე იწვევდნენ მას მონაწილეობის მისაღებად“. 1847 წელს იტალიელმა მეციოლინმა, თბილისის თეატრის ორკესტრის დირიჟორმა, მოლოდომო სათარა მიიწვია საქველმოქმედო საზოგადოების დაბაზში მოწოდებლ კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად. აზერბაიჯანელი მომღერალი წარსდგა მრავალ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების წინაშე და აღაფრთოვანა მსმენელები“.

როგორც ფირუდინ შუშინსკი აღნიშნავს, სათარას ოსტატობას მაღალ შეფასებას აძლევდა გენერალ-ლეიტენანტი მ. ოლშევსკი „წერილში თბილისზე“, იგი სათარას უწოდებს ცნობილ მომღერალს, რომელიც აღაფრთოვანებს ქართველებს თავისი სიმღერებით.

სათარას დიდ მუსიკალურ ნიჭთან ერთად აღსანიშნავია მისი გულკეთილობა და მიღრეკილება საქველმოქმედო საქმიანობისაკენ, კერძოდ კი მისი მონაწილეობა ღატაბის დასამზარებლად გამართულ ინტერნაციონალურ კონცერტებზე, მეციოლინე მილერთან და მომღერალ სეიმურ-შიფორთან ერთად.

სათარას არ ჩამოუვარდებოდა შორის სახელგანთქმული მომღერალი აბდულ-ბალია ზულალოვი.

აბდულ-ბალია ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე და საყვარელი მომღერალი იყო მთელ კავკასიაში. იგი დაიბადა ქ. შუშაში 1841 წელს. მწერალ ფირუდინ შუშინსკის განმარტებით მუსიკალური განათლება აბდულ-ბალის XIX საუკუნის მუსიკის მცოდნე ხარატ კულისთან (1823—1883) მიუღია. „ხარატ კულის სკოლის“ დამთავრების შემდეგ აბდულ-ბალია თარის დამკვრელ სადილთან ერთად მონაწილეობდა მეკლესებში, ყარაღლში, შუშაში და შირვანში, სადაც თავი ისახელა როგორც მომღერალმა, რომელიც ფლობდა არა მარტო ვოკალურ მონაწილეს, არამედ არაჩვეულებრივ სასცენო კულტურას“.

თბილისში აბდულ-ბალია 1875 წლის ბოლოს ჩამოვიდა — ამბობს მეორე ადგილას ფ. შუშინსკი — მაშინ როდესაც თბილისი ყველაზე

¹ ეურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1968 წ., № 2, გვ. 61.

ბრწყინვალე ქალაქი იყო კავკასიის ყველა ქალაქებიდან...

თბილისში აბდულ-ბაღის სულ მოკლე ხანში გაუთქვამს სახელი თავის საოცარი ტკბილი ხმით და სიმღერებით, განსაკუთრებით კი ბაიათებისა და შიქსტების ვირტუოზული შესრულებით, რითაც მიუპყრია ხალხის ყურადღება. აბდულ-ბაღი თუ შეიძლება ასე ითქვას, ღმერთი იყო მთელი ამიერკავკასიის მომღერლებისა და სრულიად მართებულად უწოდებდნენ მას „ბულბულს“.

ფენომენალური მომღერალი იყო აბდულ-ბაღი, — იგონებს ცნობილი მეჭიანურე ლევან კარახანი, — მისი დასტა 1902 წლის ყოველ კვირა დღეს უკრავდა სათავად-აზნაურო კლუბში, თანახმად ხელშეკრულებისა; მეც ამ დასტაში ვმონაწილეობდი როგორც მენაღარეო.

აბდულ-ბაღის შემოქმედებაში საოცარი ხმის გარდა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მან როგორც ფირუდინ შუშინსკი აღნიშნავს თავის წერილში აზერბაიჯანული ენის გარდა კარგად იცოდა: ქართული, სომხური, ლეკური და ირანული ენები, რაც აძლევდა მას ფართე და მრავალფეროვანი რეპერტუარის შესრულების შესაძლებლობას.

დაახლოებით 1904 წელს, როდესაც თბი-

ლისში დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ჩამოსულა, ქალაქის მმართველობას მისთვის კეტი მოუწვდია ვერაზე-ედემის ბალ-რესტორანში. ზემოთ აბდულ-ბაღი („ბულბული“) მიუწვევიათ თავისი დასტიო, აბდულ-ბაღის, (იმ დროს მის დასტაში მონაწილე—მენაღარე ლევან კარახანის გადმოცემით), სხვათა შორის თავისი საყვარელი ჰანგი „ჩარგია“ უმღერია.

გაკვირვებული დიდი თავადი მისულა აბდულ-ბაღისთან თავის პირად ეჭიმთან ერთად და უთქვია მისთვის აბა გვაჩვენე პირში რა ვაქვსო. აბდულ-ბაღის უპასუხია, არაფერი და თან პირი გაუღია, დიდ თავადს ჩაუხედია საოცარი მომღერლის პირი და ვერაფერი რომ ვერ უნახია, წასულა თავის სკამისაკენ დასაჯდომად, თან უთვალთვალა მომღერლისთვის, რომ არაფერი ჩაეღო პირში, დაჯდომისას კი უბრძანებია — აბა ეხლა იმღერე ისევ ის ჰანგიაო. აბდულ-ბაღის საუცხოო ხმით დიდი თავადის გაკვირვებით წახალისებულ მომღერალს განმეორებით ისე მშვენივრად შეუსრულებია ის სიმღერა, რომ სიამოვნებით მოჯადოვებული დიდი თავადი წამომდგარა ფეხზე, მისულა აბდულ-ბაღისთან, გამოუძვრია თითიდან ძვირფასი ოქროს ბეჭედი შავი ბრილიანტის 3 კარატიანი თვლით და თავისი ხელით გაუკეთებია მისთვის მარტყენა თი-



აბდულ ბაღი თავისი დასტიო

თის წეკა თითზე, თანაც უბრძანებია მხლებლებისათვის, რომ მოეტანათ ორი შეკვრა ათ თმინანები და—„შევეკრინებიათ მისგან ჩოხა“ აბლულ-ბალიასათვის. დიდი თავადის ბრძანება დაუყოვნებლივ შეუსრულებიათ მის მსახურებს, მოუტანიათ ორი შეკვრა ათ თმინანები და თან მოუყვანიათ თერძი, რომელსაც წუმწუმის ღერების საშუალებით „შეუტოწინებია“ „ჩოხა“ და ჩაუტმეგვია მომღერლისათვის, „ჩოხა“ აბლულ-ბალიას 20-25 წუთის განმავლობაში „სცმია“, შემდეგ კი დაუშლია და გაუხვევია ბაღდადში. რაც შეეხება ძვირფას ბეჭედს, ის აბლულ-ბალიას სიკვდილამდე ჰქონია თითზე გაკეთებული, შემდეგ კი გადაუციათ ბაქოს მუზეუმისათვის, სადაც ინახება ამჟამადაც.

ძალიან ჰყვარებია აბლულ-ბალია ირანის შახს მუზაფერ-ედისს, ესლანდელი შახის-ფეხლევის პაპას, რომელიც დაახლოებით 1904 წელს ბაქოდან თბილისში ჩამოსულა სტუმრად, აქ, ირანის საელჩოში მისთვის დიდი ბანკეტი მოუწყვიათ და ბევრი სტუმარი მიუწვევიათ, მათ რიცხვშია ილია ჭავჭავაძე, მწერალი იროდიონ ევლოშვილი და სხვები. მოუყვანიათ აბლულ-ბა-

ლიაც („ხულებული“) თავისი დასტიტ. ჰეიფის მსვლელობის დროს აბლულ-ბალიას, „სცმია“ მისთვის, თავისი საყვარელი ჰანგი „ჩარგაიკ“ უმღერია, რასაც ყველა იქ დამსწრე გაუწყვიტებია, შახს კი დასტის წვერები 300-300 მანეთით და ოქროს მედლებით დაუჯილდოებია.

აბლულ-ბალიას ხშირად იწვევდნენ ირანში, სადაც ის მონაწილეობას ღებლობდა მუსიკალურ კონკურსში და უცვლელად იმსახურებდა პირველ ადგილს. ამიტომ ის სპარსეთის შახის მიერ დაჯილდოებული იყო „ლომისა და მზის“ „ორდენით“.

აბლულ-ბალია 1907 წელს თბილისიდან ვლადიკავკაეში გადასულა, სადაც მას სამი წელიწადი, ე. ი. 1910 წლამდე უცხოვრია, 1910 წელს კი მიუწვევიათ ბაქოში, სიმღერის მასწავლებლად.

„აბლულ-ბალია ზულალოვის დიდი დამსახურება აღმოსავლური მუსიკის განვითარების საქმეში აღნიშნული იქნა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 70 წლისთავზე, როდესაც მას მიენიჭა შრომის გმირის მაღალი წოდება და დაენიშნა პერსონალური პენსიაო“, — აღნიშნავს თავის ზევით დასახელებულ წერილში ფირუდინ შუშინსკი. ა. ზულალოვი გარდაიცვალა ბაქოში 1927 წელს, 86 წლის ასაკში.

1 გაზ. «Баку», 16 мая, 1966 г.



ქართველი მესაზნდრეები 90-იან წლებში.

უშანგის ბინაზე

დოდო ჯურაბიშვილი

ოთახში ტიტე სიხარულიძის გამოკვეთილი დიდი ქანდაკება დგას, საწოლზე აწყვია თბილა ხალათი, სვიტერი, შარვალი, ქუდი... (ტუმბოზე ღამის ნათურა, მაჯის საათი, სარკე, უბის წიგნაკები, საფულე, შექსპირის „ჰამლეტი“ — მსახობის კომენტარებით; კედელზე ხანჯალი და ხმალი ჰკიდა. აქ ყველაფერი თითქმის ისევეა, როგორც 1953 წლის ოქტომბერში დატოვადიღმა მსახიობმა — უშანგი ჩხეიძემ...

გავიდა და აღარ დაბრუნებულა...

სდუმან მაგნიტოფირები უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმში. სდუმან უკვე თექვსმეტი წელიწადია — უშანგისეული ჰამლეტი, ურიელი, ყვარყვარი, ბეგლარი, გოდუნე, თორღვა, კვიენაძე...

გამოფენილი ფოტო სურათებიდან ეცნობით უშანგის ბინას ზესტაფონში, მის მშობლებს — ქრისტიანე ვაშაძესა და ვიქტორ ჩხეიძეს, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შენობას, სადაც მომავალი აქტიორი სწავლობდა. აქვეა ავტოლის აუდიტორიის სცენისმოყვარეთა დასი პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით. რუსთაველის თეატრის დასი ბორჯომში 1923 წელს კოტე მარჯანიშვილთან ერთად. აქ ეცნობით ი. გრაიშაშვილის, ა. ხორავას, ა. ვასაძის, ნ. მესხიშვილის, ნატო ვარნაძის, თ. ჰავეჯიანის, შ. გომელაურის, ივ. ყიფიანის, ი. ტუსუასის და სხვების ახალგაზრდობას... მათ წრეს...

კედელზე, ჩარჩოში ჩასმული მემორიალი გამცნობთ უშანგის მიერ შესრულებული როლების არასრულ სიას.

1940 წელს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე უშანგიმ წარმატებით დადგა „გიორგი საცაქაე“, რომლითაც საზოგადოებას ამცნო რეჟისორის უბალო ნიჭი და კვლავ ალაპარაკა ხელოვნების სამყარო მისმა დიდმა ხელოვნებამ. ფოტოსურათები ჰყვებიან იმ წელთა სიუჟეტს, ნაყოფიერ შრომას უშანგის ცხოვრებიდან...

კედელზე ჩარჩოში სუფთად ჩაუსვამთ ბარათი, რომელიც უშანგის უპირველეს პარტნიორს — ვერიკო ანჯაფარიძეს ეკუთვნის: „ჩემო ძვირფასო უშანგი, ჩემი შეხვედრის გეკუთვნის შენ, შენს იშვიათ ნიჭს, შენს აღმაფრენას, შენს შესანიშნავ ხელოვნებას.

ჩემს სიტყვას ჯერ კიდევ აკლია ის უაღრესი პოეტური გაქანება, ის სითბო და სიყვარული, რომლითაც გაუღწევილი არის შენი სტრიქონები, მე ვიცი, მე მჯერა, რომ მე და შენ კიდევ

შეგვხვდებით ერთმანეთს სცენაზე.

ვერიკო. 1940 წ.

ორ დიდ ხელოვანს ეს ოცნება — ოცნებად დარჩა...

ექსპოზიციაში ყურადღებას იპყრობს უშანგი ჩხეიძის ნაწერების ბიბლიოგრაფია, აქვეა უშანგის დაუსტამბავი მოთხრობებისა და ლექსების სქელტანიანი წიგნი...

პოეტ-მსახიობი უმღერის ძველსა და ახალ თბილისს, საქართველოს ძლიერებას, სიყვარულს, სათუთ, მოსიყვარულე მანდილოსანს, ქოროლის ციხესა და შვენაბადას, ძირმავარ ნარიყალასა თუ მეტეხის ხავსმოდებულ კედლებს, ბაგრატის ნანგრევებსა თუ მოდულუნე მტკვარსა და მოაწმინდის აღაღანებულ კალთებს, უმღერის მსახიობებს, პოეტებს, მშრომლებს... ყველაფერი იზიდავს პოეტსა და მოქალაქეს, ყველაფერი ხიბლავს ამ ქვეყნიური. მისი შოვნია ისეთივე თბილი და ძარღვიანია, როგორც მისი აქტიორული შემოქმედება.

მუზეუმში ერთ-ერთ სტენდზე გამოფენილია გამოჩენილ ხელოვანთა ფოტოსურათები, უშანგის რომ უძღვნეს დიდი გრძობითა და სიყვარულით. კანალოვის, მოსკვინის, ლეონოვის, ი. გრიშაშვილის, ვ. ანჯაფარიძის, კ. მარჯანიშვილის, ა. ვასაძის, შ. ღამბაშიძის, თ. ჰავეჯიანის, დ. ჩხეიძისა და სხვათა ავტოგრაფები.

— მე სცენაზე არასოდეს მინახავს ჩემი ძმა, — გვითხრა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნინო ჩხეიძემ, — მისი მსახიობური ნიჭი მხოლოდ მაშინ გავიცანი, როდესაც ფირზე ვწერდი...

ჰამლეტზე მუშაობისას მე ჩემი ალტაცება გამოთქვი, თვითონ უშანგის კი არ მოსწონდა და ამბობდა: „ეს მხოლოდ აჩრდილია, რას იზამ, იმასაც მოვესწარი, რომ ასე ვიამაზო“... უშანგი იყო ძალიან სათუთი და მკაცრი... მაღალი კულტურისა და მოთხოვნა; ისეთი ძლიერი იყო, რომ მე მას ვუყურებდი როგორც უცხო ადამიანს და არა როგორც ძმას. იგი იყო ჰუმანიური, კეთილი, სამართლიანი, თავმდაბალი... უყვარდათ ყვეალები, ფრინველები, ცხოველები...

— მე მხოლოდ ერთი ბედნიერება მაქვს, — განაგრძობს ნინო, — ვმუშაობ იმ კოლექტივში, ყოველდღიურად ვხვდები იმ ხალხს, ვისაც ასე უყვარდათ უშანგი და ამ სიყვარულს დღესაც ვგრძნობ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებაში

ბაღლოზის დეკემბი

როგორც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში ვიწყებოდით, აპრილში თბილისში ჩატარდა საბავშვო და მოზარდმაყურებელთა თეატრების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ცენტრის — „ასიტეის“ ყოველწლიური კონფერენცია „ბრიანცევეური კითხვანი“.

კონფერენციის დახურვის შემდეგ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ანთაძის სახელზე მიღებულ იქნა რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბავშვო თეატრების საბჭოს თავმჯდომარის, „ასიტეის“ საბჭოთა პრეზიდენტის, რსფსრ-სა და საქართველოს სსრ ხელისუფლების დამსახურებელი მოღვაწის ა. შაპაზი-ზოის შემდეგი დეკემბი:

„ნება მიბოძეთ საბავშვო თეატრების საბჭოსა და საბავშვო და ახალგაზრდების თეატრების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ცენტრის სახელით გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თბილისში „ბრიანცევეური კითხვების“ ორგანიზაციისა და გამართვისათვის.“

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე დღე დავყავით თბილისში და ამ მოკლე დროშიც მოვასწარი გვეგრძნო თქვენი გულითადი სტუმართმოყვარეობის სიბოძე.

გზოვით გადასცეთ ჩვენი უაღრესად გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც ასე თუ ისე ხელი შეგვიწყო კონფერენციის წარმატებით ჩატარებაში.“

სოხუმის თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა

1971 წლის 31 მაისს თბილისს საგასტროლოდ ეწვია სოხუმის ს. კანბას სახელობის სახელმწიფო თეატრი.

1 ივნისს გასტროლები დაიწყო აფხაზურმა დასმა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრის შენობაში.

7 ივნისს აფხაზური დასის სპექტაკლების დამთავრების შემდეგ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოაწყო საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ სახალხო არტისტმა, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ. აფხაზური დასის მიერ წარმოდგენილი ექვსი სპექტაკლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე ნ. ურუშაძე. სპექტაკლების მხატვრულ-დგორაკიულ გაფორმებაზე ისაუბრა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ც. ცერაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ეთ. გუგუშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა დ. ჯანელიძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა, რეჟისორმა ს. ჭელიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა მ. გვი-

მერქლმა, დასასრულს გამოვიდნენ სოხუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და აფხაზური დასის მთავარი რეჟისორი ნ. ეშბა და აფხაზული კულტურის მინისტრი ნ. კიუტი.

8 ივნისიდან სპექტაკლები გამართა სოხუმის თეატრის ქართულმა დასმა.

14 ივნისს, გასტროლების დამთავრების შემდეგ, თეატრალურმა საზოგადოებამ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოაწყო ქართული დასის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. დისპუტი გახსნა დ. ანთაძემ. საგასტროლო სპექტაკლების შესახებ მოხსენება გააკეთა თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძემ. წარმოდგენილი სპექტაკლების მხატვრობაზე ისაუბრა საქართველოს სახალხო მხატვარმა ფ. ლაბიაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. შვანგირაძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა მ. დავითაშვილმა, პროფესორმა დ. ჯანელიძემ, თეატრმცოდნეებმა ვ. კიკნაძემ, ნ. ურუშაძემ, ეთ. გუგუშვილმა, ან. ტრაპაიძემ, მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ელენდამ. დასასრულს სიტყვები წარმოსთქვეს ქართული დასის მთავარმა რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა და აფხაზეთის კულტურის მინისტრმა ნ. კიუტმა.

საქართველოს წიგლისმოყვარეობის კავშირები

ბაბო გამრეკელი მიხილი სპარალაზვილი

ბაბო (ბარბარე) აღექვანდრეს ასული გამრეკელი ქართველ მსახიობ ქალთა იმ წარჩინებულ თაობას ეკუთვნის ვინც თავიანთი ზურგით ატარა ქართული თეატრის მშენებლობის კეთილშობილური მიმღე ტვირთი და თავდადებული შრომით ხელი შეუწყო საქართველოში თეატრალური ხელოვნების აყვავებას.

ქართული საბჭოთა თეატრის გარიყრაფზე ბაბო გამრეკელი გვერდში ედგათ არტიკული ნიჭით დაჯილდოებულ ისეთ მსახიობ ქალებს, როგორც იყვნენ: ნუცა ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, ანეკა და ალისა ქიქოძეები, თამარ ჭავჭავაძე, ელენე ღონაური, ბუჭუჭია შვიცილი, ხათუნა კუჩინაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ამ სცენის ოსტატობის თანაგარს-ველად დაბო გამრეკელიც ამშვენებდა. მან თავისი უზალო ხელოვნებით დიდი სიყვარული დამსახურა თეატრის კოლექტივში და ამხანაგებში, ფართო საზოგადოებაში კი დიდი სიმპათიით სარგებლობდა, როგორც შესანიშნავი მოქალაქე და უმწიკვლო ადამიანი.

ბაბო იყო უნახესი ქალის განსახიერება, მშობელიური, თბილი, უწყინარი, ჩემი და უზომოდ ენატებოდა, ლამაზი შემოქმედი.

1920-23 წლების თეატრალური სეზონები რუსთაველის სახელობის თეატრში ჩემი ჰაბუტური წლების საუკეთესო შთაბეჭდილებაა: რეპერტუარის სიუჟე, თუმცა კრელი, ნაირფეროვანი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სისტემა, ფესვგადგმული ექვლექტური აღრზაური, მხატვრული მეთოდის არრეკა, მოძალბებული ათასნაირი „იზმები“, რუსულ-ევროპული დეკადენტური გავლენები, ერთმანეთში არეული რეალიზმი, სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი თუ ფუტურისმი. თეატრი—ახალი გზების მაძიებელი, ჯერ კიდევ ერომთლიან სახეში ჩამოუქნელი. მაგრამ მაინც ძლიერი თეატრი თავის პოტენციალით.

ასეთ თეატრალურ ფორმათა აღრეკვაში, თავისი აღნაგობით, მაღალმხატვრულობით და რიალისტური დამაჯერებლობით გამოირჩეოდა და დიდ ყურადღებასაც იქცევადა 1923 წელს დიდი

ხელოვანის რეისორის კოტე მარჯანიშვილის დადგმა ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“.

ჩემზე, როგორც, ჯერ კიდევ გამოუცდელ მაყურებელზე, მაგრამ თეატრით გატაცებულ ახალგაზრდაზე ამ სპექტაკლმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და აი, აჰ, ანტონოვის კომედიაში პირველად ვნახე ბაბო გამრეკელი მარჯანის როლში, რომელსაც ეგერ წარმატად ასახიერებდა. მიაშიტი ქალიშვილის სცენურ სახეს.

საიდუმლოდ შეყვარებული მარეხი — ბაბო, პორუჩის—ვისაძეს, „ვეფხისტყაოსნიდან“ თინათინის სიტყვებით ეფიქება სიყვარულს, საიდუმლოდ დაკეცავს: ბარათს, აივინდან აივანზე გაბმული თოკით წერილს „სატროს“ გაუგზავნის. ეს ჰუმორული სავსე იმდენად მიაშტრად წარმატაცი იყო, რომ ბაბოს მიერ წაითხულ ამ სტროფს მაყურებელი იმავე ინტონაციით იმეორებდა, როგორც ამას მიზნდელი მანერულობით ოღნაე წამუნებთი კითხულობდა ბაბო.

ფიციტ გითხრობ: შენგან კიდევ თუ შევიერთო როცა ქმარი, მზეცა მომხვედს ხორციელი, ჭემთვის კაცად შენაქმარი, ხრულჯდ მოვწყვე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დსანთქმარი, შენი მკვლადღს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი.

ლამაზმა ხმაჲ, კარგმა დიქციამ, მოხდენილმა თამაშმა მსახიობს წარმატება მოუტანა.

ბაბო გამრეკელის შემოქმედებაში იგრძნობოდა არა მარტო სასცენო ნიჭი, არამედ, იშვიათი შრომისმოყვარეობაც.

ბაბოს აქტიორული თამაშის ტექნიკა უკიდურესად გამოსახველი მიმიკა, ლირიკული ხმის ინტონაცია, თვითა გამომეტყველება, პლასტიკა, ხელების კეთილშობილური ხმარება, — აი ყველა ის საშუალებანი, რომლითაც სცენაზე სარგებლობდა ბაბო და რითაც ამყვანებდა სცენურ განცდებს და ხიბლავდა მაყურებელს.

წარმატაცი იყო მისი კონტა, თვალთმაქცი კო-



ლომინა, ხასიტა ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“. მოხდენილი პრინცესა ფიამეტა ობერტა „მასკოტა“-ში მკაფიო მეტყველებასთან ერთად, პატარა ხმის პატრონი, შესანიშნავი სმენის წყალობით კარგადაც მღეროდა, სიმღერის სკოლა კი მან 1913 წ. მოსკოვში მომღერალ ქალთან, ირინა მილიაესკაისთან გაიარა. ამავე დროს, მოსკოვში კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ „თავისუფალი თეატრი“-ს მსმენელად ირიცხებოდა და სასცენო ტექნიკას ეუფლებოდა. სამშობლოში დაბრუნებისას ერთხანს ქუთაისის თეატრშიც მუშაობდა. ხოლო შემდეგ თბილისში ვაღმოსვლისას გიორგი ჯაბადარის მიერ დაარსებულ დრამატულ სტუდიაში ჩაირიცხა, რომლის დამთავრების შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრის დასში წლების მანძილზე მუშაობდა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო აბმეტელის ხელმძღვანელობით.

ბაბო გამრეკელს ვიცნობ რუსთაველის სახელობის თეატრში ერთად მუშაობით 1926 წლიდან.

შესანიშნავი იყო ბაბო გამრეკელი აზიანის კომედიაში „ღეზერტიკა“, ელენეს როლში. ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელი, ქარაფშუტა, ფუფუნებას მიჩვეული ელენე ახალ ცხოვრებას ვერ ეგუება და ყოველივეს ირონიულად უყურებს. ბაბო სცენური გარდასახვის სიღრმით ახერხებდა ამ სახის სრულყოფილად გაღმოცემას.

ბაბო გამრეკელს ჰქონდა თავისი ამპულა-ინჟინერი. ამ ქანის მსახიობი ქალისათვის დამახასიათებელია გულბრყვილო, მიაპირი კომედიური ქალიშვილების როლები. თითქოს ბაბოსათვის საწინააღმდეგოც და შეუძლებელიც უნდა ყოფილიყო ფილიამ შექსპირის „ჰამლეტში“ ოფელიას ტრადიციული სახის განხორციელება, მაგრამ, ბაბომ ეს უძელო ყოველგვარი მიმბაძველობის, ტრაფარეტისა და შტაპის გარეშე, მან შექმნა მეტისმეტად მიზიდველი, საოცრად მგრძნობიარე ოფელიას ადამიანურ სახე. ბაბო ღირსეული პარტიორი იყო უშანგი ჩხეიძისა და გიორგი დავითაშვილის, რომლებიც ბრწყინვალედ თამაშობდნენ ჰამლეტის როლს.

ბაბოს ოფელია იყო ნაზი მეოცნებე, გულამაჩუყებელი სიგიჟის სცენაში.

დადი ხელოვანის კოტე მარჯანიშვილის მიერ შექმნილ ბრწყინვალე სპექტაკლ „ჰამლეტ“-ში ოფელიას როლზე სამი უნიჭიერესი მსახიობი ჰყავდა შერჩეული. ვერიკო ანჯაფარაძე, თამარ წულუკიძე და ბაბო გამრეკელი, რომლებიც ამ როლის შესრულებაში ერთი მეორისაგან კარდანიშნულად განსხვავებულდნენ.

მარჯანიშვილის მიერ გააზრებული ოფელიას სიგიჟის სცენა შეხამებული იყო ჩაიკოვსკის მუსიკასთან.

შემოილი ოფელიას პოეტობრივები, მონოლოგი მელოდელმადიციით სრულდებოდა და ერწყმოდა ორკესტრის სიმებიან ჯგუფს ქურალობას.

მეფე კლავდიუსის სასახლეში შექმნილმა მოვლენებმა, ოფელიას საყვარელი მამის პოლინიუსის სიკვდილმა, უმწურო ქალიშვილი სულეირ დაძაბულბამდე მიიყვანა და მშვენიერმა ასულმა დაჰკარბა სულის სიმშვიდე, დადის და ცრემლმორბული მოსთქვამს:

იგი მოკვდა და დამარხეს...

მოკვდა დამარხეს,

ფერხთით დიდი ლოდი დასდევს...

თავით ხე დარგეს,

თოვლივით თეთრ სუღარაში გამოვახვიეთ, ყვავილებით მოვრთეთ...

უხვად ცრემლი ვაფრქვიეთ...

მსახიობს სეედანი სახის გამომეტყველებაში ღიმილი შეენაცვლებოდა:

ხვალ ვალენტინის დღე არის,

გივალენტინებ,

მოვალ ადრე და სარკმელზე დაგიკაუნებ. ადგები და კარს გაუღებ, უმანკო ქალსა, და მანკიერს გაისტუმრებ

თვალცრემლიანსა.

ეს სცენა სიბრალულით ავსებდა მაყურებელს. ოფელიას მარტოობის ტრადიციულობით გამოხატული მწუხარება მსახიობის, ამ შემთხვევაში, ბაბო გამრეკელის სახიერი თვალები, მოღლილი მზერა გვეგარბობინებდა ოფელიას ეულად დარჩენილ ტრაგიკულობას.

ბაბოს ოფელია გამოირჩეოდა ღრმა ინდივიდუალობით. იგი განსხვავდებოდა ჰერტიით ხასიათით. ის იყო სრულიად დამოუკიდებელი შემოქმედი. ბაბო გამრეკელი თავისი პარტიორების სასურველი თანამონაწილე იყო ყველა სპექტაკლში.

სცენის დიდი ოსტატის, ბრწყინვალე მსწავლეობისა და გენიალური რეჟისორის მისწავლესხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა უშუალოდ ალსაყეს, თავისთავისადმი მომთხოვნე, ხელოვნებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული, თეატრალური პატიონებით აღჭურვილი, რომელიც მულდამ თავის სიმალღეზე იდგა როგორც მსახიობი და მოქალაქე.

ბაბო გამრეკელი უკვე ხანდაზმულობაშიც პირნათლად ასრულებდა თავისი საყვარელი თეატრის მოთხოვნილებას, მზად იყო მისთვის შეეწირა უკანასკნელი ძალ-ღონე, იგი მთელ თავის ცოდნას და გამოცდილებას ახმარდა თეატრის კეთილდღეობას.

უკანასკნელად მე ბაბო ვნახე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში განხორციელებულ შოუს „პიემალიონში“ თითქმის უსიტყუო მისიზროლში. მიუხედავად ამისა მე იგი ღრმად დამა-



საქართველოს
ქვეყნული ბიბლიოთეკა

ზახსოვრდა: გარეგნულად დარბაისელი, ინგლისური თავდაპირველობით გამოირჩეული მოხუცი ქალის სახე, მეტყველი თვალებით, ღმილიანი სახით გატაცებით რომ უსმენს ახლად გამოჩეკილ „არისტოკრატ“ მშვენიერ ლედის — მეღვაჯავარძის საუბარს. საიამოვნებისაგან თითქო დატყბო მოხუცი, შავრამ როდესაც „ლედია“ გაცხარებულ საუბარში ჩაურთავს თავისებურ ქუჩურ ქარმონს: — „მე ტაქსით წაველ, ფეხით მოსიარულეს ბებიას უყყავის... არისტოკრატ-

სათვის უკადრისი სიტყვების გაღონებამდე მოულოდნელობისაგან მოხუცი არისტოკრატის ქალის სახე შეეცვლება, შეშფოთება, კიდეც აღშფოთება და დემონსტრატიულად დასტოვებს მშვენიერი „ლედის“ საზოგადოებას.

ამ პატარა, უმნიშვნელო როლის შესრულებით ბაბო გამარჯვებულა ერთმელ და უკანასკნელად კიდეც გაიბრწყინა თავისი დიდი მასწავლებლის სახელობის თეატრის სცენაზე, ხოლო 1970 წლის ოქტომბერში 80 შემოდგომის მომსწრე მარადისობას მიეცა.

უხსოვთის პრესა ბათუმის თეატრზე

ლედის ქართულ თეატრზე ხშირად წერენ უცხოეთში. წერენ გამოჩენილი თეატრმცოდნეები და მსახიობები. გავიხსენოთ საფრანგეთის, თურქეთის, გერმანიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ეჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი უთუოდ საინტერესო წერილები რუსთაველისა და მარკანიშვილის თეატრის სპექტაკლებზე. ჩვენი დღევანდელობის ნომინალური თავისებურება ისაა, რომ უცხოეთში იზრდება ქართული თეატრის შესწავლის გეოგრაფიული არე ჩვენი ეჟურნალის მკითხველებმა იციან, რომ ამასწინათ მშვენიერი წერილი გამოქვეყნდა ქუთაისის თეატრზე პოლონეთში. ეს, რასაკვირველია, კიდეც ერთი დადასტურება იყო ქართული თეატრის საყოველთაო აღიარებისა.

ამასწინათ ბათუმში რამდენიმე დღე სტუმრობდა ცნობილი პოლონელი ეჟურნალისტი, მთარგმნელი და თეატრალური კრიტიკოსი ლუდოვიკ რუბახი. ლ. რუბახმა ნახა ბათუმის ო. შვეჯავაძის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლები და პოლონელ მკითხველს თავის შთაბეჭდილებები ვარაუდული ეჟურნალ „თეატრის“ მეოთხეებით გაუზიარა. მის წერილს თან ახლდა რამდენიმე ფოტოსურათი, რომელშიც სპექტაკლების ცალკეული ეპიზოდები იყო აღბეჭდილი.

ლ. რუბახის წერილი მიმოხილვითი ხასიათისაა. მან კარგად იცის, რომ მხოლოდ რომელიმე სპექტაკლის შეფასება, რაოდენ მაღალმატრულიც არ უნდა იყოს ეს სპექტაკლი, პოლონელ მკითხველს საფუძვლიან წარმოდგენას ვერ მისცემს თეატრის შესახებ. ამიტომ იგი არჩევს ფართო უამბოს პოლონელ მკითხველს ამ თეატრის ისტორია, ვაიცი მისი განვითარების მთავარი ეტაპები, მნიშვნელოვანი სპექტაკლები.

პოლონელი თეატრალური კრიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ პიესებს, რომელთა ავტორებზეც ბათუმში ცხოვრობენ და მუშაობენ. იგი წერს:

„ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ინდივიდუალობის მქონე დრამატურგია ალექსან-

დრე სამსონია, რომლის ახალი პიესა — „ზღვა და სიყვარული“ — ვნახეთ ბათუმის თეატრში. ამავე პერიოდში იღებებოდა აგრეთვე მისი სხვა პიესა — „ჩემი შვილი სიმონი“. სამსონიას აინტერესებს ახალგაზრდობის ცხოვრება. იგი ორივე ნაწარმოებში ანალიზებს ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელ თვისებებს, მის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი. ახალგაზრდა თაობას მიეძღვნა ძალიან საინტერესო პიესა „ნაქრძალში“ ნიჟიერმა დრამატურგმა ვ. კანდელაკმა. მეოთხე ქართული პიესა, რომელიც მე ვნახე, ბათუმის თეატრში გამოდგებით იღებებოდა. ესაა „უზოში ავი ძალია“. ძველი თაობის დრამატურგი კ. ბუაჩიძე ამ პიესაში ეხება მეზობლურ დამოკიდებულებას ქალაქის ერთ-ერთ უბანში“.

ლ. რუბახი ყურადღებას ამახვილებს თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაზე და აღნიშნავს, რომ ბათუმის თეატრში სისტემატიურად იღებება რუს და უცხოელ კლასიკოსთა პიესები.

1969 წელს ბათუმს ეწვია გერმანელი თეატრალური კრიტიკოსი კარლ ჰინც შმოლდტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების ორგანოს „თეატრ დერ ცაიტ“-ი („თანამედროვე თეატრი“) საშუალებით მან გერმანელ მკითხველს გააცნო საქართველოში მიღებული თეატრალური შთაბეჭდილობანი.

კარლ ჰაიცი შმოლდტი შესავალში მკითხველს აცნობს ბათუმის თეატრის წარსულს. შემდეგ ეხება ნ. დუმბაძის და ვ. ლორთქიფანიძის პიესის „მე, ბებიას, ილიყო და ილარიონი“ და ავ. გეჟაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“-ს დადგმებს და მათ მაღალ შეფასებას აძლევს. დასასრულს წერს:

„ეს თეატრალური დასი, რომელიც სანახევროდ ახალგაზრდა მსახიობებისაგან შედგება, გვაოცებს თავისი შეწყობილი ანსამბლურობით და ამავე დროს, მომწიფებული ინდივიდუალური შემსრულებლობით, ამიტომაც მე შემთხვევითობად არ მიმჩნობა, რომ თეატრის ორთაგანედ მსახიობიდან 25 უკვე რესპუბლიკის სახალხო ან დამსახურებული არტისტი“.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღმეზა თეატრალური საზოგადოების მე-7 ყრილობას	3
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-7 ყრილობის წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს	4
რეზოლუცია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-7 ყრილობისა	5
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-7 ყრილობა	7

სოხუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში

ნათელა ურუშაძე — აფხაზური დასის სპექტაკლები	15
ნადია შალუტაშვილი — ქართული დასის სპექტაკლები	19
შოთა რევიშვილი — ლუდვიგ ფულდა ქართულ სცენაზე	23
ამირან კალაძე — სამტრედიის თეატრალური წარსულიდან	26
შალვა მარკოზაშვილი — „ღალატი“ ქვემო მაჩხაანში	28
ნორა ასათიანი — მოზარდთა საყვარელი მსახიობი	29

ჩვენი კუბლიკაცია

კოტე ყიფიანი — თეატრი და მსახიობი	30
სოფრომ შგალობლიშვილის გამოუქვეყნებელი მოგონებები	32
ლ. მარტაშვილი — გუშინდელი ცხოვრების სურათი	35
კიბიკო აბაკელია — საშვილიშვილო საქმე	36
ალექსი ბარნოვი — საზანდარი საქართველოში და ძველი თბილისის ცნობილი მესაზანდარეები	37
დოდო ზურაბიშვილი — უშანგის ბინაზე	41
საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში	42

[-]

ღვაწლმოსილთა გახსენება

მიხეილ ყვარელაშვილი — ბაბო გამრეკელი	43
უცხოეთის პრესა ბათუმის თეატრზე	45

СОДЕРЖАНИЕ

Приветствие Центрального Комитета Коммунистической Партии Грузии 7-му съезду Театрального Общества Грузии	3
Письмо 7-го съезда Театрального Общества Грузии Центральному Комитету КП Грузии	4
Резолюция 7-го съезда Театрального Общества Грузии	5
7-ой съезд Театрального Общества Грузии	7

Гастроли Сухумского театра в Тбилиси

Натела Урушадзе — Спектакли абхазской труппы	15
Надежда Шалуташвили — Спектакли грузинской труппы	19
Шота Ревишвили — Людвиг Фульда на грузинской сцене	23
Амиран Каладзе — Из театрального прошлого г. Самтредия	26
Шалва Маркозашвили — «Измена» в Квемо-мачхаани	28
Нора Асатиани — Любимый актер подростков	29

Наши публикации

Котэ Кипиани — Театр и актер	30
Неопубликованные воспоминания Софрома Мгалоблишвили	32
Л. Марташвили — Картина вчерашней жизни	35
Ч. Абакелия — Доброе дело	36
Алексей Барнов — Сазандари в Грузии	37
Додо Зурабшвили — На квартире Ушангия Чхеидзе	41

Хроника

В Театральном Обществе Грузии	42
---	----

Вспомним заслуженных

Михаил Кварелашвили — Бабо Гамрекели	43
Батумский театр в иностранной прессе	45

В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси — 1971
№ 3 (61)

ფასი 25 კაპ.
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 10/VI 1971 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-71 წ.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 3.

შეკვ. 1796.

უე 03832.

ტირ. 1.000.

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

2.17/12